საქართველოში პოზიტიურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა ექნება რეგიონისთვის A2

თქვენი ოპონენტებიდან ვის ისურვებდით საახალწლო სუფრასთან? A3

გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 3 იანვარი, 2004 წელი. №1 (550) | ფასი 50 თეთრი

# გილოცავთ ახალ წელს!



თამარ სახიტაშვილის ფოტო

ახალი წლის ღამე რუსთაველზე.

## ამინდი

3 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | |
| ქუთაისი | 14 | |
| ბათუმი | 16 | |
| სოხუმი | 12 | |
| ფოთი | 15 | |
| თელავი | 10 | |
| ზუგდიდი | 14 | |
| გორი | 8 | |
| ახმეტა | 9 | |

4 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 11 | |
| ქუთაისი | 13 | |
| ბათუმი | 14 | |
| სოხუმი | 11 | |
| ფოთი | 14 | |
| თელავი | 11 | |
| ზუგდიდი | 13 | |
| გორი | 8 | |
| ახმეტა | 9 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.6615 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7602 |
| რუბლი | 0.0716 |

# არჩევნები საქართველოში - რა დევს სასწორზე?

ერიკ მილერი
დოქტორი, აშშ-ს საჯარო პოლიტიკის ეროვნული ინსტიტუტის ანალიტიკოსი
სპეციალურად „24 საათისთვის"

საქართველო ამერიკიდან ძალიან დაშორებულია, მაგრამ არსებობს ბევრი მიზეზი, რის გამოც ამერიკას 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ადარდებდეს. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებით ამერიკის დაინტერესებას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური ინტერესები და დემოკრატიის გამარჯვების პრეცედენტი განსაზღვრავს, რომელიც საქართველომ ვარდების რევოლუციით პირველმა შექმნა ყოფილ საბჭოთა სივრცეში.

საქართველოს მოსახლეობა ბოლო ორი თვის მანძილზე მეორედ მიდის არჩევნებზე, რათა ქვეყანაში პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა აღადგინოს, რომელიც ნოემბრის გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შეირყა. 4 იანვარს საქართველოს მოსახლეობა პოსტ-შევარდნაძისტულ ეპოქაში თავის პირველ პრეზიდენტს აირჩევს.

სახელმწიფო გადატრიალება იშვიათი არ არის კავკასიაში. მაგრამ, ძალაუფლებიდან შევარდნაძის ჩამოშორება მაინც უპრეცედენტო შემთხვევა იყო. თავად შევარდნაძე ხელისუფლებაში პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ მოვიდა. აზერბაიჯანში 1993 წელს ჰეიდარ ალიევიც მას შემდეგ ჩაუდგა ქვეყანას სათავეში, რაც აბულფაზ ელჩიბეიმ ქვეყანაში არსებული ვერც ერთი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა ვერ გადაჭრა. თუმცა, შევარდნაძე პირველი პოსტ-საბჭოთა ლიდერი იყო, რომელმაც ვარდების რევოლუციის შედეგად, დემოკრატიული ცვლილებების სიმძიმე იგრძნო.

რეფორმატორები, როგორებიც არიან მიხეილ სააკაშვილი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, მომავალი საქართველოს იმედი და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კარგი სიახლეა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ხელისუფლების ოფიციალური პირები გადასახადების დამალვით, სახელმწიფო ქონების ხელში ჩაგდებით, სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალური გამოყენებით ქვეყანას მილიონებს ჰპარავდნენ. მაგრამ, დღეს რეფორმისტულად განწყობილ ლიდერებს აქვთ შანსი, რომ დასავლური დახმარება გაცილებით

გაგრძელება A2 გვერდზე

# იმედისა და რაღაც მეტის შეთავაზება

რიჩარდ მაილსი
აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შატები, სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით, ცდილობს, დაეხმაროს განვითარებაში და ჩვენ უნდა განვაგრძოთ ამის კეთება მომავალშიც. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, თუმცა მასმედიის ამასწინანდელ კომენტარებში არასწორად იქნა გადმოცემული, თუ როგორ ხორციელდებოდა აშშ-ს დახმარების პროექტები. აშშ-ს დახმარება ძალზე იშვიათად გადაეცემა მთავრობას ნაღდი ფულის სახით. ამის ნაცვლად ჩვენ ვცდილობთ, გამოვიყენოთ ჩვენი ფული საგულდაგულოდ შედგენილი პროგრამების დასაფინანსებლად, რომელთა მიზანიცაა ქართველი ხალხის სამომავლო კეთილდღეობისა და განვითარების ხელშეწყობა. ქვეყანაში მოგზაურობის დროს ხშირად ვსტუმრობდი ადგილობრივ ოფიციალურ პირებს, თემის ჯგუფებს, სკოლებს, ფერმერებს და საავადმყოფოებს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება ცვლის რიგითი ქართველების ცხოვრებას. ვფიქრობ, რომ შესაძლოა რამდენიმე მაგალითის მოტანა:

ზამთრის გათბობის პროგრამა საქართველოსთვის, 1994 წლიდან ყოველ ზამთარს სითბოთი უზრუნველყოფს ღარიბებს, საერთო ჯამში 45 მილიონი აშშ დოლარად. პროგრამა ეხმარება 160 000 დაუცველ ოჯახს და პენსიონერს, 107 დაწესებულებას, რომლებიც ემსახურებიან მოსახლეობის დაუცველ ჯგუფებს (ობლებს, ინვალიდებს და ა. შ.) და იძულებით გადაადგილებული პირებით დასახლებულ 445 ცენტრს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველოს ეკონომიკა - 2003

## ქართულ ეკონომიკას გაჯანსაღების ნიშნები წელსვე უნდა დაეტყოს

თამარ ხორბალაძე

*გასული წელი, მათ შორის - ეკონომიკურიც, საბოლოოდ გაიყო "რევოლუციამდელად" და "რევოლუციის შემდგომად", ისევე, როგორც მთლიანად თავისუფალი საქართველოს ბოლოდროინდელი ისტორია.*

ამიტომ, წლის ტრადიციულ მიმოხილვას ტრადიციული შინაარსი უკვე ვეღარ ექნება. პასუხისმგებლობის საკითხზე საუბრებს, რომლითაც ამ ათი წლის მანძილზე მთავრობის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის წლიური შეჯამება იწყებოდა და მთავრდებოდა ხოლმე, უკვე აზრი ეკარგება.

ახალი წლის დადგომიდან სულ ოთხ დღეში საქართველო ახალ პრეზიდენტს ირჩევს. ახალ პრეზიდენტთან და ახალ ხელისუფლებასთან დაკავშირებული მოლოდინი განსაზღვრავს იმ განწყობას, რომლითაც დღეს გასულ მოვლენათა შეფასება ხდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 რეკლამა | A6 საზოგადოება | A7 ამბები | A8 ფოტორეპორტაჟი

B1 სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ქვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# არჩევნები საქართველოში - რა დევს სასწორზე?

პირველი გვერდიდან

უფრო ეფექტურად გამოიყენონ.

უფრო მეტიც, ახალმა ლიდერებმა უნდა გამოიჩინონ უფრო მეტი უნარი იმისა, რომ რეგიონში ამერიკის გრძელვადიანი ეკონომიკური და უსაფრთხოების ინტერესები დაიცვან. ამისათვის კი აუცილებელია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა, რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის ასამოქმედებლად მაქსიმალური ძალისხმევის გამოჩენა.

64-მილიონიანი "წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა" უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთვის გაწეული ამერიკული დახმარების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ეს პროგრამა ახლახან გაფართოვდა და მიზნად ისახავს, საქართველოს შეიარაღებული ძალები სწრაფი რეაგირებისა და ანტიტერორისტული ქვედანაყოფებით გააძლიეროს. შევარდნაძის მსგავსად, ახალი ხელისუფლებაც მხარს უჭერს უსაფრთხოების სფეროში ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობას, მაგრამ, შევარდნაძისაგან განსხვავებით, რეფორმატორი ლიდერები მზადყოფნას გამოხატავენ, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურებში რეფორმები გაატარონ, საარჩევნო პროცესი გააუმჯობესონ და ეკონომიკური რეფორმები დააჩქარონ. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს ქვეყანაში შიდა სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებას და საქართველოს თავიდან აარიდებს კოლაფსს, რომლის საშიშროების წინაშე ის სულ მცირე ხნის წინ იდგა. ასეთი კოლაფსი კი, რომელიც გაყინული კონფლიქტების მქონე რეგიონს დესტაბილიზაციით დაემუქრებოდა, სერიოზული პრობლემა გახდებოდა ამერიკის ხელისუფლებისათვის.

დღეს ყველაზე დიდი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის განვითარებას, კორუფციაა. “ტრანსპარენსი ინტერნეშენალის” მიხედვით, საქართველომ კორუფციის მაჩვენებლით ისეთი ქვეყნები ჩამოიტოვა უკან, როგორიც სიერა ლეონე და ლიბიაა. კორუფციის პრობლემის გადაჭრა, როგორც ჩანს, ძალიან რთული ამოცანა იქნება, მაგრამ ახალი ლიდერები ამჟღავნებენ სურვილს, რომ ამ პრობლემას, სირთულის მიუხედავად, მაინც შეეჭიდონ.

დროებითმა მთავრობამ უკვე დაიწყო იმ კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც მსხვილმასშტაბიან კორუფციაში იყვნენ ჩართული. კორუფციის დაძლევაში ახალ ხელისუფლებას ამერიკის ადმინისტრაციაც დაეხმარება. ოფიციალური დელეგაცია, რომელიც დეკემბრის დასაწყისში ეწვია თბილისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციისათვის მთავრობას სერიოზულ ფინანსურ დახმარებას დაჰპირდა. ეს სამინისტრო წლების განმავლობაში კორუფციის ბუდედ ითვლებოდა.

ამერიკის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება აღმოსავლეთ-დასავლეთ დერეფნის ამუშავებას, ახალგაზრდა ლიდერების ასევე დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის გახსნა 2005-2006 წლებში იგეგმება. ეს პროექტები, რომელიც რუსეთის მიერ კონტროლირებადი მილსადენებისა და ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსების სერიოზულ ალტერნატივად განიხილება, საქართველოს გავლით თურქეთში კასპიის ენერგორესურსების გადაზიდვას ისახავს მიზნად. ახალი შორსმჭვრეტელი ლიდერების არჩევა ხელს შეუწყობს მილსადენების უსაფრთხოების დაცვას და ამ პროექტების ქართველი ხალხის სასარგებლოდ გამოყენებას.

შესაძლოა, ახალ ლიდერებს არ ჰქონდეთ მზა რეცეპტი ყველა იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას აწუხებს. მაგრამ დღეს ქართველი ხალხი პირველ ნაბიჯს დგამს უკეთესი მომავლისაკენ.

ბუშის ადმინისტრაციის მთავარი პრიორიტეტები ამ ეტაპზე უსაფრთხოების ინტერესთა ბალანსი, ეკონომიკური პრობლემები და მსოფლიოში დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზებაა. შესაძლოა, დღეს საქართველო ის უნიკალური ადგილი გახდეს, სადაც ამ სამივე მიზნის მისაღწევად ეფექტური ნაბიჯები გადაიდგმება.

4 იანვრის არჩევნები საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში ახალი ერის დასაწყისი უნდა გახდეს - იმ ახალი ერისა, როცა საქართველო ამერიკის ადმინისტრაციის ინტერესების სფეროში სამუდამოდ შევა.

# საქართველოში პოზიტიურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა ექნება რეგიონისთვის

### ინტერვიუ აზერბაიჯანელ პოლიტოლოგ ჯეიჰუნ მოლა-ზადესთან

თვეზე მეტი გავიდა საქართველოში მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ინტერესი საქართველოში მიმდინარე პროცესების მიმართ ვაშინგტონში ოდნავადაც არ ჩამცხრალა. ამერიკის ადმინისტრაციისა თუ ამერიკული კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები აქტიურად უჭერენ მხარს და იმავდროულად დიდ იმედებს ამყარებენ საქართველოში რეფორმატორული ძალების წარმატებაზე. მათ ანალიზსა და მოსაზრებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავალი მთავრობისთვის, მაგრამ არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია იმ ექსპერტების შეხედულებებიც, რომლებიც ვაშინგტონში კავკასიის რეგიონს წარმოადგენენ.

იმის თაობაზე, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლამ რეგიონის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, აზერბაიჯანელ პოლიტოლოგს ჯეიჰუნ მოლა-ზადეს გავესაუბრეთ.

ჯეიჰუნ მოლა-ზადემ ბაქოს უნივერსიტეტის შუა აზიის ეკონომიკისა და პოლიტოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1983 წელს დაიცვა სადოქტორო არაბულ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. რამდენიმე წელი ევროპის სხვადასხვა ინსტიტუტებსა და საბჭოებში მკვლევარად მუშაობის შემდეგ, იგი გაგზავნილ იქნა ვაშინგტონში აზერბაიჯანის საელჩოს დასაფუძნებლად. 1994 წელს მოლა-ზადემ დააარსა ამერიკა-აზერბაიჯანის საბჭო, ბიზნეს-ლიგა და ჟურნალი "კასპიის გზაჯვარედინი", რომელიც რეგიონზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ამერიკაში. იმავე წლიდან მოლა-ზადე კასპიის რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ განვითარებაზე კონსულტაციებს უტარებს ენერგეტიკის საკითხებზე მომუშავე კვლევით ცენტრებს. ამავე დროს, იგი წამყვან ამერიკულ უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ბიზნეს, პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ საკითხებზე.

**- ბატონო ჯეიჰუნ, თქვენი აზრით, რა გავლენა და მნიშვნელობა ექნება საქართველოში ახალი მთავრობის მოსვლას კავკასიაში მოვლენების განვითარებაზე?**

- უახლოესი რამდენიმე თვე და შემდეგ რამდენიმე წელიწადი უაღრესად მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მთლიანად რეგიონის განვითარებისა და ჩამოყალიბებისთვის. ბოლო ათი წლის განმავლობაში, კასპიის რეგიონის ქვეყნებს პირველად მიეცათ რეალური შანსი მიზანმიმართული ნაბიჯები გადადგან ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა წარმატებით შეუდგება დასავლეთთან ინტეგრაციისაკენ მიმართული პოლიტიკის გაღრმავებას.

საქართველოში პროცესების



ვარდების რევოლუცია გრძელდება.

პოზიტიურ განვითარებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს მთლიანდ რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ, მე და ბევრი ჩემი თანამოაზრე დიდ იმედებს ვამყარებთ საქართველოს სათავეში რეფორმისტული ხელისუფლების მოსვლაზე. ჩემი აზრით, საქართველოს პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც უკვე დიდი ხანია პირადად ვიცნობ, სწორედ ისეთი რეფორმატორი ლიდერია, რომელსაც უნარი შესწევს გაამართლოს როგორც საქართველოს მოსახლეობის, ისე თქვენი ქვეყნის დასავლეთელი მეგობრების იმედები.

**- რა გაძლევთ იმისი ფიქრის საფუძველს, რომ მიხეილ სააკაშვილი სწორედ ის ლიდერი შეიძლება გახდეს, რომელიც ქვეყნის ეფექტურ მართვას შეძლებს**

- მიშას პირველად 1991 წელს ოსლოში შევხვდი. იგი მაშინ კიევის უნივერსიტეტში სწავლობდა და ოსლოში ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით გამართულ იმ ფორუმში მონაწილეობდა, რომელიც ეროვნულ უნცირესობათა უფლებების დაცვაზე მუშაობდა. მაშინ კავკასიაში ორი ყველაზე დიდი პრობლემა სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბახის საკითხები იყო. იმ დროისათვის, მიშა და მე ექსპერტების იმ პატარა ჯგუფს წარმოვადგენდით, რომელიც ყოფილი საბჭოთის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე მუშაობდა. აქედან გამომდინარე, საერთო ძალიან ბევრი გვქონდა. მოგვიანებით კი ორივე ისევ მიგვიწვიეს ოსლოში ორთვიანი პროგრამით, რომლის დროსაც განსაკუთრებით დავუახლოვდით ერთმანეთს.

საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ საქართველო არის მრავალეროვნული მოზაიკა, ხოლო ეროვნულ უმცირესობებთან ჰარმონია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მე ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს სააკაშვილის საქმიანობას უკანასკნელ წლებში და კარგად ვხედავ, რომ ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობებში იგი იმ პრინციპების ერთგული რჩება, რომლებზედაც ჩვენ ოსლოში ვმუშაობდით და რომლებიც მისაღებია მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობისთვის. მსურს პირადად მივმართო საქართველოში მცხოვრები თითოეული ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და ვთქვა, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, იზრუნებს მათი უფლებების დასაცავად და კულტურული და ეკონომიკური განვითარებისთვის.

**- ეროვნული უმცირესობების საკითხის მოგვარება მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ქვეყანაში სხვა არანაკლებ რთული პრობლემებიცაა მოსაგვარებელი. თქვენი აზრით, რომელი მათგანის გადაწყვეტა უნდა გახდეს პრიორიტეტული ახალი პრეზიდენტისა და მთავრობისთვის?**

- მთავრობის წარმატებული მოღვაწეობისთვის უპირობო საფუძველი მმართველ სტრუქტურებს შორის უფლებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება უნდა გახდეს. აუცილებელია შემუშავდეს ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ბალანსირებული და მკაცრი პრინციპები. ეს აუცილებელია ქვეყანაში კანონის უზენაესობის დასამყარებლად, რაზეც თავის მხრივ დამოკიდებული იქნება წარმატება კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. სწორედ კანონის უზენაესობის დამყარება და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა უნდა გახდეს ახალი ხელისუფლების საქმიანობის უმთავრესი პრიორიტეტები.

ახალი მთავრობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანა ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესებაა. არც დასავლეთში და ალბათ, არც საქართველოში არავინ მოელის ეკონომიკის აყვავებას არჩევნებიდან ორ თვეში. ეს გრძელი და რთული პროცესია, თუმცა ახალმა ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მოქნილი ფისკალური, საგადასახადო და სხვა სახის ეკონომიკური რეფორმების გატარება, რომელთა საბოლოო მიზანიც ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება იქნება.

საქართველოს ახალი ხელისუფლების კიდევ ერთი პრიორიტეტი რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და ისეთ მსხვილ რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა უნდა იყოს, როგორიც კასპიური მილსადენებია.

**- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის ამ სტრატეგიული რეგიონული პროექტების წარმატებით განხორციელებას?**

- ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტების განხორციელებას არა მხოლოდ ეკონომიკური და კომერციული ფასეულობა აქვს მისი მონაწილე ქვეყნებისთვის. ამ პროექტების განხორციელებით ხდება რეგიონული თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. შეიძლება ითქვას, რომ ეს თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს. ეს თანამშრომლობა სტრატეგიულია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს შეუწყობს საქართველოსა და აზერბაიჯანის დასავლეთთან ინტეგრაციას, რაც, საბოლოო ჯამში, გააუმჯობესებს ჩვენი ქვეყნების უსაფრთხოებას.

# დსთ-ს 90 დამკვირვებელი

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის სხვადასხვა ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოში დამკვირვებლებად ჩამოდიან. სადამკვირვებლო მისიით 45 კაციანი დელეგაციის გამოგზავნას ევროპის საბჭოს წარმომადგენელი მათიას იორში ჯერ კიდევ კარგა ხნის წინ დაგვპირდა. დაპირებები სხვებისგანაც იყო, თუმცა, ზუსტ რაოდენობას არავინ აკონკრეტებდა. როგორც უკვე ცნობილია, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელით საპრეზიდენტო არჩევნების გასაკონტროლებლად ერთ-ერთი ყველაზე დიდი, 90-კაციანი დელეგაცია აპირებს ჩამოსვლას. დელეგაციის ხელმძღვანელის მისია დსთ-ს აღმასრულებელ მდივანს იური იაროვს დაეკისრა. დესანტი “ორ წყებად” ჩამოდის, რადგან ნაწილს უშუალოდ არჩევნების პერიოდის გაკონტროლება ევალება, მეორეს კი არჩევნების შემდგომი პერიოდის მონიტორინგი დაეკისრება. ყველაზე მეტი დამკვირვებელი (დელეგაციის, დაახლოებით, მესამედი) რუსეთიდან იქნება. მათ გარდა დელეგაციაში შევლენ უკარაინისა და ბელორუსის წარმომადგენლები.

*24 საათი*

# ჩვენ ვიწყებთ სიყვარულზე, ერთობაზე და ღირსებაზე დაფუძნებული საქართველოს მშენებლობას

*"ვინც სააკაშვილს ხმა არ მისცეს!.." – ასეთი პათოსით გაიმართა გუშინ ოპერაში პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი შეხვედრა, რომელიც მოაწყო საზოგადოებრივმა მოძრაობამ – "გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსათვის". დარბაზი სავსე იყო ინტელიგენციის წარმომადგენლებით, რომელთა შორის მრავლად იყვნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეები. მათ შორის მუხრან მაჭავარიანი პირველობდა. სწორედ მან წარმოთქვა მისასალმებელი სიტყვა და უბედურად მიიჩნია ის ამომრჩეველი, რომელიც სააკაშვილს ხმას არ მისცემს.*

ვერიკო თევზაძე

საგანგებო და ხანმოკლე შეხვედრა პოეტ მუხრან მაჭავარიანისა და პრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ სააკაშვილის ემოციური გამოსვლებისაგან შედგებოდა.

**"მე აქ მოვედი დიდი სიხარულით. მე გამოცდილი მაქვს, რას ნიშნავს ღირსეული კაცის გვერდით დგომა... მე მიხარია, რომ მოვესწარი ისეთ ვაჟკაცს, ისეთ ღირსეულ პიროვნებას, როგორიც არის მიშა სააკაშვილი,"** - მუხრან მაჭავარიანმა გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა, რომ მას 50 წელი დასჭირდა ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად, სააკაშვილმა კი ეს გაცილებით მოკლე დროში შეძლო.

ქართველმა პოეტმა უდიდესი შეფასება მისცა ნოემბრის რევოლუციას: **"ქართველმა კაცმა ომი კი იცოდა, მაგრამ უსისხლო ომი თუ იცოდა, არ მეგონა. დედამიწის ზურგზე არასოდეს მომხდარა ის, რაც ქართველმა ხალხმა შეძლო."**

მუხრან მაჭავარიანმა დარბაზის სახელით უდიდესი ნდობა გამოუცხადა პრეზიდენტობის კანდიდატს მიხეილ სააკაშვილს და გამოთქვა რწმენა, რომ სააკაშვილი ხალხის სიყვარულს შეინარჩუნებს კიდეც.

დროის სიმცირის გამო, შეხვედრის სხვა მონაწილეებმა გამოსვლა ვერ შეძლეს და მუხრან მაჭავარიანის შემდეგ ტრიბუნასთან პირდაპირ მიხეილ სააკაშვილი მიიწვიეს:

**"ჩემთვის დიდი პატივია თქვენს წინაშე გამოსვლა. დღეს ამ დარბაზში ვხედავ დიდად პატივსაცემ ხალხს; ხალხს, რომელმაც შექმნა საოცარი ეპოქა საქართველოს უახლოეს ისტორიაში; ხალხს, რომელმაც სამზეოზე გამოიტანა ჩვენი კულტურა და ყოველივე საუკეთესო, რაც გაგვაჩნდა.**

**მე არ მინდა მედროვეების, მლიქვნელების, მატყუარების და მოღალატეების საქართველოში ცხოვრება. მე მინდა მუხრან მაჭავარიანის საქართველოში ცხოვრება და ამ საქართველოს ჩვენ ვქმნით. ჩვენ ბევრი სისხლი და უბედურება განვვლეთ და მე ხშირად მეკითხებიან, ნუთუ არ უნდა დავსაჯოთ ის ხალხი, ვინც სისხლი დაღვარაო. მე მიმაჩნია, რომ ახლა დასჯის დრო არ არის. არა იმიტომ, რომ ისინი დასჯას არ იმსახურებენ, არამედ იმიტომ, რომ საზოგადოებას გამთლიანება სჭირდება. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის, რაც მოხდა, რათა ყოველივე ხელახლა არ განმეორდეს. მცდელობა იმისა, რომ საქართველო ხელახლაააფეთქონ, აუცილებლად იქნება და ამას გააკეთებს იგივე ხალხი, ვინც თავის დროზე გააკეთა, ვინც ჩაკლა ეროვნული მოძრაობა და ვის გამოც საქართველომ დაიგვიანა 10-12 წელიწადი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ჩქარი ნაბიჯებით წავალთ წინ, რათა მოვიპოვოთ ჩვენი მომავალი.**

**წინა მთავრობა ამბობდა, სააკაშვილი ნაციონალიაო, ქადაგებს თავისი ერის უპირატესობასო. დიახ, მე ვქადაგებ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის და ქართველი ერის უპირატესობას. დიახ, მე მიმაჩნია, რომ ბევრზე უკეთესები ვართ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ბევრზე უკეთესები ვართ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ძალიან ორგანიზებულები ვართ და გაგვაჩნია შიდა დისციპლინა. ისინი ამბობდნენ, რომ საქართველო არასოდეს გახდებოდა სახელმწიფო, მაგრამ ჩვენ დავდექით ერთად და დავამტკიცეთ, რომ ვართ ღირსეულნი და ჩვენზე მშვიდობიანი ხალხი არ არსებობს.**



შეხვედრა ოპერაში.

**ისინი გვეუბნებოდნენ, თქვენ არა ხართ ხალხიო. შევარდნაძე რომ არ ჩამოსულიყო, გაერო-ში არ მიგიღებდნენო. კი, მაგრამ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა მიიღეს თავის დროზე, რომლის იმპერატორი, ბოკასა დღეში სამჯერ ბავშვებს ჭამდა. ქართველებს რა სჭირდათ საამისო, რომ რომელიმე ორგანიზაციაში არ მიეღოთ. შევარდნაძე გვეუბნებოდა, მე რომ ვარ, მსოფლიო იმიტომ გეხმარებათო, მაგრამ ჩვენ მოვიცილეთ ეს უბედურება და მსოფლიო მეორე დღესვე დაგვეხმარა.**

**ჩვენ ვიწყებთ სიყვარულზე, ერთობაზე და ღირსებაზე დაფუძნებული საქართველოს მშენებლობას. დღეს ისინი ამბობენ, რომ არჩევნები ჩაიშლება. რამდენიც უნდათ, ილაპარაკონ და აწყონ გეგმები, საქართველოში არჩევნები ჩატარდება. მათ შორის - აჭარაში და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში; და ისიც მინდა დაგპირდეთ, რომ ეს არის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც არ ტარდება აფხაზეთში. შემდეგი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება ზუსტად ისე და იმ მასშტაბებით, როგორც ჩატარდა 1990 წლის საპრეზიდენტო არჩევნები. მე თქვენი იმედი მაქვს, 4 იანვრის შემდეგ კი თქვენ გქონდეთ ჩემი იმედი,"** – ასე დაამთავრა გამოსვლა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც გუგუნა ტაში, წითელი ვარდი და ხატი მიიღო.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# იმედისა და რაღაც მეტის შეთავაზება

პირველი გვერდიდან


გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*რიჩარდ მაილსი მომავალს ოპტიმისტურად უყურებს.*

გასული ათი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ქვეყანაში შემოტანილი ხორბლის რაოდენობა შეფასებულია, დაახლოებით, 350 მილიონ აშშ დოლარად. ეს იაფი ხორბალი ქვეყანას დაეხმარა საკვების მნიშვნელოვანი დეფიციტის აღმოფხვრაში და საქართველოს მოსახლეობის საკმარისი საკვებით უზრუნველყოფაში. ხორბალი იყიდება ქართულ ბაზარზე და ამოღებული თანხები ხმარდება მცირე ფერმებისა და სოფლის მეურნეობის დაწესებულებების დახმარების სხვადასხვა პროგრამების დაფინანსებას.

აშშ-ს მიკრო ფინანსურმა პროექტებმა ქვეყანაში შექმნა სამუშაო ადგილები. მხოლოდ 2000-2003 წლების პერიოდში, USAID-ის მიკროფინანსური პროგრამების მეშვეობით, გამოყოფილ იქნა 68, 500 სესხი მცირე ოჯახური ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რამაც შექმნა, დაახლოებით, 45,000-დან 50 000-მდე სამუშაო ადგილი და უზრუნველყო შემოსავლების უსაფრთხოება. სოფლის საკრედიტო პროგრამების ფარგლებში სესხი გამოეყო 1715 აქტიურ მსესხებელს, რომლებსაც მოჰყავთ ხორბალი, ხილი, ბოსტნეული და მისდევენ მესაქონლეობას. დადგინდა, რომ ამ სესხების გაცემის შედეგად შიქმნა 6860 სამუშაო ადგილი. უმრავლეს შემთხვევაში ამ სესხების მიმღები პირები ვერ შეძლებდნენ ფულის სესხებას სხვა საშუალებით. მიწის პრივატიზაციის პროგრამა მცირე ფერმერებს და სოფლად მაცხოვრებელ ოჯახებს დაეხმარა მათი საკუთრების შეფასებასა და დარეგისტრირებაში და, აგრეთვე, 2.4 მილიონი მცირე მიწის ნაკვეთის სერთიფიკატებისა და საკუთრების მიღებაში.

საქართველოში არსებობს აშშ-ს გადასახადის გადამხდელთა მიერ დაფინანსებული თემის თვითგანვითარების პროგრამები. 2000 წლიდან მოყოლებული, საქართველოს თემებში განხორციელდა 1094 პროექტი (სკოლების, საავადმყოფოების, საირიგაციო არხების, ხიდებისა და ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაციისათვის). ამჟამად ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულია 1000 თემის ჯგუფი, რომელთაც ჩაუტარდათ გაკვეული სწავლება თემის მობილიზებისა და დონორებთან ურთიერთობის საკითხებში, რათა თავად შესძლონ თემის დონეზე არსებული პრობლემების გადაჭრა.

აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამების მეშვეობით გაიზარდა ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, რამაც უფრო მეტი გავლენა იქონია ბავშვებზე. მაგალითად, ამ პროგრამების მეშვეობით, საგარეჯოს ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებთან სამი წლის მუშაობის შედეგად, ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა 1000 დაბადებულ ცოცხალ ბავშვზე 25.2-დან 11.1-მდე. ამას გარდა ქართველი ბავშვების 87.5 პროცენტი ამჟამად აცრილია ტუბერკულიოზის, დიფტერიის, კრუნჩხვის, პოლიომიელიტის, წითელასა და ყივანახველის პროფილაქტიკისათვის. ეს გახლავთ სრულიად ბავშვთა ვაქცინაციის პროგრამა, რეკომენდებული მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაციის მიერ.

და ბოლოს: უკვე კონტროლს დაექვემდებარა დიფტერიის პრობლემა და სულ ახლახან საქართველო გამოცხადდა ქვეყნად, სადაც აღარ არის პოლიომიელიტი.

ქუთაისსა და მცხეთაში დაარსდა და შესაბამისად აღიჭურვა ჯანმრთელობის ადგილობრივი ცენტრები, რომელთა საქმიანობაც ძირითადად მიმართულია პირველად სამედიცინო მომსახურებაზე და ქალთა ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებიც 2000 წლიდან მოყოლებული მოემსახურნენ, დაახლოებით, 9000 პაციენტს. დაახლოებით, 900-მა სამედიცინო მუშაკმა გიარა სწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის, ტუბერკულოზისა და შიდსის მკურნალობის საკითებში.

1992 წლიდან აშშ-ს მთავრობის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, 2,430-მა ქართველმა მიიღო განათლება აშშ-ს უმაღლეს სასწავლებლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში, ამ პროგრამების საერთო ღირებულება 60 000 აშშ $-ს შეადგენს ამერიკის გადამხდელთათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების დანახვა შეუძლებელია დაუყოვნებლივ, ჩვენ მიგვაჩნია რომ ეს მიზანშეწონილი კაპიტალდაბანდებაა საქართველოს მომავლისთვის და საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შატების ურთიერთობისთვის.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის ღირებულების წვრთნის, აღჭურვის და ტექნიკური დახმარების პროგრამები, რომლებიც მიმართული იყო უშიშროების სამსახურების, საზღვრის დაცვის და ჯარის დასახმარებლად. ათასობით ქართველმა მამაკაცმა თუ ქალმა უშუალოდ ისარგებლა ამ პროგრამების დახმარებით და თითოეული ქართველისათვის სასარგებლო იყო ამ სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმჯობესება. განსაკუთრებით ვამაყობთ წარმატებული წვრთნისა და აღჭურვის 21 თვიანი პროგრამით, რომელშიც ჩაიდო 64 მილიონი აშშ დოლარი და რომლის ფარგლებშიც მომზადდა ოთხი გაწვრთნილი და აღჭურვილი საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ბატალიონი, რომლებშიც სულ 2,600 მამაკაცი და ქალი მსახურობს. ამ ციფრში არ შედის 300 მესაზღვრე და შინაგანი ჯარების წარმომადგენელი, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ წვრთნებში.

ჩვენ ძალზე სერიოზულად ვუდგებით საკითხს იმის შესახებ, რომ აშშ-ს მიერ გაღებული დახმარების სახსრები, შესაძლოა, არ იქნას გამოყენებული დანიშნულებისამებრ და ვერ მიაღწიოს იმ პირებამდე, ვისთვისაცაა განკუთვნილი. აშშ-ს სააგენტოები ახდენენ ამ ფონდების სერიოზულ მონიტორინგს, რათა არ დაუშვან ამგვარი რამ. როცა ჩვენ ვიგებთ აშშ-ს ფონდებთან დაკავშირებულ კორუფციისა და დარღვევების შესახებ, ერთობ სერიოზულად ვიძიებთ ამ საქმეებს. ყოველთვის მივესალმებით ნებისმიერი წყაროდან სარწმუნო მტკიცებულების მიღებას აშშ-ს დახმარების ფონდების ნებისმიერი სახით არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დახმარების დიდი უმეტესობა მიდის იქ, სადაც ჩაფიქრებული იყო მათი დაბანდება - პროგრამებში, რომლებსაც სარგებლობა მოაქვთ ქართველი ხალხისთვის. ჩვენ უნდა განვაგრძოთ მუშაობა საქართველოს ხელისუფლებასთან, რათა უზრუნველვყოთ ის, რომ ყველა ჩვენი დახმარება გამოყენებული იქნას უფრო ეფექტურად და მოხმარდეს საზოგადოების კეთილდღეობას.

**PSP-ს სააფთიაქო ქსელი გილოცავთ ახალ 2004 წელს და გთავაზობთ**

PSP ჰსჰ Cemi ojaxis afTiaqi

- დაბალ ფასს
- პროფესიონალ, გამოცდილ ფარმაცევტების მომსახურებას
- გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს
- საინფორმაციო მომსახურებას საქართველოში დარეგისტრირებული ყველა მედიკამენტის შესახებ ტელეფონის ნომერზე 91-11-01.

ინფორმაცია პროფესიონალურ დონეზე მედიკამენტთან დაკავშირებული თქვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ, შეგიძლიათ მოიპოვოთ როგორც "PSP აფთიაქში", ასევე, "პი-ეს-პი"-ს სპეციალური საინფორმაციო სამსახურის საშუალებით.

საინფორმაციო სამსახური 91 11 01 დაგეხმარებათ მიიღოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია არა მარტო წამლის გამოყენებისა და დოზირების შესახებ, არამედ შეიტყოთ თქვენთვის სასურველ ტერიტორიაზე კონკრეტულად რომელ აფთიაქში და რა ფასად შეგიძლიათ საჭირო მედიკამენტის შეძენა.

# თქვენი ოპონენტებიდან ვის ისურვებდით საახალწლო სუფრასთან?

**ცოტნე ბაკურია, "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი:**

"არც ერთი ჩემი ოპონენტი პიროვნულად არ მძულს, თუმცა ამაზე არც მიფიქრია... საახალწლო სუფრასთან ოპონენტებთან ერთად აუცილებლად დავჯდებოდი, თუნდაც იმიტომ, რომ გავიგო პოლიტიკის გარდა, რა აინტერესებთ, როგორი მოქეიფეები და მოსაუბრენი არიან. ოპონენტი ბევრი მყავს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს სუფრასთან ნაკლებად ვინატრებდი. ზურაბ ჟვანიასთან ერთად შეიძლება, რადგან მისი ინტელექტი მაინტერესებს. სიამოვნებით მივუჯდებოდი სუფრას ნინო ბურჯანაძესთან ერთად, მით უმეტეს, რომ ჩემი შვილის ნათლიაა... ისე, ინტერესისთვის საახალწლო სუფრაზე უარს არც „აგრესიულ ნაციონალებთან" ერთად დაჯდომაზე ვიტყოდი.

**მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტარი:**

"თუ არჩევანის საშუალება იქნება, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს, ღვინის სმის შეძლებიდან გამომდინარე, თანამეინახედ, არ ავირჩევდი. კარგ მსმელად არ ვითვლები, ამას პრიორიტეტს არ ვანიჭებ. ახალ წელს სუფრასთან ჩემთვის უახლოეს მეგობრებსა და ოჯახურ წრეში მირჩევნია გართობა. თუ მაინცდამაინც ოპოზიციონერთან ერთად გინდათ დავჯდე, მაშინ მხოლოდ იმასთან, ვინც კარგი მოლხენა იცის. მაგალითად, გოგი თოფაძესთან და ზურაბ ტყემალაძესთან, „ახლების" დავით კერესელიძესთან ერთადაც სიამოვნებით მივუჯდები სუფრას, თუნდაც საახალწლოს."

**ვანო ზოდელვა, თბილისის მერი:**

"ყველა ჩემს პოლიტიკურ ოპენენტთან მივუჯდებოდი საახალწლო სუფრას, რადგან მინდა, რომ მომავალი წელი შერიგების და თანხმობის წელი იყოს. დღეს, როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანას გაერთიანება სჭირდება."

**გურამ შარაძე, პარლამენტარი:**

"საახალწლო სუფრა საერთოდ არ მიყვარს, ამიტომაც არც პარტნიორებთან და არც ოპონენტებთან სუფრასთან ჯდომას არ ვაპირებ."

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერი:**

"საახალწლო სუფრას ჯორჯ სოროსთან ერთად სიამოვნებით მივუჯდებოდი, რადგან შექმნილ სიტუაციაში სწორედ ის აღმოჩნდა ჩემი პოლიტიკური ოპონენტი. სწორედ იგი დაეხმარა სამ პატარა შევარდნაძეს ამ ქვეყნად მოვლინებაში."

**ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის" ლიდერი:**

"ჩემს შეურიგებელ ოპონენტს ედუარდ შევარდნაძეს დღეს უკვე დაკარგული აქვს ძირითადი თვისება — სხარტი აზროვნება და სიმკვირცხლე, რითაც ის სუფრასთან გამოირჩეოდა. დღეს მასთან სუფრასთან მოხვედრა საინტერესო აღარ არის, რადგან ფიზიოლოგიურად დაკარგა ის ხიბლი, რითაც ახალგაზრდობაში გამოირჩეოდა. ერთადერთი შეურიგებელი ოპონენტი, ვისთან ერთადაც გასართობად დავჯდებოდი სუფრასთან, ვახტანგ გოგუაძეა. მას რომ სუფრასთან ნახავთ, დარწმუნდებით, რა სასაცილო ობიექტზეა აგებული პრორუსული აგენტურა საქართველოში."

*მედია-ნიუსი*



## მსოფლიო ეკონომიკა - 2003

*ამ დღეებში ეკონომიკის ექსპერტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით, გასული წლის ეკონომიკურ მოვლენებს აჯამებდნენ. "ბიზისი"-ს ინფორმაციით, 2003 წლის ეკონომიკური მოვლენების და ციფრების გადახედვა ცხადყოფს, რომ მიუხედავად მსოფლიო არეულობის, ერაყის ომისა და ატიპური პნევმონიის ვირუსის მასობრივი გავრცელებისა, 2003 წელს მსოფლიო ეკონომიკა იმაზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, ვიდრე ამას ვინმე მოელოდა.*

მარიამ ჭაჭვაძე

მსოფლიოში ნომერ პირველი სახელმწიფოს - აშშ-ს ეკონომიკა შარშან მხოლოდ პირველ სამ კვარტალში 8.2 პროცენტით გაიზარდა, ბრიტანეთის - 3.1 პროცენტით. 1.5 პროცენტით გაიზარდა ეკონომიკა საერთოევროპულ ზონაში.

რუსეთის ფედერაციამ საკუთარი ეკონომიკის განვითარება ნავთობზე ფასის მომატებითა და ქვეყანაში მოხმარებული პროდუქტის რაოდენობის გაზრდით მოახერხა. რუსეთში გაიზარდა მოსახლეობის შემოსავლები თითქმის 14 პროცენტით, 2003 წელს რუსეთში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შეადგინა 6.5-6.9 პროცენტი. ეს ციფრები ოდნავ ჩამორჩება ჩინეთის მაჩვენებელს. ჩინეთში შიდა პროდუქტის მოცულობამ 9.1 პროცენტი შეადგინა. საოცარია მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ რუსეთის მაჩვენებელს თითქმის ორი პროცენტით გადააჭარბა. მშპ-მ 8.3 პროცენტზე მეტი შეადგინა საქართველოში. მშპ-ს ასეთი მკვეთრი ზრდა, ძირითადად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ხარჯზე მოხერხდა.

შარშან თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით საფონდო ბირჟებზე განსაკუთრებული ზრდა შეინიშნებოდა. დოვ ჯონსის ინდექსი 2003 წელს 22 პროცენტით გაიზარდა, ნაზდაკის – 44. ამ თვალსაზრისით გასულ წელს ჩემპიონები ლათინური ამერიკის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ, სადაც ბაზრის კაპიტალიზაცია თითქმის გაორმაგდა. ამის ფონზე რუსეთის საფონდო ბირჟის განვითარების ტემპები ცოტათი მოკრძალებულად გამოიყურება – 38 პროცენტი.

გასული წლის მთავარ ეკონომიკურ მოვლენად იქცა ამერიკული დოლარის კურსის მნიშვნელოვნად დაცემა. სამაგიეროდ, გაიზარდა ევროს კურსი. 2003 წელს მთელი წლის განმავლობაში ევროს კურსმა თითქმის 20 პროცენტით მოიმატა. სხვათაშორის, ამან თავისი უარყოფითი შედეგიც იქონია - ევროპული კომპანიების კონკურენცია მსოფლიო ბაზარზე განსაკუთრებულად გაჭირდა. დოლარის კურსის ვარდნამ, გარკვეულწილად, დადებითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკაზე. ამან რუსული რუბლის გაამყარებას შეუწყო ხელი. საქართველოში კი ეროვნული ვალუტა ჩვეულ სტაბილურ რეჟიმში იყო და მას განსაკუთრებული რყევები არ განუცდია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მოლაპარაკების მორიგი რაუნდი შარშან ჩიხში შევიდა. დებატები მომავალი წლის მსოფლიო ვაჭრობის შესახებ, რომელიც მექსიკის საკურორტო ქალაქ კანკუნეში მიმდინარეობდა, კონკრეტული გადაწყვეტილების გარეშე დასრულდა. მსო-ს წევრი სახელმწიფოები ძალიან ბევრ საკითხზე ვერა და ვერ შეთანხმდნენ. მსოფლიოს უღარიბესი სახელმწიფოები აცხადებდნენ, რომ არსებული სავაჭრო ბარიერების გამო, ისინი ყოველწლიურად, სულ ცოტა, 60 მილიარდ დოლარს კარგავენ.

მიუხედავად შვედეთის ხელისუფლების აქტიური მოთხოვნისა, შვედეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარმა 2003 წელს ჩატარებულ რეფერენდუმზე უარი განაცხადა მათ ქვეყანაში ევროს შემოღებაზე. რეფერენდუმის შედეგებით იმედგაცრუებულ დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის ხელისუფლებამ დროებით დაივიწყა საერთო ევროპულ ვალუტაზე გადასვლის საკითხი.

მსოფლიოში ცნობილი კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმი" შარშან რუსეთის ეკონომიკაში ყველაზე მსხვილი ინვესტორი გახდა. გასულ წელს ნავთობის ხსენებულ კომპანიას 2003 წელს საქართველოშიც ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორად მოიხსენიებდნენ ქართველი ექსპერტები. ბი-პიმ შარშან პირობა დადო, რომ ორ ადგილობრივ კომპანიასთან ერთად უახლოესი სამი წლის განმავლობაში შვიდი მილიარდი დოლარის ინვესტიციებს განახორციელებდა რუსეთის ფედერაციაში.

გასული წლის ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ მოვლენად ექსპერტები რომან აბრამოვიჩის მიერ ლონდონური "ჩელსის" ყიდვის ფაქტს ასახელებენ. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ გარიგებამ რუსეთის მილიარდერებს დასავლეთის ბაზარზე კარი გაუხსნა. ჩუკოტკის გუბერნატორს ეს შენაძენი 111 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდა.

ცნობილი ნავთობკომპანიის "იუკოსის" ერთ-ერთი მეწილის ხოდორკოვსკის დაპატიმრებამ შარშან გარკვეული გავლენა იქონია მსოფლიოს ეკონომიკაზე. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა კომპანიის აქციების ღირებულება, შეფერხა ბაზრის განვითარება, და გაჩნდა იმის შიში, რომ ხელისუფლება ქვეყანაში პრივატიზაციის შედეგების გადახედვას მოახდენდა.

მსოფლიოში ცნობილმა მედია იმპერიამ შარშან გადაწყვიტა საკუთარი აქტივები ამერიკაში გაეყიდა და ამით დაეწყო საკუთარი კომპანიის რესტრუქტურიზაციის პროცესი. კომპანიისთვის ამ მტკივნეული პროცესის მიუხედავად, მან შარშანდელი წელი მნიშვნელოვანი მოგებით დაასრულა.

მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის "გლაქსო სმიტკლაინის" აქციონერებმა, ხელფასების მომატების მოთხოვნით, შარშან ფართომასშტაბიანი ბუნტი მოუწყვეს საკუთარ ხელმძღვანელობას, რაც გადამდები აღმოჩნდა სხვა ბევრი კომპანიისთვის. ასე, მაგალითად, "ბურბერის" აქციონერებმა კომპანიის მენეჯერი აიძულეს, რომ მას საკუთარი პრემიების მოცულობა მნიშვნელოვნად შეემცირებინა, ხოლო "ვივენდის" თანამშრომლებმა კომპანიის მეთაური კინაღამ დასვენების დღის გარეშე დატოვეს.

ამას გარდა, შარშან მაქინაციებში ამხილეს ისეთი მსხვილი და ცნობილი კომპანიების ხელმძღვანელი პირები, როგორიცაა "ტუკო", "კრედიტ სუისს ფერსთ ბოსტონი", "კრედიტ ლუნაისი" და სხვები. შარშან მოსამართლეებს ისეთი გახმაურებული საქმეების მოსმენა და განხილვა მოუწიათ, როგორიც იყო "ენრონის" და "ვორლდკომისა" და სხვა საქმეები.

# საქართველოს ეკონომიკა - 2003



*გასული წლის მთავარი ეკონომიკური მიღწევა ბაქო-თბილისი-ჭეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება იყო.*

თუმცა, გასულ წელს, მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური ძვრების მომსწრენი არ ვყოფილვართ ("24 საათთან" საუბარში ეკონომიკურმა ექსპერტებმა ამ წელს ეკონომიკური თვალსაზრისით უინტერესოც კი უწოდეს), გადადგმული იქნა ნაბიჯები, რომლებმაც ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის ბედი შორეულ პერსპექტივაშიც განსაზღვრეს და რომელთა შეფასებაც არა თუ დღეს, არამედ წლების მანძილზე იქნება აქტუალური.

### ძველი ხელისუფლების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა

გასულ წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა დაიწყო - სწორედ ამით აიხსნება 2003 წელს საქართველოში შემოსული ინვესტიციების მაჩვენებლის ზრდა და უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შემცირება.

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ გასული წელი სწორედ აღნიშნული ნავთობსადენის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟით დაიწყო - არასამთავრობოებს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოსვლები წლის განმავლობაში არ შეუწყვეტიათ, თუმცა პრობლემები მაინც ნავთობსადენის მშენებლობის სასარგებლოდ გადაწყდა.

წლის ბოლოს დაფინანსების საკითხებიც, პრაქტიკულად, გაირკვა, სამუშაოების თითქმის ნახევარიც შესრულებულია, რაც საუბრებს მარშრუტის ცვლილების, პროექტის ჩაგდებისა და სხვა მსგავსი არაოპტიმისტური პროგნოზების შესახებ საფუძველს აცლის.

ბოლო ათწლეულის მანძილზე, ნავთობსადენისა და გაზსადენის მნიშვნელობაზე უკვე იმდენი ითქვა, რომ დღეს ამაზე საუბარი გადაჭარბებულიცაა.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და დიდი კავკასიური გაზსადენის მშენებლობის პერსპექტივას, რომელსაც საფუძველი ძველი ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა, შავ ლაქად გასდევს იგივე ძველი ხელისუფლების მიერ სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელებული ენერგოპოლიტიკა, რომელმაც საქართველოს ენერგობაზარზე რუსულ ინტერესებს გაუხსნა კარი.

2003 წლის შემოდგომა საქართველოში, ამ თვალსაზრისით, მართლაც განსაკუთრებით მძიმე გახლდათ - სწორედ ამ დროს გაჟღერდა ინფორმაცია ჯერ "თელასის" რუსულ "რაოეეს-როსიი"-ზე გაყიდვის, შემდეგ კი, ქართულ გაზმომარაგებაში რუსული გაზპრომისთვის, ფაქტობრივად, ექსკლუზიური უფლებების მინიჭების შესახებ.

ეს მოვლენა ქართული ეკონომიკისთვის რამდენიმე თვალსაზრისით გახლდათ მნიშვნელოვანი - პირველ ყოვლისა, საქართველო დატოვა ამერიკულმა კომპანია "ეი-ი-ეს"-მა, რომლის მოღვაწეობაზე ცალკე შეიძლება მსჯელობა, თუმცა ფაქტია, რომ ეს საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯს დადებითად ნამდვილად არ წაადგა. მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა კომპანიის მიერ ქვეყნის დატოვების მიზეზად ხელისუფლების მხრიდან შექმნილი ხელოვნური ხელისშემშლელი პირობები დასახელდა, რაშიც ნამდვილად იყო სიმართლის მარცვალი.

მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ შემოდგომაზე საქართველოს ენერგომომარაგება თითქმის მთლიანად "ჩაბარდა" რუსეთს, რამაც ჩრდილოელ მეზობელს საქართველოს მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტები - ენერგობერკეტები ჩაუგდო ხელში. ამავე პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია მაგისტრალური გაზსადენების "გაზპრომისთვის" გადაცემის შესახებაც, რამაც კატასტროფული საფრთხე შეუქმნა კავკასიური გაზსადენის იდეას და ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. მართალია, მაგისტრალური გაზსადენები, ჯერჯერობით, სახელმწიფოს ხელშია დარჩენილი, თუმცა მათი ტექნიკური მდგომარეობა ოპტიმისტური დასკვნების გაკეთების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

გარდა ამისა, ენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ენერგომომარაგების თვალსაზრისით კვლავ ქაოსია შექმნილი, რომ ბოლო წლის განმავლობაში ისევ აქტუალური გახლდათ ადგილობრივი მმართველობის ჩარევები რეგიონების ელექტრომომარაგების საქმეში, "თელასი" კვლავ ედავებოდა ერთიან სახელმწიფო ენერგოსისტემას და გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიას, გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია - გუბერნატორებს, გუბერნატორები - ენერგეტიკის სამინისტროს, ყველა ერთად - ქვეყნის ხელმძღვანელობას და ერთმანეთს, და ა.შ. და ა.შ.

ამას გარდა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომელიც ნოემბრის ბოლოს მოვიდა ქვეყნის სათავეში, განსაკუთრებულად მძიმე მემკვიდრეობა ერგო ქვეყნის 300 მილიონს ზემოთ გარღვეული ბიუჯეტისა და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან "მოშლილი" ურთიერთობების სახით. ნოემბრის ბოლოსთვის რაიონების მოსახლეობას ივლისის პენსია არ ჰქონდა აღებული, თბილისსას - აგვისტო-სექტემბრის, საქართველოს მასშტაბით საბიუჯეტო ორგანიზაციებში დაგროვილი გახლდათ რამდენიმეთვიანი სახელფასო დავალიანება, თავდაცვის სამინისტროში დარჩენილი იყო სულ ორი დღის საკვები და ა.შ.

ამას დაუმატეთ თავიდან დასაწერი ბიუჯეტი, არასახარბიელო საინვესტიციო გარემო, მხოლოდ ნავთობსადენის მშენებლობის ხარჯზე გაზრდილი წარმოების ზრდის ტემპი,

აგრეთვე, ისევ და ისევ კლანების ხელში მყოფი სახელმწიფო სტრატეგიული საწარმოები, ბიზნესმენთა და სახელმწიფოს შორის არსებული არაჯანსაღი ურთიერთობა - ანუ სიტუაცია, როცა ხელისუფლება მის ხელთ არსებული კომპრომატების წყალობით, ახერხებს დიდი ბიზნესის "ჩასმას ჯიბეში" და არაკონკურენტუნარიან ბიზნეს-გარემოს წარმატებით ინარჩუნებს.

### ახალი ხელისუფლების პირველი ნაბიჯები

ერთი თვეა, ახალი ხელისუფლება ქვეყანას მართავს. მართალია, პრეზიდენტი ჯერ კიდევ არ არის არჩეული, თუმცა "ეკონომიკური გუნდი", ყოველ შემთხვევაში ის გუნდი, რომელიც მომავალი რამდენიმე თვის მანძილზე მაინც ქვეყნის სათავეში იქნება, უკვე შერჩეულია. ამ გუნდმა ერთ თვეში უკვე მოასწრო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

ახალმა ხელისუფლებამ ერთი თვის მანძილზე ხელფასებისა და პენსიების დავალიანების მხოლოდ ერთი თვით შემცირება შეძლო, ისიც - ნაწილობრივ.

29 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ დაუფინანსებელი იყო ივლისის თვის პენსია, გარღვევა 0,2 მილიონი ლარია. აგვისტოს თვის პენსიის დაფინანსებაში გარღვევა 8,5 მილიონი ლარია, სექტემბერში - 9,7 მილიონი ლარი, ოქტომბერში - 11,9 მილიონი ლარი, ნოემბერში - 13,6 მილიონი ლარი, ხოლო დეკემბრის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა. უმწეოთა სოციალური დახმარება სრულად არის დაფინანსებული ნოემბრის ჩათვლით. ძალოვანი სტრუქტურების და რეგრესული პენსიები სრულად არის დაფინანსებული მხოლოდ ოქტომბრის ჩათვლით. 29 დეკემბრისათვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა, დაახლოებით, 50 მილიონი ლარია. 29 დეკემბრისათვის ჯერ კიდევ არ დასრულებულა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების 11 თვის გეგმის დაფინანსება. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები დაფინანსებულია 87,3 პროცენტით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამები - 62,8 პროცენტით, ხოლო უმუშევრის სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები - 70,3 პროცენტით.

რა თქმა უნდა, როგორც ზემოთაც ვთქვით, ამაში "ლომის წილი" ძველ ხელისუფლებას მიუძღვის, ამიტომ მასზე პასუხისმგებლობას ახალ ხელისუფლებას ვერ დააკისრებ. სამაგიეროდ, ფაქტია, რომ ახალმა ხელისუფლებამ მოასწრო უარის თქმა მის მიერვე ერთი წლის წინ ლობირებულ მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრებაზე, მოამზადა ცვლილებები, რომლებიც ძველი ხელისუფლების პირობებში დამტკიცებული სოციალური შეღავათების და პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდის "გადავადებას" ითვალისწინებს.

თუმცა აქვე, დროებითი ხელისუფლების მიერ ერთი თვის მანძილზე შექმნილი მემკვიდრეობიდან აუცილებლად აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობაში დაწყებული "დათბობა", რომელიც მსოფლიო ბანკის ახალი პროექტის ხელმოწერითა და აშშ-ს და ეუთო-ს მიერ საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარებების სახით უკვე დაფიქსირდა.

აღსანიშნავია საფინანსო სექტორში განხორციელებული საკადრო ცვლილებები და ნოღაიდელის მიერ გაცხადებული პრინციპები, რომელთა შესრულება ჯერ კიდევ წინ არის.

აღსანიშნავია სახელმწიფო საწარმოთა მართვის რეფორმირების განზრახვა, რომელმაც პირველ ეტაპზე - საწარმოთა კლანებისგან გათავისუფლების დიდი იმედები, ხოლო რკინიგზასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ კი - გარკვეული კითხვები უკვე გააჩინა.

აღსანიშნავია შიდა ქართლის გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ერგნეთიდან მომავალი კონტრაბანდული გზის "ჩაკეტვის" წარმატებული მცდელობები.

ეკონომიკურ დანაშაულებთან ბრძოლის გააქტიურებას კი მაინც თან სდევს ეჭვი - ეს არის დანაშაულთან ბრძოლის ერთგვარი ფრაგმენტულობა და "ბრალმდებლად" კორუფციული სისტემის "ღვიძლი შვილის", არარეფორმირებული პროკურატურის გამოსვლა.

მოკლედ, ასეთია ის ეკონომიკური მემკვიდრეობა, რომელიც საქართველოს 2004 წელში გადაჰყვა. ხოლო რადგან ახლა ახალი წელია, მიმოხილვას ბოლო წლების მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ეკონომიკური წარმატებით დავასრულებთ - ახალ წელს გასული წლისგან მემკვიდრეობად, რევოლუციური ქარიშხლებისა და დინამიური ქაოსების მიუხედავად, მყარი, კურსშენარჩუნებული ეროვნული ვალუტა - ლარიც ერგო.

**და ბოლოს:** ალბათ, მიუხედავად ახალი ხელისუფლების მიერ უკვე დაშვებული გარკვეული შეცდომებისა, საახალწლო იმედებს, მათ შორის - ეკონომიკურ იმედებსაც უდავოდ კვებავს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებაში "ახალი", ძველზე გაცილებით ჯანმრთელი სისხლი შემოდის. ხოლო, რადგან საქართველოს ეკონომიკის მთავარი პრობლემები ქვეყნის ხელისუფლების კორუმპირებულობისა და არაკომპეტენტურობის შედეგია, ხელისუფლებაში ახალი ხალხის მოსვლა უკვე ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკას გაჯანსაღების ნიშნები მიმდინარე წელსვე უნდა დაეტყოს.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს-სესხები
16% - დან
წლიური

ტელ.: 20-16-16

ფილიალების ქსელი

ცენტრალური ფილიალი
0112 თბილისი
თამარ მეფის გამზ. 18
ტელ: (995 32) 20-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
central@procreditbank.ge

ვაკის განყოფილება
0179 თბილისი
[illegible] ქ. 8
ტელ: (995 32) 25-28-06
ფაქსი: (995 32) 25-28-07
vake@procreditbank.ge

საბურთალოს განყოფილება
0177 თბილისი
ვაჟა-ფშაველას გამზ. 46
ტელ: (995 32) 20-17-17
ფაქსი: (995 32) 20-17-18
saburtalo@procreditbank.ge

ვაგზლის განყოფილება
0112 თბილისი
[illegible] 3/32
ტელ: (995 32) 92-16-16
ფაქსი: (995 32) 77-96-11
stationsquare@procreditbank.ge

გლდანის ფილიალი
0167 თბილისი
[illegible] ქ. 1
ტელ: (995 32) 57-01-01
ფაქსი: (995 32) 57-10-01
gldani@procreditbank.ge

ვარკეთილის ფილიალი
0182 თბილისი
[illegible]
ტელ: (995 32) 76-44-82
ფაქსი: (995 32) 76-44-81
varketili@procreditbank.ge

ლილოს განყოფილება
0115 თბილისი
[illegible] 112
ტელ: (995 32) 77-96-35
ფაქსი: (995 32) 77-96-36
lilo@procreditbank.ge

დიდუბის განყოფილება
0119 თბილისი
[illegible] 137-ის [illegible]
ტელ: (995 32) 20-17-20
ფაქსი: (995 32) 20-17-21
didube@procreditbank.ge

ქუთაისის ფილიალი
4600 ქუთაისი
თამარ მეფის ქ. 85
ტელ: (995 231) 4-14-14
ფაქსი: (995 231) 4-51-64
kutaisi@procreditbank.ge

ქუთაისის განყოფილება
4600 ქუთაისი
[illegible] ქ. 4
ტელ: (995 231) 4-87-05
kutaisioutlet@procreditbank.ge

ზუგდიდის განყოფილება
2100 ზუგდიდი
[illegible] ქ. 1
ტელ: (995 215) 5-11-23
ფაქსი: (995 32) 93-43-74
zugdidi@procreditbank.ge

გორის ფილიალი
1400 გორი
[illegible] ქ. 10
ტელ: (995 270) 2-16-09
ფაქსი: (995 32) 33-46-57; 33-46-58
gori@procreditbank.ge

მარნეულის განყოფილება
3000 მარნეული
[illegible] ქ. 5
ტელ: (995 257) 2-16-00; 2-16-50
ფაქსი: (995 32) 94-31-36
marneuli@procreditbank.ge

ფოთის ფილიალი
4400 ფოთი
დ. აღმაშენებლის ქ. 23
ტელ: (995 293) 28-28-5; 28-28-3
ფაქსი: (995 293) 28-28-4
poti@procreditbank.ge

ბათუმის ფილიალი
6000 ბათუმი
[illegible] ქ. 18
ტელ: (995 222) 7-24-20
ფაქსი: (995 222) 7-19-54
batumi@procreditbank.ge

ბათუმის განყოფილება
6000 ბათუმი
[illegible] ქ. 10
ტელ: (995 222) 7-74-19
ფაქსი: (995 222) 7-74-19
batumioutlet@procreditbank.ge

ხოფის (ბათუმის) განყოფილება
6000 ბათუმი
[illegible] 20
ტელ/ფაქსი: (995 222) 77-052
khofa@procreditbank.ge

ქობულეთის განყოფილება
6201 ქობულეთი
დ. აღმაშენებლის ქ. 2
ტელ/ფაქსი: (995 236) 66-439
kobuleti@procreditbank.ge


გილოცავთ შობა - ახალ წელს!
Merry Christmas & A Happy New Year!
ჯეოსელი
GEOCELL
www.geocell.ge

ზღვარზე

# უზრუნველყოფილი სიბერე - მსოფლიოს მთავარი საზრუნავი

## სოციალურ სფეროში რეფორმები ფერხდება

*"24 საათი" უკვე წერდა, რომ საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმა იგეგმება. თუმცა, როგორც ირკვევა, სადღეისოდ ეს არც ისე იოლი განსახორციელებელია. 2002 წელს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ბაზა, როგორც ჩანს, ჯერ ვერ ამოქმედდება, რადგან მთელი რიგი საორგანიზაციო საკითხები ჯერ კიდევ მოსაწესრიგებელია. თუმცა, როგორც სოციალური სფეროს პასუხისმგებელი პირები გვპირდებიან, რეფორმა აუცილებლად გატარდება. რას გულისხმობს იგი და რა დამატებითი გარანტიები ექნება რეფორმის შემდეგ სიბერედაუცველ მოსახლეობას?*

მაია ურუშაძე

დღეს ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო საკითხი – პენსიების თემაა. ეს საკითხი იმდენად მტკივნეულია, რომ, მისი მოუგვარებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, მთავრობამ საზოგადოების ნდობის მანდატი დაკარგოს. ახლა პენსიების გაცემა რის ვაი-ვაგლახით ხდება. "24 საათი" მთელი გასული წლის განმავლობაში საკონსულტაციო ფირმა "დვნკ"-სთან ერთად აწარმოებდა სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგს, საიდანაც ნათლად გამოჩნდა, რომ სოციალური ვალდებულებების გასტუმრება სრულიად არაორგნიზებულად, ალაალბედზე მიმდინარეობდა.

ამ არეულობის მიზეზს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ლადო ჭიპაშვილი კორუფციაში ხედავს. **"პირველ ყოვლისა, ამ სექტორში უნდა აღმოიფხვრას კორუფცია. ფონდიდან გადარიცხლი თანხების "ატკატკები" ჯიბეებში არ უნდა ბრუნდებოდეს,"** – განმარტავს იგი. "ატკატკების" პრაქტიკის აღკვეთის გზას კი ფონდის ახალი გენერალური დირექტორი ყველა სოციალური ვალდებულების – პენსიების, შემწეობების, ჯანდაცვის, დასაქმების თუ ინვალიდების პროგრამების სამართლიანად და პროპორციულად დაფინანსებაში ხედავს. **"ისე არ უნდა იყოს, რომ ერთ საავადმყოფოს თორმეტი თვის ხარჯები დაუფინანსდეს, მეორეს კი - ექვსის. ამ ეტაპზე ჩვენი უმთავრესი ამოცანაა პენსიების, შემწეობებისა და ჯანდაცვის ფულის პენსიონერებამდე უმოკლესი გზით, მინიმალური დანახარჯებით მიტანა,"** – აცხადებს ჭიპაშვილი.

როგორც უკვე ვწერდით, დღეს საპენსიო ფონდი შემდეგნაირადაა მოწყობილი: სახელმწიფო საპენსიო ფონდს ხელფასიდან დაქვითული სოციალური გადასახადებით (სოციალური დაზღვევის გადასახადი – 27 პროცენტი + 1 პროცენტი სოციალური და 3 პროცენტი ჯანდაცვის გადასახადი) ავსებენ კერძო და იურიდიული პირები. გადახდილი თანხა ურიგდებათ ამჟამინდელ პენსიონერებს. ანუ, ეს თანხა არ გროვდება თავად ამ გადამხდელთა სიბერის უზრუნველსაყოფად. მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელი დასაქმებულები ინახავენ დღევანდელ პენსიონერებს. მათ კი მომავალში, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, მომავალი დასაქმებულები შეინახავენ.

რეფორმის შემდეგ, როგორც ამბობენ, ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა სიბერის უზრუნველსაყოფად თანხები თავად დააგროვოს. იმის გარანტორი, რომ ეს თანხები კი არ დაიკარგება, არამედ იმატებს, თავად სახელმწიფო გახდება.

გარდა ამისა, უნდა მოხდეს პენსიების დიფერენცირება და მათი ოდენობა სტაჟისა და ანაზღაურების სიდიდის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ანუ, ამ რეფორმის შემდეგ ყველა მოქალაქის პენსია 14 ლარი აღარ იქნება. მაღალანაზღაურებად სპეციალისტებს, რომელთაც მეტი სტაჟი აქვთ, პენსიაც მაღალი ექნებათ.

როგორც სოციალური დაზღვევის საკითხების ექსპერტმა, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ყოფილმა დირექტორმა ირაკლი კოპლატაძემ "24 საათთან" საუბარში განმარტა, დაგეგმილ რეფორმაში საპენსიო დავალიანებების ეტაპობრივი გასტუმრებაც იგულისხმებოდა: **"რეფორმის გატარების შემთხვევაში ეს პროცესი სამ-ხუთ წელს გასტანს. მოქალაქეებს დაურიგდებათ საპენსიო დავალიანების ეკვივალენტური ფასიანი ქაღალდები, რაზეც ყოველწლიურად დაერიცხებათ ამ თანხის ნამატი პროცენტი. მაგრამ მანამდე უნდა შეიქმნას ინდივიდუალური სოციალური დაზღვევის ანგარიშებისა და შესაბამისი ბარათების სისტემა, სადაც ეს ყველაფერი დაფიქსირდება."**

ამ რეფორმისთვის საკანონმდებლო ბაზა თითქმის მზადაა. 2003 წელს პარლამენტმა მიიღო სამი კანონი: კანონები "სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ", "დიფერენცირებული სადაზღვევო პენსიების შესახებ" და "ინდივიდუალური ანგარიშებისა და პერსონიფიცირებული აღრიცხვის შესახებ". პირველი მათგანი გულისხმობს სადაზღვევო შემთხვევებისა და სხვა დანარჩენი ვალდებულებების გამიჯვნას, მეორე დიფერენცირებული პენსიების გამოთვლის ფორმულებს გვთავაზობს, მესამე კი ითვალისწინებს თითოეული მოქალაქისთვის პერსონალური ბარათის შემოღებას, სადაც მისი სტაჟი, ხელფასის ოდენობა, გადახდილი გადასახადები და ის შეღავათები დაფიქსირდება, რომელიც ამ ადამიანს სახელმწიფოსგან ეკუთვნის. **"ეს უკანასკნელი საკითხი რეფორმის ხერხემალია,** - მიიჩნევს ირაკლი კოპლატაძე, - **ჩვენ ამ კანონებზე ორ წელზე მეტი საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად ვიმუშავეთ. ახალი ველოსიპედი არ გამოგვიგონებია – კანონმდებლობა საერთაშორისო ნორმატიულ აქტებთან სრულ შესაბამისობაშია,"** – ამბობს კოპლატაძე.

თუმცა, ფონდის ახალი ხელმძღვანელი მიიჩნევს, რომ **"ახალი კანონების განხორციელება ნაადრევია. ეს კანონები პირველი იანვრიდან რომ ამოქმედდეს, ფონდი ვერ შეასრულებს თავის ამოცანებს, რადგან სისტემა ამ ძირეული ცვლილებისთვის მზად არ არის. მოსაგვარებელია უამრავი საორგანიზაციო საკითხი, მოსაძიებელია დამატებითი დაფინანსების წყარო, დასასრულებელია პენსიონერთა პერსონიფიკაცია... პენსიების დიფერენციაციაზე მანამდე ვერ ვიფიქრებთ, სანამ დღეს სისტემაში არსებული კორუფციული ხვრელი არ ამოივსება. ქვეყანაში ფინანსური წესრიგი უნდა დამყარდეს და თანხის ერთი მუხლიდან მეორესკენ გადაქაჩვა არ უნდა მოხდეს,"** – მიაჩნია ჭიპაშვილს.

თანხების ერთი მუხლიდან მეორისკენ გადაქაჩვა კი დღეს სოციალური ვალდებულებების გასტუმრების უმთავრესი წინაპირობაა. საქმე ის გახლავთ, რომ სოციალური ხარჯების დიდი ნაწილი (საოჯახო დახმარება, ძალოვანების პენსიები, 14-ლარს ზემოთ დანამატები ომში მონაწილეთათვის და მათთან გათანაბრებულებისათვის, რეპრესირებულთათვის და პარლამენტარებისთვის, რომელთაც მაღალი პენსია აქვთ) უშუალოდ ბიუჯეტიდან უნდა ფინანსდებოდეს. სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა კი მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევები (ასაკით პენსია, უმუშევრობა, მარჩენალდაკარგულის პენსია, ორსულობისთვის და ა.შ.) უნდა დააფინანსოს. ამ დროს კი სოცდაზღვევის ფონდი, რომელსაც 100 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება აქვს, საბიუჯეტო ვალდებულებებსაც აფინანსებდა. **"თუ თავისი ვალდებულების დაფარვა ბიუჯეტმა იკისრა, ფონდი პროფიციტური გახდება და ხელფასების დიფერენცირების საშუალებაც გაჩნდება,"** – იმედოვნებს კოპლატაძე.

გარდა ამისა, რეფორმა კერძო საპენსიო ფონდების განვითარებასაც გულისხმობს. **"რაც მეტი იქნება ასეთი ფონდი, მით უკეთესი. ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ხელს შევუწყობთ მათ განვითარებას,"** – გვპირდება სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ახალი გენერალური დირექტორი. თუმცა, არსებობს ერთი წინააღმდეგობა: დღეს კერძო საპენსიო ფონდების მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი დაბალია. მაგრამ, მათი განვითარების აუცილებლობას მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მკვეთრად გრძნობენ. შესაბამისად, მალე მსოფლიოში პენსიების დაფინანსება კერძო ფონდების თავსატეხად იქცევა. ეს საკმაოდ შედეგიანი პრაქტიკაა: სახელმწიფო განსაზღვრავს პრიორიტეტულ, რენტაბელურ დარგებს, სადაც მოქალაქეთა მიერ გადახდილი თანხები არათუ დაგროვდება, თავის მეანაბრეებს დამატებით შემოსავლებსაც მოუტანს. რასაკვირველია, მაშინ, თუკი ეს ფონდები კორუფციის წყაროდ არ იქცა და სახელმწიფომ მოახერხა კონტროლის ისეთი ძლიერი მექანიზმის შექმნა, რომელიც მათ გაკოტრებას ან, უბრალოდ, "გაპარვას" შეუშლის ხელს.

**პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.**

# „მსხვილი წლის" „წვრილმანი" ამბები

მაკა ჯაიანი

*ჯერჯერობით ასეა: სოციალური სფერო ჩვენი ცხოვრების დანამატს წარმოადგენს. ვიდრე ხაზინა ცარიელია, სხვა რამის იმედი არც უნდა გვქონდეს. ხელისუფლება ჯერ ნომინალური ცვლილებებით იფარგლება და ექსპერიმენტებს ატარებს – ვინძლო, ოდესმე მათი შედეგები გამოგვადგეს. გასულ წელს ისეთი დასასრული ჰქონდა, ეს გამოცდილება უეჭველად გამოგვადგება, თუმცა დღეს თავის მოსაწონებელი ბევრი არაფერი გვაქვს.*



ლუკმა პურის ძიებაში

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ზუსტად ერთი წლის წინათ საქართველოში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ამოქმედდა - სტრუქტურა, რომელმაც სოციალური პროფილის ყველა ცენტრალურ მიმართულებასა და პროგრამას ერთ ხელში მოუყარა თავი. ამით, როგორც ამბობდნენ, სოციალური სფეროს რეფორმა დაიწყო. მისი შედეგები ხელშესახები უკვე 2004 წლიდან უნდა ყოფილიყო – მთავრობა პენსიების გაორმაგებას გვპირდებოდა. ეს დაპირებაც მხოლოდ დაპირება აღმოჩნდა, რადგან ძველი ხელისუფლება, ძველებურად, ისევ საკუთარი და არა სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდით იყო დაკავებული.

პენსიების მატების ერთგვარი მაგალითი მისცა ცენრალურ ხელისუფლებას თბილისის საკრებულომ - დედაქალაქში მცხოვრებთ პენსია სამ-სამი ლარით გაეზარდათ. ამ იდეის ინიციატორს, ნაციონალური მოძრაობის აქტიურ წევრს, ლადო ჭიპაშვილს ახლა მთელი ქვეყნის პენსიონერების ბედი აბარია. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის რანგში, იგი, პენსიების გაზრდას ჯერ ვერავის ჰპირდება, თუმცა, დიდი იმედი აქვს, რომ მომავალი წლიდან არა მარტო ამაზე, დაგროვილი საპენსიო დავალიანების გასტუმრებაზეც შეძლებს რეალურ საუბარს.

ამ იმედს მას ხელისუფლებაში ვარდებით მოსული თანამებრძოლები აძლევენ. მათი წყალობით, ფონდის ბიუჯეტი დეკემბრის თვეში გადაჭარბებითაც კი შესრულდა.

მსგავსი რამ ჩვენში იშვიათად მომხდარა. თავის დროზე ლადო ჭიპაშვილი, პენსიონერების სახელით, იუსტიციის მინისტრის მისაღებშიც შიმშილობდა. ეს აქცია მოჰყვა მთავრობის მხრიდან იმ გახმაურებულ სასამართლო პროცესების შედეგების იგნორირებას, რომელიც ქართველმა პენსიონერებმა, კუთვნილი და წლების განმავლობაში მიუღებელი პენსიების მოთხოვნით, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერით, რამდენიმე ქალაქში მოიგეს.

პროტესტი გასულ წელს ბევრი იყო. რეპრესირებულები კუთვნილ პენსიას ითხოვდნენ, უნარშეზღუდულები – კუთვნილ პროგრამებს, მრავალშვილიანები – კუთვნილ დახმარებებს; მთელი საქართველოს მასშტაბით ეწყობოდა პერმანენტული გამოსვლები ხელფასების თუ ელექტროენერგიის მოთხოვნით; აფხაზეთიდან დევნილები და მათი სახელით მოსარგებლენი საკუთარ ძალებს ხან გეოლოგიის, ხანაც მიწის მართვის დეპარტამენტის შენობებში შეჭრით ცდიდნენ და თავზე ჭერის მოპოვებას ასე – სხვათა სამუშაო ადგილების დაკავებით ცდილობდნენ.

ამ ფონზე კი, ქართველი პარლამენტარების ერთი ნაწილი შთაგონებული სახეებით მსჯელობდა იმაზე, უნდა აღვნიშნოთ თუ არა "საბჭოური გადმონაშთი" - 8 მარტი და რამდენი ჯვარი შეიძლება ჰქონდეს დროშას - კათოლიკურად რომ არ მოინათლოს. ამგვარი დამოკიდებულებისა და კიდევ ბევრი მიზეზის გამო, 22 აპრილს თბილისის ქუჩებში პირველი "კმარა" გამოჩნდა. 12 მაისს "კმარა" უკვე მთელს საქართველოში იყო. 24 ნოემბერს, "ვარდების რევოლუციის" მეორე დღეს კიდევ ერთი "კმარა" გაისმა: "კმარა გამარჯვებით ტკბობა! ახლა საქმის დროა!" – ასე თქვეს გამარჯვებულებმა.

# რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა

ზაზა ფაჩუაშვილი

*გასულ წელს ჯანდაცვის სფეროში განსაკუთრებული გამოცოცხლება იგრძნობოდა, რაშიც ლომის წილი მიუძღვით ოპოზიციურ სუბიექტებს - "ნაციონალებსა" და "ლეიბორისტებს". სწორედ მათი დამსახურებაა ის ფაქტი, რომ ჯანდაცვაში ისევ გაიღვიძა რამდენიმე წლის წინათ მიძინებულმა კრიტიკის ვულკანმა.*



ჩვილ ბავშვთა რეანიმაცია ეროვნულ სამედიცინო ცენტრში.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ორმაგი წყაროს მიუხედავად, საქმეში ჩახედული ხალხისთვის კრიტიკა მოსაწყენად ერთფეროვანი იყო. შეტევა, ძირითადად, ხორციელდებოდა სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაციის წინააღმდეგ და შესაბამისი რევოლუციური განცხადებებიც კეთდებოდა.

მათი ეფექტურობა, საარჩევნო წელიწადის ფონზე, გარანტირებული იყო.

"ჩვენ უნდა შევაჩეროთ უკანონო ოპტიმიზაცია და ექიმების შემცირების პროცესი. თუ ექიმებს ხელფასებს ვერ ვაძლევთ, ის მაინც გავუკეთოთ, რომ ადგილები შევუნარჩუნოთ!.." – აცხადებდნენ "ნაციონალები" და არავინ საუბრობდა იმ პაციენტის ბედზე, რომელიც უხელფასო, მაგრამ ადგილშენარჩუნებულ ექიმის ხელში ჩავარდებოდა.

"გათავისუფლებულ ექიმებს კომპენსაციებს არ უხდიან, დიდი-დიდი ხუთასი ლარი მიუგდონ!.." – არანაკლები შემართებით ამტკიცებდნენ "ლეიბორისტები" და სულაც არ დარდობდნენ იმაზე, რომ აშკარად ტყუილს ამბობდნენ. თუმცა, ეს რა იყო იმ ცრუპენტელობასთან, რასაც ორივე ოპონენტი, ნებით თუ უნებლიედ, სჩადიოდა და ყოფილი მთავრობის "მზაკვრული გეგმით" 11 ათასი გასათავისუფლებელი ექიმის გადასარჩენად ილაშქრებდა, მაშინ, როცა საქართველოს სტაციონარულ ქსელში 11 ათასი ექიმი სულაც არ მუშაობდა.

მაგრამ იმდენად ყელში იყო ამოსული გასული წლის ხელისუფლების უხელისუფლებობა, რომ ხალხი მის წინააღმდეგ ნათქვამ ნებისმიერ არგუმენტს იწონებდა და საზოგადოებრივი აზრის მოსამზადებელ საერთო ჭურჭერლში ხარშავდა. იმის გამო, რომ ხელისუფლებაზე ახი იყო, ამ უძირო ჭურჭელმა კიდევ ბევრი საეჭვო აზრი დაიტია, რაც ნოემბრის ვარდების რევოლუციისთვის ფრიად ნოყიერი სასუქი გამოდგა.

ყველაფრის მიუხედავად, 2003 წელს საქართველოს ჯანდაცვის სფეროში დიდი გამარჯვებებიც აღინიშნა, რაც, უთუოდ, გადამდგარი ხელისუფლების მეცადინეობის შედეგია. ჯანდაცვის შეღავათიანი დაბეგვრის მიზნით, პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შეიტანა. შედეგად, 2004 წლიდან სამედიცინო დაწესებულებები აღარ გადაიხდიან **სამეწარმეო, მოგების, საგზაო, ქონების და მიწის გადასახადებს** (დღგ ადრე მოიხსნა). ეს ისტორიული გადაწყვეტილება მრავალი წლის მანძილზე მზადდებოდა და, როგორც იქნა, სამედიცინო დაწესებულებებს მიეცათ იმის საშუალება, რომ დაზოგილი ფულის რეინვესტირება მოახდინონ და კლინიკა კლინიკას დაამსგავსონ.

ასევე, მნიშვნელოვანი იყო გაერო-ს გლობალური ფონდიდან 12-მილიონიანი გრანტის მიღება შიდსთან საბრძოლველად, რაც იმის გარანტია იქნება, რომ საქართველოში ყოველი შიდსით დაავადებულისთვის იქნება წამალი. აღნიშნული პრეპარატების სიძვირის გამო, აქამდე მხოლოდ ოთხი ავადმყოფი მკურნალობდა - ისიც სახელმწიფო ხარჯით.

წლის მოვლენა იყო ღუდუშაურის სახელობის IV დონის ეროვნული სამედიცინო ცენტრის გახსნა, რაც საერთაშორისო თანამეგობრობის უშუალო დაფინანსებით მოხდა.

ცენტრის ულტრათანამედროვე აღჭურვილობამ სასიამოვნო განცვიფრება გამოიწვია უცხოელ სპეციალისტებში, რომლებიც დაუფარავად ამბობდნენ, - აქ ისეთი აპარატურა დგას, ჩვენს კლინიკებში რომ იყოს, ბედნიერები ვიქნებოდით. აღფრთოვანება არ ეტყობა მხოლოდ სამამულო ექიმების მნიშვნელოვან ნაწილს – მათ, ვინც კლინიკაში სამუშაოდ ვერ მოხვდა, მისი კონკურენცია კი დღე და ღამე ესიზმრება.

ჩვენთვის, პოტენციური პაციენტებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა - საერთაშორისო თანამეგობრობამ გადაწყვიტა, საქართველოს ხუთი წლის განმავლობაში აღუდგინოს პირველადი ჯანდაცვის ქსელი, თანამედროვედ აღჭურვოს და ამისათვის 45 მილიონი დოლარი გამოყოს.

# საახალწლო განწყობიდან რეალობაში

*ახალი და უკეთესი ცხოვრების მოლოდინმა თბილისის მოსახლეობა 31 დეკემბრის ღამეს საზეიმოდ ქუჩაში გამოიყვანა. თუმცა, საახალწლო განწყობის ჩავლის შემდეგ კვლავ 2003 წლის დანატოვარი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.*

ნანა ქადაგიშვილი

მტვრიანი და დანგრეული ქუჩები, მიწისძვრისგან კედლებჩამოშლილი სახლები, მალფუჭებადი პროდუქტით სავსე მეტროებისა და ბაზარ-ბაზრობების მიმდებარე ტერიტორიები, უსახური ჯიხურები, მერიის შენობის წინ გაჭირვებული მოსახლეობის პერმანენტული აქციები, უამრავი, სხვა და სხვა ასაკის მათხოვარი ქუჩებსა და ტრანსპორტში – ასე გამოიყურებოდა ჩვენი დედაქალაქი 2003 წლის დასასრულსა და 2004 წლის დამდეგს. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ გასულ წელს თბილისში არაფერი გაკეთებულა. ნოემბრის არჩევნებამდე სოციალური თემებით პარტიებიც აქტიურად დაინტერესდნენ. საკრებულოს ფრაქციები სხდომებზე სოციალური საკითხების გამოტანას ერთმანეთს ასწრებდნენ და ცოტ-ცოტა მართლაც გაკეთდა. საკრებულოს, კერძოდ, "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შემოღებული სახურავებისა და ლიფტების შეკეთების პროგრამით, ქალაქში 2150 ოჯახი ზამთარს სახურავშეკეთებულ კორპუსში შეხვდა. მაღალსართულიანი კორპუსების 261 სადარბაზოს 28 240 მობინადრეს კი ფეხით სიარული აღარ უწევს - წლობით გაჩერებული ლიფტები ამუშავდა.

2003 წელს კაპიტალურად გარემონტდა 24 ქუჩა, მიმდინარე შეკეთება კი 50-მდე ქუჩას გაუკეთდა. ამის გარდა, 5-6 სანიაღვრე კოლექტორიც გაკეთდა. რაც შეეხება დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხს, მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენას, აქ საქმე უფრო რთულად არის. მერიის საბინაო მეურნეობის სარეაბილიტაციო ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრისგან 22 ათასამდე შენობაა დაზიანებული. აქედან 299 აღდგენას არ ექვემდებარება. ავარიულია 341 მაღლივი კორპუსი, რომელთაგან 177 პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, 157 - მეორე კატეგორიას, ხოლო 7 შენობა – მესამე კატეგორიას. მერიამ კი, ქალაქის ბიუჯეტის სახსრებით, მხოლოდ ერთი-ორი მრავალსართულიანი კორპუსის გამაგრება მოახერხა; ფიროსმანის ქუჩის №36-38-ში მდებარე დანგრეული სახლების მობინადრეებს ინვესტორი უპოვა; მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 256 თავშესაფარი უყიდა და წლევანდელი ზამთრის გასატარებლად სახელმწიფოს კუთვნილ შენობებში თავშესაფრების გამოძებნას შეჰპირდა.

გარკვეული სიახლეებია სატრანსპორტო სფეროშიც. ქალაქის მერიამ რუსეთიდან 22 ახალი საშუალო ტევადობის ავტობუსი შემოიყვანა. როგორც ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების სამსახური აცხადებს, ამ ახალი ტრანსპორტით მგზავრობის საფასური გაჭირვებული მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იქნება და ავტობუსებს ქალაქის გარეუბნებში გაუქმებულ მარშრუტებზე დანიშნავენ. მერია ავტობუსების შემოყვანას მომავალი წლისთვისაც გეგმავს. მერიის ხელმძღვანელობა ამგვარად ცდილობს ქალაქის ქუჩების განტვირთვას.

გასულ წელს დედაქალაქს კიდევ ერთი სიახლე შეემატა - მამასახლისების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტის შემოღებისთვის საკრებულომ და მერიამ იმდენი იბრძოლეს და იდავეს, მისი დავიწყება ნამდვილად არ შეიძლება. მამასახლისის გარდა, ქალაქის ხელმძღვანელობამ კორპუსების მაცხოვრებლები სხვა სიახლითაც გაახარა. დაახლოებით, 6 თვის წინათ, საკრებულოს გადაწყვეტილებით, მრავალსართულიანი სახლების მიმდებარე ტერიტორიები კორპუსის მობინადრეთა საკუთრებაში გადავიდა. მერიამ წყნეთელებიც გაახარა - 1990-97 წლებში წყნეთელებისთვის გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გადასახადი ძალზე მნიშვნელოვლად გაიაფდა.

რაც შეეხება ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას, შესაბამისი უწყებების სისტემატური რეიდების მიუხედავად, ამ მხრივ, უკეთესობა არ იგრძნობა, თუმცა, სიახლე ის არის, რომ გასული წლის 2 სექტემბრიდან ძალაში შევიდა სანიტარული კოდექსი, რომელიც ვაჭრობის წესების დარღვევისას ჯარიმის ოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდას ითვალისწინებს.

აღნიშვნის ღირსია თბილისის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელზე მუშაობაც ქალაქის ხელმძღვანელობამ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო და 2004 წლის ზაფხულში დაასრულებს. **"აღნიშნული დოკუმენტის წყლობით, თბილისი უცხოელებისთვის მიმზიდველ, დასასვენებელ ქალაქად უნდა იქცეს,"** – გვპირდება მერია.

უცხოეთი

# ჰაიტი: ორასწლოვანი დამოუკიდებლობა სიღატაკეში

გუშინ კარიბის ყურის სახელმწიფო – ჰაიტი საფრანგეთისგან გათავისუფლების 200 წლისთავს ზეიმობდა. შავკანიანებით დასახლებულ ქვეყნებს შორის მონობა პირველად ჰაიტიზე გაუქმდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ჰაიტიმ წარმატებას ვერც ერთ სფეროში ვერ მიაღწია. ორი საუკუნის მანძილზე შიდა კონფლიქტები და ეკონომიკური სიდუხჭირე ამ სახელმწიფოს მოუშორებელი ჭირია.

დამოუკიდებლობის მოპოვების ორასი წლის იუბილეს ჰაიტელები ერთსულოვნად არ შეხვედრიან. ზეიმს ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა და ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიუღია.

შარშანდელი წელი ამ ქვეყნისათვის საკმაოდ ნეგატიური იყო. 2003 წელი ოპოზიციის და ხელისუფლების შეიარაღებული მომხრეების შეტაკებების ფონზე მიმდინარეობდა.

ზეიმის მოახლოებასთან ერთად, ოპოზიცია მწვავედ აკრიტიკებდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტაბო მბეკის გადაწყვეტილებას ჰაიტიზე ვიზიტთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, მბეკის ვიზიტი ჰაიტიზე მაინც შედგა. მან კარიბულ სახელმწიფოს გათავისუფლების 200 წლისთავი პირადად მიულოცა.


ჰაიტი 2004 წელს უკიდურესი გაჭირვებიდან გამოსვლას აპირებს.

ჰაიტის პრეზიდენტმა ჟან ბერტრან არისტიდმა საზეიმო ცერემონიალზე ჰაიტილებს კიდევ ერთხელ მისცა პირობა, რომ უკიდურესი გაჭირვებიდან და სილატაკიდან ქვეყნის გამოყვანას შეძლებს, თუმცა მისი ჰაიტელებს უკვე ნაკლებად სჯერათ. **"თუკი ხალხი გაერთიანდება, ჰაიტი ძლიერი ქვეყნა იქნება,"** - განაცხადა არისტიდმა.

ამაში თავის ჰაიტელ კოლეგას სამხრეთ აფრიკის პირველი პირი ტაბო მბეკიც დაეთანხმა. მისი განცხადებით, ჰაიტელებმა დამოუკიდებლობის ორსაუკუნოვანი იუბილე აუცილებლად უნდა იზეიმონ, რადგან პირველი დარტყმა მონებით ვაჭრობას სწორედ ჰაიტმა მიაყენა, როდესაც აქ მონების ამბოხება წარმატებით დასრულდა.

იმედიანი დაპირებების მიუხედავად, ჰაიტელებს მომავლის იმედი სულ უფრო და უფრო უმცირდებათ. ათი წლის განმავლობაში მათი ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა.

ათი წლის წინ არისტიდის გაპრეზიდენტებას კი აშშ-მ დაუჭირა მხარი და უკანონო ხუნტას სამხედრო ძალის გამოყენებითაც დაემუქრა. ამის მიუხედავად, სახელმწიფო დეპარტამენტი უკვე გამოთქვამს შეშფოთებას არისტიდის წარუმატებელი მმართველობის გამო.

გუშინდელმა დღემაც საყოველთაო ზეიმის მაგივრად, მასობრივი დემონსტრაციების ფონზე ჩაიარა. თუ ერთ ქუჩაზე პრეზიდენტ არისტიდის მომხრეები ხელისუფლებას მხარდაჭერას აღუთქვამდნენ, გვერდით ქუჩაზე ოპოზიციის საპროტესტო დემონსტრაცია მიმდინარეობდა. ორასწლოვანი დამოუკიდებლობის და სახელმწიფოებრიობის მიუხედავად, ჰაიტი დასავლეთ ნახევარსფეროს ულატაკეს სახელმწიფოდ რჩება.

# ჩრდილოეთ კორეა ატომური რეაქტორების ინსპექციაზე დათანხმდა

ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურმა რეჟიმმა მზადყოფნა გამოთქვა, ამერიკელი ექსპერტების ჯგუფს საკუთარი ატომური რეაქტორების ინსპექტირების უფლება მისცეს. საუბარია ქვეყნის ჩრდილოეთში არსებულ იონბიონის ატომურ ელექტროსადგურზე. ამერიკელ ექსპერტებს ქვეყანაში 6 იანვარს ელიან. დელეგაციაში სპეციალისტები და დიპლომატები იქნებიან. ერთი წლის წინ ფხენიანმა საერთაშორისო ინსპექტორებს ქვეყნის დატოვება აიძულა.

ფხენიანის თანხმობა ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის ირგვლივ არსებულ საერთაშორისო დავაში მნიშვნელოვანი გარღვევაა. ვაშინგტონი შიშობს, რომ კორეის კომუნისტურ რეჟიმს ბირთვული იარაღის წარმოების საშუალება აქვს, რაც საერთაშორისო თანამეგობრობას რეალურ საფრთხეს უქმნის. აშშ ფხენიანისგან ბირთვული პროგრამისა დაუყოვნებლივ შეწყვეტას ითხოვს. ჩრდილოეთ კორეა კი აცხადებს, რომ ბირთვული შეიარაღების პროგრამა მხოლოდ თავდაცვითი ხასიათისაა, ხოლო ატომური ელექტროსადგურების მუშაობის შეჩერების სანაცვლოდ, ამერიკამ ქვეყანას საწვავით დახმარება უნდა აღმოუჩინოს და თან ტერორიზმის ხელშემწყობი სახელმწიფოს სტატუსი მოუხსნას. დეკემბერში, მხარეთა პოზიციებს შორის რადიკალური სხვაობის გამო, არ შედგა დაგეგმილი ექვსმხრივი შეხვედრა. ამ ფორმატის შეხვედრებში, აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის გარდა, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი და სამხრეთ კორეა მონაწილეობენ.

ფხენიანის დათმობა, როგორც ჩანს, ჩინეთის დიპლომატიური ზეწოლის შედეგია. "მოდერნისტული კომუნიზმის" პეკინს უკვე დიდი ხანია, აღარ მოსწონს "შუასაუკუნოვანი კომუნიზმის" ფხენიანის პოლიტიკა, განსაკუთრებით კი მისი ბირთვული ამბიციები. თუ დაგეგმილი ვიზიტი მართლაც შედგა, ეს ბოლო დროს ჩიხში შესული მოლაპარაკებების განახლების ნიშანი იქნება. ბირთვული პროგრამების საერთაშორისო ინსპექტირებას ბოლო დროს ირანი და ლიბია დასთანხმდნენ.

# ევროკავშირს ექვსი თვით ირლანდია უხელმძღვანელებს

ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა 2004 წლის 1 ივლისამდე ირლანდია იქნება. ეს ფუნქცია უფრო ფორმალური ხასიათისაა, თუმცა ევროკავშირის ბიუროკრატიის მართვაში მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თავმჯდომარე ქვეყანა ევროკავშირის წევრები ექვსი თვის ვადით ხდებიან. ირლანდიის წინამორბედი იტალია იყო. თავმჯდომარის მოვალეობების გადაცემის საზეიმო ცერემონიალი დუბლინში შედგა.

ირლანდიის თავმჯდომარეობა ევროკავშირის ისტორიის უპრეცედენტო მოვლენას, კავშირში ცენტრალური და აღმოსავლეთის ევროპის 10 ქვეყნის გაწევრიანებას დაემთხვა. 2004 წლის მაისიდან ევროკავშირში 15 ნაცვლად უკვე 25 ქვეყანა იქნება. ეს იქნება დუბლინის უმთავრესი გამოწვევაც. ირლანდიამ უნდა აღმოფხვრას გაფართოების ირგვლივ არსებული უთანხმოებები და ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქმედუნარიანობის შენარჩუნებას. უმთავრესი საკითხი კვლავ ერთიანი ევროპის კონსტიტუციის მიღება იქნება, რაც იტალიელთა თავმჯდომარეობის დროს გამართულ ბრიუსელის სამიტზე ვერ მოხერხდა. "ბრიუსელის სამიტის კრახის შემდეგ გარკვეული დრო იქნება საჭირო. ჩვენი ტაქტიკა მარტივია: შევეცდებით შევინარჩუნოთ უკვე მიღწეული შეთანხმებები და შემდეგ დავიწყებთ ახალი კომპრომისების ძიებას," - თქვა ირლანდიის პრემიერ-მინისტრმა ბერტი აჰერნმა, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ კონსტიტუციის მიღწევა საბოლოოდ მაინც მოხერხდება.

ირლანდიის თავმჯდომარეობის დროს ასევე აირჩევენ ევროპარლამენტის ახალ შემადგენლობას, უკვე 25 ქვეყნის მონაწილეობით. ამავე პერიოდში უნდა დაკომპლექტდეს ევროკავშირის მთავრობად წოდებული ევროკომისიის ახალი შემადგენლობაც. დუბლინში აცხადებენ, რომ ევროკავშირის უმთავრესი პრიორიტეტი ეკონომიკური განვითარება, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა და ამერიკა-ევროპის ურთიერთობების გაუმჯობესება იქნება.

# გაერო-ს გენერალური მდივნის, კოფი ანანის საახალწლო მიმართვა

თქვენი ორგანიზაციისათვის, რომელსაც მაქვს პატივი ვემსახურო, მთელი მისი ისტორიის მანძილზე გასული წელი ერთ-ერთი ყველაზე რთული აღმოჩნდა.

ჩვენს თვალწინ ჩაირა ერაყის ომმა და სახელმწიფოთა შორის მომხდარმა განხეთქილებამ, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან: ომისა და მშვიდობის საკითხს შეეხო. 19 აგვისტოს ააფეთქეს ჩვენი შტაბ-ბინა ბაღდადში, შედეგად ჩვენი ყველაზე პატივსაცემი და ყველაზე საყვარელი კოლეგები დავკარგეთ.

ამ მოვლენებმა მსოფლიოს სახელმწიფოების ლიდერთა ყურადღება ჩამოაშორა სხვა პრობლემებს, პრობლემებს, რომლებიც ადამიანთა უმრავლესობისათვის უფრო აქტუალური და უფრო რეალურია.

მხედველობაში მაქვს საფრთხეები, რომლებსაც უკიდურესი სიღატაკე და შიმშილი, გარემოს მდგომარეობის გაუარესება და ინფექციური და ეპიდემიური დაავადებების გავრცელება იწვევს.

ამ სახიფათო მოვლენებმა ჩვენი პლანეტის დიდი ნაწილი მოიცვა.

ისინი ყოველწლიურად მილიონობით ადამიანს კლავს.

ისინი ანგრევენ საზოგადოებას.

ისინი ზრდიან უთანხმოებასა და ჩიხის შეგრძნებას.

ახლა, როდესაც გავიდა ომებისა და უთანხმოებების წელი, დროა უფრო ენერგიული ნაბიჯები გადავდგათ ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი კეთილდღეობისათვის.

დროა, მივაღწიოთ იმას, რომ ღარიბ ქვეყნებს განვითარების რეალური შესაძლებლობები მიეცეთ.

დროა, აქტიურად ვიმოქმედოთ, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი პლანეტის რესურსები.

დიახ, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ტერორიზმს. დიახ, ჩვენ არ უნდა დავუშვათ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება.

მაგრამ, მოდით, ასევე ვუთხრათ "დიახ" განვითარებას. მოდით, ჩავუნერგოთ იმედი მას, ვინც იტანჯება.

განვითარების გარეშე მშვიდობის იმედი არ უნდა გვქონდეს.

სამი წლის წინ, ათასწლეულის სამიტზე ყველა სახელმწიფოს ლიდერმა აიღო ვალდებულება, გაეკეთებინა ყველაფერი, რომ ეს იმედი გაჩენილიყო. მათ თავად დაისახეს კონკრეტული ამოცანები, რომლებიც კონკრეტულ ვადაში უნდა შესრულებულიყო. ეს მიზნები ძირითადად განვითარებას შეეხება.

ამ მიზნის მისაღწევად საკმარისია იმის მხოლოდ მცირე ნაწილი, რასაც მსოფლიო იარაღზე ხარჯავს. მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ მილიარდობით ადამიანს იმედი ჩავუსახოთ. ეს იმედი ჩვენ ყველას მეტ უსაფრთხოებას მოგვიტანს.

სამწუხაროდ, 2003 წელს ჩვენ ვერ შევძელით ამ ვალდებულებათა შესრულება. ჩვენ მეტისმეტად გაგვიტაცა ომისა და უთანხმოების სტიქიამ.

2004 წელი განსხვავებული უნდა იყოს. ეს უნდა იყოს წელი, როცა სათავე დაედება ამ სტიქიის მოთოკვას.

ჩვენ შეგვიძლია, მოვახდინოთ გარდატეხა შიდსთან ბრძოლაში, თუკი მდიდარი ქვეყნები, ღარიბი ქვეყნები და ისინი, ვისაც ეს პრობლემა პირდაპირ ეხება, ერთად იმუშავებენ იმისათვის, რომ მთლიანად დაფინანსდეს გაერო-ს შიდსთან, ტუბერკულიოზთან და მალარიასთან ბრძოლის ფონდი.

ჩვენ შეგვიძლია, მოვახდინოთ გარდატეხა შიმშილთან ბრძოლაში, თუკი ყველა ერთად მივაღწევთ იმას, რომ მოშიმშილეებს ყველა ქვეყანაში მიუწვდებოდეთ ხელი სურსათის მარაგზე და დავეხმარებით აფრიკას იმაში, რომ თავად აწარმოოს საჭირო კვების პროდუქტები.

შეგვიძლია, მოვახდინოთ გარდატეხა საერთაშორისო ვაჭრობაში, თუ მთავრობები შეასრულებენ თავიანთ დაპირებებს და მიმდინარე რაუნდს ჭეშმარიტად "განვითარების" რაუნდად აქცევენ.

ჩვენ არ გვჭირდება ახალი დაპირებები. ჯერ ის პირობები უნდა შევასრულოთ, რომლებიც უკვე დავდეთ.

## ორი სიტყვით

**აშშ.** პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მიწისძვრით დაზარალებული ირანისათვის გაწეული დახმარება თეირანის მიმართ ამერიკული პოლიტიკის შეცვლას არ გულისხმობს. ოთხშაბათს ვაშინგტონმა ირანისათვის ფულის გადარიცხვებზე დაწესებული სანქციები შეარბილა, რაც დაზარალებულთათვის დახმარების პროცესის შემსუბუქებას ისახავდა მიზნად. მიუხედავად ამისა, გუშინ ბუშმა განაცხადა, რომ ირანმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს, თუკი თეირანს აშშ-თან ურთიერთობების გაუმჯობესება სურს.

**ინდონეზია.** ახალი წლის დაწყება ინდონეზიაში ძლიერი მიწისძვრით აღინიშნა. კუნძულებზე ბალისა და ლომბოკზე რიხტერის შკალით 6,1 ბალიანი მიწისძვრა მოხდა, რის შედეგადაც 29 ადამიანი დაშავდა და 250 შენობა დაინგრა. დაღუპულთა შესახებ ჯერჯერობით არ იუწყებიან.

სამართალი

# ვინ დასჯის დასასჯელთ?

*ახალი წლის დადგომას სიახლეების მოლოდინი ყოველთვის ახლავს, თუმცა 2003 წლისგან ამდენს, ალბათ, არავინ ელოდა. სხვა მოვლენებსა და პერსონაჟებზე აღარას ვიტყვით და, ძნელი სავარაუდოა, რომ ერთი წლის წინათ საახალწლო სუფრას მიმსხდარ აკაკი ჩხაიძეს, დავით მირცხულავას, მერაბ ჟორდანიას ან ლევან მამალაძეს ერთი წუთით, ეჭვად მაინც გაევლოთ გულში, რა სიურპრიზებს უმზადებდა ახალი 2003. არადა, სწორედ ეს სიურპრიზი გახლავთ გასული წლის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი შედეგი. მართალია, ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საქართველოში "ძლიერთა ამა ქვეყნისა" დაუსჯელობის პრაქტიკა, ერთი ხელის მოსმით, მოისპო, მაგრამ ცალკეული ნაბიჯების გადადგმით, თუნდაც, ყოფილ თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმით, პრეცენდენტების შექმნა 2003 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ნამდვილად გახდა.*

სოფიკო ჩხაიძე

რას აკეთებდნენ გენერალურ პროკურატურაში შარშან "ვარდების რევოლუციამდე"? ხატოვნად რომ ვთქვათ – ეძინათ. თუმცა, როგორც ვარდების რევოლუციამ გამოავლინა, მათ დასვენებისთვის ვერ უნდა მოეცალათ. რატომ? იმიტომ, რომ მათ თაროებზე ისეთი სისხლის სამართლის საქმეები იყო შემოდებული და დამტვერილი, რომელთა ჯეროვნად გამოძიების შედეგად, როგორც აღმოჩნდა, არაერთი, ძალაუფლების მქონე ადამიანი იმხილებოდა. დიდი დრო დასჭირდა ამ საქმეების სააშკარაოზე გამოტანასა და იმ პირთა დასჯაზე საუბრის წამოწყებას, რომელთათვის, წესით, ბევრი რამის გამო კარგა ხნის წინ უნდა დაეკისრებინათ სასჯელი. მაგრამ, წესითა და რიგით - აპოლიტიკურმა, რეალურად კი - ხელისუფლების მიერ დადგენილი წესრიგის მორჩილმა გენერალურმა პროკურატურამ სიახლეებს, ჩვეულებისამებრ, უმალ აუღო ალღო და მისი მაღალი წარმომადგენლების, ფაქტობრივად, ერთი და იმავე შემადგენლობამ, რომელიც წლების მანძილზე დანაშაულს "უნახავდა" და შემდგომი დანაშაულის ჩადენის საშუალებას აძლევდა არაერთ თანამდებობის პირს, მხოლოდ ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გადაწყვიტა, მათთვის ჩადენილი მოეკითხა.

"სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს", - იტყვის მავანი, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ იქნება მართალი. ფაქტია, რომ აკაკი ჩხაიძე და ლევან მამალაძე, თავიანთი არაკანონიერი ქმედებებით, სულაც არ არიან გამონაკლისნი ყოფილი ხელისუფლების რიგებში, ხოლო იგივე დავით მირცხულავას რამდენიმე წინამორბედს ღვაწლი არ დაუკლია იმ კრედიტების არამიზნობრივად ხარჯვისთვის, რომელთა გაფლანგვას ახლა მხოლოდ მას ედავებიან.

რა თქმა უნდა, კარგია, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ყოფილ ხელისუფლებაში მყოფი ან მასთან დაახლოებული კრიმინალური ელემენტები, ბოლოს და ბოლოს, ჩადენილის გამო პასუხს აგებენ, მაგრამ, მედალს ორი მხარე აქვს, და შესაბამისად, ისმის კითხვა: ის სამართალდამცველები, რომლებიც კანონის დაცვას კონიუნქტურის ჩარჩოებში ხედავენ, სამომავლოდ რამდენად უზრუნველყოფენ კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობას?

მართლაც და, კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად სოციალური, თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობისა - ხალხი ხომ ვარდების რევოლუციის, მით უმეტეს კი, 4 იანვრის არჩევნების შემდეგ სწორედ ამას ელის ახალი ხელისუფლებისგან. ძალუძს კი იმ გენერალურ პროკურატურას, რომელიც წლების მანძილზე პოლიტიკური სიტუაციის შესაფერისად წარმართავდა საქმიანობას, ხალხის ამ შეკვეთის შესრულება და შეძლებენ კი ისინი


მირცხულავას დაპატიმრება გასული წლის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი საქმე იყო.

სამართლიანობის სრულად დაცვით ამის გაკეთებას? სათუოა, დამეთანხმებით. უფრო მეტად, ალბათ, იმის უნდა გვჯეროდეს, რომ საქართველოს ახალი პრეზიდენტი ისევ ბიბლიური ჭეშმარიტების მიდევნებას არჩევს, რომლის მიხედვითაც - "ქვა იმან ისროლოს, ვინც უცოდველია".

ასეთმა კი "ქვების სროლა" წლის ბოლოს უკვე დაიწყო – შიდა ქართლის ახალი გუბერნატორის ირაკლი ოქრუაშვილის "საქმენი საგმირონი", ალბათ, სწორედ ის გახლავთ, რასაც ხალხი ახალი ხელისუფლებისგან ელის – კერძოდ, კორუმპირებულ ჩინოვნიკთა დასჯა, კონტრაბანდის ალკვეთა და ამ გზით ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა. ნარკოტიკების, ყაჩაღობისა და კონტრაბანდის წყაროდ ქცეულ რეგიონში მიღწეულმა, ოქრუაშვილის წარმატებებმა არაერთი ჭორი ააგორა მისი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწინაურების თაობაზე. პოლიციის მთავარ ციხესიმაგრეში კი დღეისათვის სიახლეების მოლოდინში ნამდვილად არიან, ოღონდ - არა უმაღლესი რანგის საკადრო ცვლილებების.

უნდა ითქვას, რომ შარშან, ვარდების რევოლუციამდე შინაგან საქმეთა სამინისტროში ნამდვილად არ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. მეტიც, სადამსჯელო ფუნქციას ზედმიწევნით ასრულებდნენ - აპატიმრებდნენ, თანაც, საკმაოდ რეზონანსული დანაშაულების ჩამდენთ, მაგრამ ამ დაპატიმრებებს მუდამ ახლდა ეჭვი, რომელსაც საფუძველს იგივე პოლიცია უმყარებდა, ისევ და ისევ კანონის მოთხოვნების უაპელაციოდ დარღვევით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად კი, პოლიციას დაუპატიმრებელი არ დარჩენია არც ერთი რეზონანსული გატაცების ორგანიზატორი და მონაწილე, თუნდაც ეს სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში ეჭვმიტანილთა თვითმკვლელობის ფასად დაჯდომოდა. ეგრეთ წოდებულ კანონიერ ქურდთა წინააღმდეგ მიმართული აქციაც, ოფიციოზის დონეზე, წარმატებით ჩატარდა, თუმცა, "კანონიერ ქურდთა" მხოლოდ "წვრილფეხობა" იქნა დაპატიმრებული და ისიც - მათთვის მინიმალური ოდენობის ნარკოტიკების აღმოჩენის, გნებავთ, ჩადების ხარჯზე. უკვე შემოდგომიდან მოყოლებული კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალებისთვის აღარ ეცალა – იგი საარჩევნო პროცესში გახლდათ მთლიანად ჩაბმული, თუმცა, ხელმძღვანელობის ულტიმატუმები საბოლოოდ გაზიარებულ არ იქნა და ქართულმა პოლიციამ გადამწყვეტ მომენტში, ტრადიციულად, ხალხის მხარე დაიჭირა, ვარდების რევოლუციის შემდგომ კი ახალი ხელმძღვანელობის მმართველობის პირობებში ისინი, ჯერჯერობით, ყაყაჩოს თესლის დაწვით არიან დაკავებულნი და დიდ სიახლეებს ისევ და ისევ, ცოტა არ იყოს, დამფრთხალნი ელიან.

სრულიად შეცვლილ საქართველოში რადიკალურ ცვლილებებს მხოლოდ უშიშროების სამინისტროში არ ელოდებიან – მინისტრის სწორმა პოლიტიკურმა ორიენტაციამ ისინი ამგვარი საშიშროების მიღმა დატოვა. პანკისური პრობლემის მოხსნაში დიდი როლის შემსრულებელმა უშიშროებამ ამჟამად ქვეყანაში სტაბილურობის დამამყარებლის და დინამიური ქაოსის დამლაგებლის ფუნქცია იკისრა.

რადგან სამართალდამცველ სტრუქტურებსა და დამნაშავეობაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ გავამახვილოთ შარშან ციხეებიდან პატიმრების მასობრივი გაქცევების რამდენიმეთვიან ეპოპეაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ გაზაფხულის დადგომისთანავე, ციხიდან გაქცევები იმთავითვე დაუკავშირდა მაშინდელ სახელმწიფო და იუსტიციის მინისტრებს შორის არსებულ დაპირისპირებას და ავთანდილ ჯორბენაძის სურვილს – როლანდ გილიგაშვილის დისკრედიტაციის შედეგად, იუსტიციის მინისტრის პორტფელი მისთვის სასურველი კანდიდატურისთვის გადაელოცა. რამდენად საფუძვლიანი იყო ეს ეჭვი, თავად განსაჯეთ, თუმცა, ფაქტია, მსგავსი სცენარი მართლაც გათამაშდა – ასამდე პატიმრის გაქცევის შემდეგ და იუსტიციის მინისტრის პოსტზეც მანამდე არაერთხელ გახმოვანებული კანდიდატურა – ედუარდ შევარდნაძის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი იქნა წარდგენილი. ახლა უკვე მნიშვნელობა არ აქვს, რატომ და რა მიზეზით ვერ გახდა იგი მინისტრი, ფაქტი ერთია – მისი წარდგენისთანავე აღიკვეთა პატიმართა გაქცევები. არადა, ციხეებში არც პირობები გაუუმჯობესებიათ, არც საკეტები გამოუცვლიათ და არც გუშაგებისთვის გაუზრდიათ ხელფასები. დამეთანხმებით, საინტერესო ტენდენციაა დასკვნების გამოსატანად.

და ბოლოს, ფაქტი სახეზეა – სამართალდამცველ უწყებათა მოღვაწეობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მათ პირველ პირთა ვინაობასა და მისწრაფებებს. არადა, ეს რომ სახარბიელო ტენდენცია არ გახლავთ, ბევრმა რამემ დაადასტურა. ამ პრაქტიკის შეცვლა კი რეფორმირების პროცესმა უნდა უზრუნველყოს. მაგრამ, ამჟამად არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ უწყებას არ სცალია იმ უმნიშვნელოვანესი პროცესის წარმართვისთვის, რომელსაც რეფორმა ჰქვია და რომლის კონცეფცია შარშან გაზაფხულზე დაიდო. ქართული სამართალდამცველი სტრუქტურები, ახალი თუ ძველი ხელმძღვანელებითურთ, მოცემულ ეტაპზე სულ სხვა ამოცანებს აკისრებენ საკუთარ თავს, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ არც ისე შორეულ მომავალში მათგან, ძველი ცოდვების მოკითხვის კვალდაკვალ, სტრუქტურულ ცვლილებებსაც მოითხოვენ.

# "ვარდების რევოლუციის" კონსტიტუციური გაგრძელება







# ხვალ საპრეზიდენტო არჩევნებია















www.24hours.ge
24
B

ნომრის სტუმარი

# ფინანსთა სამინისტრო საზოგადოებისთვის უინტერესო უნდა გახდეს

*პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატი ახალ წელს მოხუცებულთა თავშესაფარში შეხვდა და, იმედია, ქვეყნის ფინანსთა მინისტრი მიხვდა, რომ ამ კანდიდატის პრეზიდენტობისას სოციალური სფერო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება. ზურაბ ნოღაიდელს მინისტრობამ "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ლობისტის ამპლუაში მოუსწრო. ყოფილმა მინისტრმა, არასამთავრობოელმა და ლობისტმა პოსტზე მოსვლისთანავე ხაზინის სიცარიელეზე დაიჩივლა. როგორც გახსოვთ, ეს მოხდა რევოლუციის შემდეგ, წინასაახალწლოდ და საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ახალი ხელისუფლებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი და მყისვე მოსაგვარებელი პრობლემა არა შორეული კეთილდღეობა, არამედ აქ და ახლა ხელფასების, შემწეობებისა და პენსიების დარიგება და სავსე სამომხმარებლო კალათა გახდა. თუ ახალი წლის შესახვედრად ქუჩაში გამოსული ხალხის განწყობითა და რაოდენობით ვიმსჯელებთ, დროებით მთავრობას რაღაც გამოუვიდა... საინტერესოა, როგორ დამთავრდება ეს წელი მინისტრად მეორედ მოსული ზურაბ ნოღაიდელისთვის.*



მაქვს ამბიცია, რომ 2004 წლის ბოლოს ფინანსთა სამინისტრო არა მხოლოდ ყველაზე ეფექტური ინსტიტუტი, არამედ - ყველაზე ნაკლებ კორუმპირებული სტრუქტურა იყოს და მე ამას გავაკეთებ.

არ მინდა, ვისაუბრო 10-12 წლიან პროგრამაზე, რომელსაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები უნდა მოესწრონ. ვითარება უნდა გამოსწორდეს ახლა და მთელი მთავრობის ძალისხმევაც იქითკენ იქნება მიმართული, რომ ყველაფერი ახლავე, ჩვენს თვალწინ გაკეთდეს.

სახელმწიფო, ფაქტობრივად, არ იმართებოდა. იმ პერიოდისთვის პრაქტიკულად აღარ არსებობდა ფინანსთა სამინისტრო, ამიტომ სწრაფი ქმედებები იყო საჭირო და თან ისეთი, რომელიც სტრატეგიული მიზნების შესრულებასაც არ შეუშლიდა ხელს.

ჩვენი მთავარი პრობლემა იყო მმართველობის რეფორმა და ეფექტურობა და ეს დღევანდელი მთავრობის მთავარი საზრუნავიც არის.

მაია ჭალაბანიძე

**- რა ფინანსებით ხვდებით არჩევნებს?**

- არჩევნები უცხოური დახმარებით დაფინანსდა. დაახლოებით, თხუთმეტმა ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა საპრეზიდენტო და შემდეგ საპარლამენტო არჩევნების დაფინანსებაში. ეუთო-ს მეშვეობით დაფინანსდა საარჩევნო ადმინისტრაციის ხელფასები, გაერო-მ კი ადმინისტრაციული ხარჯები დაფარა. ჩვენ უმნიშვნელო თანხის დამატება მოგვიწია.

პირდაპირ ვიტყვი, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან დახმარების მიღება განაპირობა ნოემბრის მოვლენებში ხალხის აქტიურობამ, უსისხლო რევოლუციამ და ქართველების მხრიდან მთავარი საკონსტიტუციო - არჩევანის უფლების ასეთმა მიმზანმიმართულმა დაცვამ. ნოემბრის ბოლოს, როდესაც მინისტრად დამნიშნეს, ნაკლებად ოპტიმისტურად ვუყურებდი ამას. დახმარებები კი უკვე დეკემბერში მივიღეთ...

**- წინა საარჩევნო კომისიის ხელფასები თუ გაისტუმრეთ?**

- არა. ამჯერად მხოლოდ ახალი კომისიის ხელფასები და საარჩევნო ადმინისტრირების ხარჯები დავფარეთ. ძველი სახელფასო დავალიანება, ჩვენი მთავარი საზრუნავი - სოციალური ხარჯები, რომელიც მძიმე მემკვიდრეობით გვერგო, ისევ დასაფარია და ეს მიმდინარე წელს ჩვენი მთავარი საზრუნავი იქნება.

**- რეგიონებში, წინასაახალწლო დღეებში ფინანსთა სამინისტროს მიერ გადარიცხული ხელფასებისა და შემწეობების მიღების მოთხოვნით, აქციები გაიმართა. როგორ მოგვარდა ეს პრობლემა?**

- ლტოლვილთა შემწეობების დაფინანსება ამ მთავრობის პრინციპული პრიორიტეტია და არასდროს არ გადავა მეორე პლანზე. ყველაზე ცუდი ის არის, როცა ასეთ სიტუაციაში ამ მნიშვნელოვანი ხარჯის დაფინანსებას ახერხებ და ის ადრესატამდე ვერ აღწევს. ეს ნამდვილად გულსატკენია და ჩემთვის გასაგებია აქციის მონაწილეთა აღშფოთება. წინასაარჩევნო პერიოდში ამ პრობლემების მოსახსნელად დიდი ძალისხმევა გავწიეთ და ეს საკითხი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება. ვიმსჯელებთ იმაზე, რომ ამგვარი პრობლემები არა მხოლოდ იანვარსა და დეკემბერში, არამედ არასდროს აღარ იყოს საქართველოში.

**- რას ნიშნავს ტერმინი "ცარიელი ხაზინა"? მართლა არც ერთი თეთრი არ დატოვა ბიუჯეტში წინა ხელისუფლებამ?**

- ეს ფიგურალური გამოთქმაა. ხაზინა ყოველ საღამოს ცარიელია და დღის განმავლობაში ივსება თანხებით. როცა ნოემბრის ბოლოს განვაცხადეთ, რომ ცარიელი ხაზინა დაგვხვდა - ორ რამეს ვგულისხმობდით - ნოემბრის განმავლობაში ერთეთერთიანი ხარჯის გაწევაც ვერ შევძელით იმიტომ, რომ ეროვნული ბანკის 44 მილიონიანი ვალი გვქონდა დასაფარი, მაგრამ ამაზე უფრო მეტად იმას ვგულისხმობდით, რომ ზოგან ოქტომბრის, ზოგან სექტემბრის, ზოგან ივნისის და ა.შ. ხარჯები არ იყო გაწეული, გაუსტუმრებელი ვალდებულებები იყო დაგროვილი. მეორე კომპონენტი, რის გამოც ეს ტერმინი ვიხმარეთ, იყო ის, რომ იმ პერიოდისთვის შემოსავლები პრაქტიკულად ნულის ტოლი გახლდათ.

თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ ამას ვამბობთ არა იმიტომ, რომ ვინმესკენ გავიშვიროთ ხელი, ან თავი ვიმართლოთ, არამედ, გვინდოდა, რომ საზოგადოებას სრულად ცოდნოდა, რა ვითარებაში ჩავიბარეთ სახელმწიფო ფინანსები. სახელმწიფო, ფაქტობრივად, არ იმართებოდა. იმ პერიოდისთვის პრაქტიკულად აღარ არსებობდა ფინანსთა სამინისტრო, ამიტომ სწრაფი ქმედებები იყო საჭირო და თან ისეთი, რომელიც სტრატეგიული მიზნების შესრულებასაც არ შეუშლიდა ხელს. ჩვენ ისე ვერ ვიმუშავებდით, რომ სასწრაფო პრობლემები მოგვეგვარებინა და დღევანდელი პრობლემები ხვალისთვის გადაგვედო.

**- ფისკალური პოლიტიკის სწრაფი წარმართვა შესაძლებელია?**

- თავისთავად ცხადია, ყველაფრის გაკეთება ვერც მოვახერხეთ - სულ რამდენიმე მოკლევადიანი გეგმით შემოვიფარგლეთ. უპირველეს ყოვლისა, გეგმა სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს წარვუდგინეთ და დახმარებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას მივმართეთ. იანვრის ბოლომდე 140 მილიონი ლარის ოდენობამდე დავალიანებას ვვარაუდობდით და ახლა ვფიქრობ, რომ ეს დავალიანება გაცილებით ნაკლები იქნება.

ვფიქრობდით, რომ დეკემბრის ბოლომდე ყველა სოციალური ხარჯის დაფინანსებასაც ვერ მოვახერხებდით, მაგრამ დადებითად შევცდი - სახელმწიფო ბიუჯეტის პრაქტიკულად, ყველა სოციალური ხარჯის დაფინანსება მოვახერხეთ. მოვახერხეთ ერთი თვის სოციალური ხარჯის - ივნისის, სექტემბრის, ოქტომბრის დავალიანების დაფარვა. დეკემბრის განმავლობაში სრულად დაფინანსდა თითო თვის სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალური ვალდებულება და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო.

ჩემი ვარაუდით, ცენტრალური ბიუჯეტი, დეკემბერსა და იანვარში სოციალურ ვალდებულებებსა და ძირითად ხარჯებში დამატებით ვალებს აღარ დააგროვებს და შესაბამისად, არსებული 10 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება დაგვრჩება. ეს ძალზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია და პირდაპირ ვიტყვი, ასეთ შედეგებს არ ველოდი.

**- რა ბედი ეწევა ამ ტიპის დავალიანებებს 2004 წელს?**

- დარწმუნებული ვარ, მიმდინარე ვალდებულებები აუცილებლად სრულად და თავის დროზე იქნება დაფინანსებული. მაგრამ ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ეს არ არის. მთავარი 2003 წელს და წინა წლებში დაგროვილი დავალიანებების გასტუმრებაა.

**- ეს ვალდებულებები დღის წესრიგში თქვენი წინა მინისტრობისას და უფრო ადრეც იდგა. ვალების გასტუმრებას მხოლოდ არსებული სხვა რეალობის გამო ვერ ახერხებდით?**

- 2001 და 2002 წლები იყო პერიოდი, როდესაც ვალების გარკვეული ნაწილი დავაბრუნეთ, რაც იყო წვეთი იმასთან შედარებით, რის გაკეთებაც ქვეყანას უკეთესი კოორდინაციის პირობებში შეეძლო. 2002 წლიდან, ქვეყანა, ფაქტობრივად, არ იმართებოდა. ჩვენი მთავარი პრობლემა იყო მმართველობის რეფორმა და ეფექტურობა და ეს დღევანდელი მთავრობის მთავარი საზრუნავიც არის. როგორც კი ეს პრობლემები ადრესირებული იქნება (და ამაში ეჭვი არ მეპარება), ყველა დანარჩენი პრობლემაც იოლად მოგვარდება. მეც და ბევრი ჩემი კოლეგაც პოლიტიკის ვეტერანებად შეიძლება ჩავითვალოთ. ვხედავდი, როგორ მუშაობდა მთავრობა და მთელი ამ წლების განმავლობაში ჩვენი პრობლემა მმართველობა იყო. ახლა თავად ვხედავ, რამდენად უფრო კოორდინირებული, შეთანხმებული და მობილიზებულია მოქმედებები.

მმართველობის რეფორმების შემდეგ მთავარი სტრუქტურული რეფორმები იქნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ის, რაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ნების გამოვლენისა და ელემენტარული ცვლილებების ხარჯზე მოხდა. პირდაპირ გეტყვით, რეალურად ხელისშემშლელ ვერც ერთ პირობას ვერ ვხედავ. თავის დროზე, 1990-იანი წლების შუაში, შევარდნაძესაც ჰქონდა ამის შანსი და ეს შანსი არ გამოიყენა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ საქართველოს მოსახლეობამ და დღევანდელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა ქვეყანაში ერთად შექმნეს საქართველოს სრულიად ახალი მომავლის შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ.

**- მიხეილ სააკაშვილი ახალ წელს უმწეოთა თავშესაფარში შეხვდა. აღიქვით თუ არა ეს თქვენ, ფინანსთა მინისტრმა ისე, რომ პრეზიდენტობისას მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სოციალური სფერო იქნება. თქვენ შეიძლება გვერდით დაუდგეთ, მაგრამ საინტერესოა, რა ბერკეტებით მოაწესრიგებთ ვითარებას თქვენი სტრუქტურის ქვედა რგოლებში?**

- ახალი მთავრობის პრიორიტეტები უკვე საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული - სოციალური მიმართულებიდან დაწყებული, ქვეყნის უსაფრთხოებით დამთავრებული... ქვეყნის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნის შემდეგ ამ დოკუმენტის ჩარჩოებში გეგმების რეალიზაციას მივყვებით. ეს მთავრობა თავის ქმედებებში აუცილებლად ეფექტური იქნება, სწრაფად მიიღებს გადაწყვეტილებებს და სწრაფადვე შეასრულებს. ფინანსთა სამინისტროს საკადრო პოლიტიკა ყველა მიმართულებით ერთადერთ პრინციპზე იქნება დამოკიდებული - თუ საქმეს კარგად შეასრულებ, იმუშავებ, თუ არა - არ იმუშავებ. ეს მარტივი პრინციპია და აუცილებლად განხორციელდება.

**- უბრალო მებაჟეების, საგადასახო ინსპექტორების პატიოსნება ცოტა რთული დასარეგულირებელია, როგორ აპირებთ ამას?**

- რომ გითხრათ, უკვე დეკემბერში, ან მომდევნო სამ თვეში ყველაფერი წესრიგში იქნება-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ფინანსთა სამინისტრომ, როგორც სტრუქტურამ, უნდა გადაწყვიტოს ამოცანების რეალიზაცია და არა მინისტრმა, მისმა მოადგილეებმა და სხვა ადამიანებმა. ეს პირამიდის პრინციპი იქნება და ამ პირამიდაში მხოლოდ ის ხალხი იმუშავებს, ვინც ამ პირობებზეა თანახმა.

მეორე და, შეიძლება, ამაზე უფრო მთავარიც - მაქვს ამბიცია, რომ 2004 წლის ბოლოს ფინანსთა სამინისტრო არა მხოლოდ ყველაზე ეფექტური ინსტიტუტი, არამედ - ყველაზე ნაკლებ კორუმპირებული სტრუქტურა იყოს და მე ამას გავაკეთებ.

**- მოიშველიებთ თუ არა იმ გამოცდილებას, რომელიც არასამთავრობო ჯგუფის** (საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი, ქავთარაძე" - რედ.) **მუშაობისას შეიძინეთ და როცა თქვენი კვლევებით მოსვენებას არ აძლევდით მშობლიურ ფინანსთა სამინისტროს მირიან გოგიაშვილის ხელმძღვანელობით? ის თვალი და ყური ისევ გაქვთ?**

- შევეცდები, რომ ამგვარი თვალი და ყური მრავლად იყოს და ბევრმა ადამიანმა ადევნოს თვალი საფინანსო, სახარჯო, საშემოსავლო პოლიტიკას, რადგან ჩვენი მუშაობა გამჭვირვალე იქნება და ამის პირობას ვიძლევი. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, როგორ შეხედავს საზოგადოება ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი საქმიანობის ნებისმიერ მონიტორინგს მივესალმები და ეს ცარიელი სიტყვები არ არის. ინფორმაციას ნებისმიერი ფორმით ხელმისაწვდომს გავხდით - იქნება ეს ბრიფინგები თუ ინტერნეტი. გარდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა, ვეცდებით თავის გალამაზებას და საზოგადოების წინაშე უკეთ წარდგენას.

**- გათვლილი გექნებათ - თქვენი ოპტიმისტური სცენარის წარმართვის შემთხვევაში (მმართველობის კარგი სტრუქტურა, ადმინისტრირება, პატიოსნება და ა.შ.), რამდენ ხანში გამოსწორდება ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა?**

- შეიძლება, ზუსტად ვერ გითხრათ, მაგრამ, ცენტრალური ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯების გაცემას იანვრის განმავლობაში მოვასწრებთ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ პენსიები დროულად იქნება გასტუმრებული. იანვარში სოციალური ხარჯების დავალიანების გამკლავებას ვფიქრობთ. თებერვალში აღარ დავაგროვებთ შემდგომ დავალიანებას; პირველი ივლისისთვის საკმაოდ შევზღუდავთ ნავთობპროდუქტებისა და სიგარეტის კონტრაბანდას, რითიც შემოსავლების ეტაპობრივი ზრდა მოხდება. ეს ტენდენციები ახლაც შეინიშნება.

მეორე უმნიშვნელოვანესი მომენტი უკანონო ჩათვლებია. მათი აქტივებად გამოყენება ავკრძალეთ და ამ სფეროში შემოსავლები რეალურად შემოვიდა, რასაც, სიმართლე გითხრათ, არ ველოდი.

ახლა მდგომარეობის გამოსწორების საკმაოდ სწრაფ დინამიკაზე ვსაუბრობ (27 ნოემბრიდან 1 ივლისამდე). თებერვალში მზად იქნება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და სხვა დონორებთან შეთანხმებული ბიუჯეტის პროექტი და თითქმის არ მეპარება ეჭვი, რომ პარლამენტი ამას მიიღებს. ამის შედეგად საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა სწრაფად აღდგება და პირველ ივლისამდე პარიზის კლუბში საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციას მოვასწრებთ.

ეს, პრინციპში, წლის პირველი ნახევრის გეგმაა. არ მინდა, ვისაუბრო 10-12 წლიან პროგრამაზე, რომელსაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები უნდა მოესწრონ. ვითარება უნდა გამოსწორდეს ახლა და მთელი მთავრობის ძალისხმევაც იქითკენ იქნება მიმართული, რომ ყველაფერი ახლავე, ჩვენს თვალწინ გაკეთდეს, რათა წლის მეორე ნახევრში ვისაუბროთ არა მხოლოდ იმაზე, რა დავალიანებების გასტუმრებას შევძლებთ... მარტისთვის ზუსტი გრაფიკი უნდა გვქონდეს იმის შესახებ, თუ რას გავისტუმრებთ წელს და მომავალ წლებში, ასევე უნდა შეგვეძლოს საუბარი ყველა იმ ვალდებულებებზე, რაზეც პოლიტიკური ლიდერები აპელირებდნენ - გაზრდილი ხელფასები, პენსიები, ინვესტიციები და ა.შ.

**- გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, როგორ წარიმართა სახელმწიფო მინისტრისა და აჭარის ლიდერის საუბრები ფინანსური პრობლემების თაობაზე?**

- აჭარიდან 2 მილიონ 300 ათასი ლარი დეკემბერში უკვე მივიღეთ.

**- მინისტრობამდე საკმაოდ მაღალანაზღაურებადი და შედარებით ნორმალური რეჟიმის სამსახური გქონდათ. რატომ დათანხმდით მინისტრად მეორედ მოსვლას? ეს იყო პარტიის დავალება, გულის კარნახი, სამშობლოს სიყვარული თუ ყველაფერი ერთად?**

- არც მეგონა, თუ ჩემი კარიერა ასე განვითარდებოდა. ცხოვრების მეორე სტილს უკვე შეჩვეულიც კი ვიყავი. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველ დღე 7 საათზე თავისუფალი ვიყავი.

**- და ნაკლები პასუხისმგებლობა გქონდათ...**

- საზოგადოების წინაშე შეიძლება, მაგრამ, ნებისმიერ საქმეს მაქსიმალურ ენერგიასა და დროს ვახმარდი. მინისტრობის შემოთავაზებას, მაინცდამაინც, არ ველოდი. ერთადერთი, რაც მინდოდა, არა მხოლოდ როგორც ფინანსთა მინისტრის, არამედ ბიზნესის გამოცდილება გამომეყენებინა და რჩევებისა დ პროექტების სახით ჩემი ქვეყანისა და ახალი ხელისუფლებისთვის შემეთავაზებინა. იმ რთულ პირობებშიც კი ვახერხებდით ინვესტორების მოზიდვას, რაც მინისტრობის დროს, რთულად წარმომედგინა. საქართველო მეორე მხრიდანაც გავიცანი. ამ წინადადებას კი არ ველოდი, რადგან პოლიტიკიდან ჩამოშორება ვცადე...

**- და ერთხელ გაბრაზებული ისევ დაბრუნდით...**

- დიახ და სხვათა შორის, რაც მაშინ თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, ყველაფერი გამართლდა. ერთის გამოკლებით - სისხლისღვრა არ მოხდა და ეს ჩემი კიდევ ერთი დადებითი შეცდომაა.

**- იქნებით თუ არა კვლავ საინტერესო ჟურნალისტებისთვის, ანუ - ისევ მოგიხდებათ პასუხის გაცემა კითხვებზე, რატომ არ რიგდება ხელფასები, შემწეობები, რატომ კეთდება ფული საბაჟოზე და რატომ იღებენ ქრთამს საგადასახადოს თანამშრომლები?**

- უახლოესი პერიოდის განმავლობაში ისე ვერ შევძლებ მდგომარეობის გამოსწორებას, რომ ამ თვალსაზრისით უინტერესო გავხდე, მაგრამ, ვეცდები, ფინანსთა სამინისტრო რაც შეიძლება მალე გავხადო თქვენთვის უინტერესო...

# მე მოვედი

## ბედობის ღამეს ნინო ქათამაძესთან ერთად

*ერთ დროს უცნობი, თავდაჯერებული გოგონა აღარაა უცხო. მას შემდეგ, რაც თეატრალური სარდაფის სცენაზე სრულიად მოულოდნელად ემოციებისა და ოვაციების ბუღი დაატრიალა, სულ რაღაც სამი წელიწადი გავიდა. ეს იყო ლადო ბურდულის ცნობილ ფესტივალთაგან ერთ-ერთი. უცნობი გოგონა მაშინვე გახდა პოპულარული ახალგაზრდა მელომანების პატარა წრეში. შემდეგ ეს წრე თანდათან იზრდებოდა. მისი პირველი გამოჩენიდან სამი წლის შემდეგ სურათი ასეთია – ახალი წლის პირველ დღესა და ბედობის ღამეს თბილისში ყველა, ვისაც ამის საშუალება აქვს, დაუფიქრებლად მიდის მის კონცერტზე. გაცილებით მეტია მათი რაოდენობა, ვინც ამ კონცერტის პირდაპირ ტრანსლაციას უყურებს...*



*ნინო ქათამაძე*

ვერა ნეფარიძე

ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" წინა კონცერტიდან სულ რაღაც რვა თვე გავიდა, მაგრამ ისევ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაგეგმილ საღამოს მაინც განსაკუთრებით ელოდნენ. ელოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ თბილისელებს საახალწლო განწყობისთვის შესაფერისი მიზეზი სჭირდებოდათ. პირველი იანვარი ამ ორი შემოქმედებითი ტანდემის (ქათამაძისა და "ინსაითის") მუშაობის ერთგვარი შეჯამება უნდა ყოფილიყო ორი ალბომის პრეზენტაციის სახით. ორივე ალბომი – "ნინო ქათამაძე & ინსაითი" და "უბრალო დღე", გაყიდვაში სწორედ გუშინწინ გამოვიდა; პირველი დისკები კი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაიყიდა. ყველაზე მთავარი, ჩემი აზრით ამ კონცერტზე სხვა იყო. როგორც თავად ნინო ქათამაძემ განაცხადა: "ეს კონცერტი ნიშნავს, რომ მე მზად ვარ შემდეგი ეტაპისთვის", - პირველ იანვარს კლუბში მისვლა ალბათ იმიტომაც ღირდა, რომ მუსიკოსის მზადყოფნაში დავრწმუნებულიყავი.

თბილისის საერთაშორისო როკ-ფესტივალი, როდესაც ის პირველად გამოჩნდა შედარებით ფართო მსმენელის წინაშე, განსხვავებული იყო (ეს ლადოს ფესტივალებს უდაოდ ახასიათებდა). ბათუმურ "ინსაითს" თბილისში იცნობდნენ, მაგრამ განსაკუთრებულ იმედებს მასზე არ ამყარებდნენ. ჯგუფს ჰქონდა ჰიტიც, მაგრამ სარდაფის სცენაზე უცნობი ახალი ვოკალისტის (მაშინ ნინო ქათამაძე ჯგუფის ახალი წევრი იყო) შესრულებული "ტურფას" შემდეგ, სწორედ ეს სიმღერა გახდა "ინსაითისთვის" ერთგვარი მოსაწვევი ბარათი. მართლა შთამბეჭდავი იყო ის ემოცია და რეაქცია, რაც სამი წლის წინათ "ტურფამ" გამოიწვია. მერე იყო ცოცხალი მუსიკის სხვადასხვა კონცერტები, სადაც "ინსაითი" უპირობოდ ჩაეწერა; უმალ მოიპოვა თაყვანისმცემელთა წრე. ცოტა გამაღიზიანებელიც კი იყო ეპითეტები ნინოს მიმართ - ქართველი ჯენის ჯოპლინი, იმის მიუხედავად, რომ ეს შეფასებები კეთდებოდა არა იმდენად ჯოპლინისადმი ქართველი მომღერლის მიმბაძველობის აღსანიშნად, არამედ უფრო მათი შემოქმედებითი ენერგიების შესადარებლად. ნინო ქათამაძე ქართული მუსიკალური სცენის უდავოდ ახალი პერსპექტიული სახე გახდა.

შემდეგ იყო თაყვანისმცემლებში ცოტა იმედგაცრუების შიში, რადგანაც სიმღერა "ტურფა" რჩებოდა ნინოსა და "ინსაითის" ერთადერთ საუკეთესო ნამუშევრად. იმედგაცრუებამ მაშინ კიდევ უფრო მოიმატა, როდესაც ქათამაძემაც, ქართველი პოპ-ვარსკვლავების მსგავსად რუსა მორჩილაძის (როგორც ცნობილია, ჩვენი მომღერლების ძირითადი ნაწილი მის სიმღერებს ასრულებს) დაწერილი სიმღერა შეიტანა საკუთარ რეპერტუარში. მაგრამ, ნინო ქათამაძის უპირატესობა იმაშიცაა, რომ მას შეუძლია რუსა მორჩილაძის სიმღერაც სხვაგვარად იმღეროს. ნინო ქათამაძის ირგვლივ იყო "არტ-იმედთან" დაკავშირებული ხმაურიც. როდესაც მომღერალმა ამ საპროდიუსერო კომპანიაში გაერთიანება საჯაროდ უარყო, იყო ჭორები, რომ ამით მომღერალმა ყურადღება საკმაოდ ეფექტური ხერხით კიდევ ერთხელ მიიქცია, და ა.შ. დღეს ეს კომპანია თითქმის გაუქმებულია და მუსიკოსებთან თანამშრომლობის ახალ ფორმებს ეძებს, ნინო ქათამაძე კი დამოუკიდებლად, პროდიუსერის დახმარებით (ისე, როგორც ეს მიღებულია ყველგან) მოღვაწეობს და საკმაოდ წარმატებულადაც. ამ ხნის განმავლობაში ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" პოპულარობის მიუხედავად, არ არსებობდა მათი ალბომები. ქართველ თაყვანიმცემლებს კი "ნაცნობობით" უხდებოდათ სტუდიური ჩანაწერების მოპოვება. ალბათ არავინ მიწყენს თუკი ვიტყვი, რომ "ინსაითისა" და ნინო ქათამაძის შემოქმედებაში ნამდვილად ახალი ეტაპი მაშინ დაიწყო, როდესაც საკმაოდ ჭკვიანმა პროდიუსერმა ირაკლი ნადარეიშვილმა მათი მეურვეობა ითავა. პროდიუსერმა პროფესიული ალღოს წყალობით მაშინვე გაუგო სიტუაციას და მიხვდა, რომ საჭირო იყო მუსიკოსის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება. ნინო ქათამაძე კი ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. აქამდე ნინო ქათამაძე როკისა და ბლუზის შემსრულებლად იცნობდნენ; ნადარეიშვილთან თანამშრომლობის დაწყებისთანავე მომღერალმა ელექტრონულ მუსიკაში მოსინჯა ძალები – თანამშრომლობა გოგი ძოძუაშვილთან ამ შესაძლებლობის გამომჟღავნების კარგი საშუალება აღმოჩნდა. ნინო ქათამაძე ისევ სწავლობს და სხვათა შორის, მისი ამჟამინდელი ჯაზით გატაცება მხედველობიდან არ გამორჩებოდა დაკვირვებულ მსმენელს პირველი იანვრის ღამეს.

კონცერტი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" საკმაოდ კარგად იყო ორგანიზებული, თუ არ ჩავთვლით კლუბის მოუგვარებელ პრობლემას - ხალხმრავლობისას გარდაუვალია კლუბის შესასვლელში სულ ცოტა, საათნახევრიანი ლოდინი. ამის გამო კი, ცხადია, ყველა ღონისძიება დაგვიანებით იწყება. ასე იყო ამჯერადაც. ახალი წლის პირველ საღამოს "აჭარა მიუზიკ ჰოლი" სტუმრებით გაივსო. ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" თაყვანისმცემელთა ასაკობრივი დიაპაზონი სრულიად შეუზღუდავი იყო – თინეიჯერებიდან დაწყებული (18 წლამდე ასაკის ბავშვებს კლუბში არ უშვებენ, თორემ, სტუმართა ასაკობრივი ათვლა უფრო ქვემოდანაც დაიწყებოდა) ზევით; კლუბის სტუმრებს შორის კი მაინც ყველაზე მეტად მასმედიის ცნობილი სახეები ჭარბობდნენ.

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" ორი საათის განმავლობაში ძირითადად ნინო ქათამაძისა და "ინსაითის" ერთობლივი ალბომიდან ჟღერდა კომპოზიციები. "უბრალო დღიდან" რამდენიმე ნამუშევრის წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს გოგი ძოძუაშვილმა და გოჩა ყაჭეიშვილმა ("ინსაითის" გიტარისტი); თანამედროვე კლუბებში ელექტრონული მუსიკა, მოგეხსენებათ, ვიდეოინსტალაციების გარეშე არ ჟღერს. ირაკლი ნადარეიშვილმა ამაზეც იზრუნა და კონცერტის ვიზუალური ეფექტებით გაფორმება ლევან ნუცუბიძეს მიანდო. საერთო ჯამში, კონცერტმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, რაც ნინო ქათამაძესთან ერთად, "ინსაითის" ბიჭების დიდი დამსახურებაა. აუდიტორიამ მუსიკოსები განსაკუთრებით ისევ და ისევ "ტურფას" შესრულებისას დააფასა – დათო აბულაძემ (დასარტყამ ინსტრუმენტებზე შემსრულებელი) მეტად შთამბეჭდავი იმპროვიზაცია შემოგვთავაზა; როგორც ყოველთვის, მაღალი ოსტატობით გამოირჩეოდა უჩა გუგუნავა (ბას-გიტარა). რაც შეეხება გოგი ძოძუაშვილს, ალბათ კარგი იყო, რომ ალბომიდან "უბრალო დღე", პირველ იანვარს ნაკლები კომპოზიციები შემოგვთავაზეს. ასეთი თანამედროვე ჟღერადობის გემოვნებიანი მუსიკოსთვის პირველ იანვარს ნაქეიფარი ჩვენი საზოგადოება ნაკლებად იყო მზად.

# გთხოვთ, იცნობდეთ: ქართული ლიტერატურა






*რეზო თაბუკაშვილი*



*ზაალ სამადაშვილი*

ანა კორძაია-სამადაშვილი

"კინდლერის ახალი ლიტერატურული ლექსიკონი" ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურული ცნობარია. ის 23 ტომს მოიცავს და ლიტერატურათმცოდნეებსა და რიგით მკითხველებს მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს თუ არ აცნობს, მათ შესახებ წარმოდგენას მაინც უქმნის.

"კინდლერის" უკანასკნელ რედაქციაში ლათინური ამერიკისა და აფრიკის ლიტერატურას ("რომლის თავისებურებები და სისავსე ჩვენთვის მხოლოდ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში გახდა ხილული"), განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ენციკლოპედიის მესვეურები ეროვნული უმცირესობების ლიტერატურის წარმოდგენასაც ეცადნენ – ცხადია, შეძლებისდაგვარად. მოკლედ, "კინდლერი" მუშაობს და დიდი აღიარებით სარგებლობს – სავსებით დამსახურებულად.

"კინდლერის ლიტერატურულ ლექსიკონში" მოხვედრა მწერლისთვის ლიტერატურულ პარნასზე მოხვედრის ტოლფასია. მაშ, ვინ არის ის 10.518 ავტორი, რომელსაც ასეთი პატივი ხვდა წილად?

მდაბიურად რომ ვთქვათ, ეს "პატრონიანი" ლიტერატორები არიან. ამ შემთხვევაში პატრონი ქვეყანაა. "კინდლერს" თუ დავუჯერებთ, საქართველოს შემდეგი ლიტერატორები ჰყოლია: შოთა რუსთაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მამუკა ბარათაშვილი (გასაოცარი ამბავი!), ილია ჭავჭავაძე, გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია. მორჩა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ლიტერატურის ასეთი ბეჩავი სახე სულაც არაა "კინდლერის" შემდგენელთა ბრალი. 1998 წელს, როცა გავკადნიერდით და მივწერეთ, სირცხვილია, ბოლოსდაბოლოსო, დაუჯერებელი გზებით გვიპოვნეს და ინფორმაცია შეგვიკვეთეს. უბრალოდ, ყველაფერი ორიოდე თვით დაგვიანდა – სანამ ოფიციალური წერილი ჩამოვიდა, სანამ ჩვენ გონს მოვეგეთ და მივხვდით, რომ შუამავალი აფერისტი გვყავდა... გარდა ამისა, ჩემსავით მოცლილი იშვიათად თუ ჩამოჯდება ვინმე მრავალი საათის განმავლობაში "კიპერდში", იატაკზე, რომ ოცდასამივე ტომი ფურცლოს და მერე ვიღაც საბრალო ბატონ რადლერს აღშფოთებული წერილები სწეროს. შესაბამისად, გერმანულენოვანთა უმრავლესობისთვის ჩვენი ლიტერატურა, თუ საერთოდ არსებობს, მეთორმეტე საუკუნეში იწყება და კონსტანტინე გამსახურდიათი მთავრდება. მოგწონთ ასეთი მდგომარეობა? მე – არა.

გასულ წელს, როცა ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე სტუმარი ქვეყანა რუსეთი იყო, რუსებმა გერმანულ ენაზე 200 ავტორის ნაწარმოებები თარგმნეს, გამოსცეს და ბაზრობაზე გაიტანეს, და მე ძალიან, ძალიან შემშურდა.

მართალია, ქართული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები უცხო ენებზე უხვადაა თარგმნილი, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კრებულების გამოცემაც მოხერხდა, მაგრამ ყველაფერ ამას მეტისმეტად არარეგულარული ხასიათი აქვს. თან, ჯერჯერობით, იაშარ ქემალისა თუ არუნდატი როის მსგავსი ლიტერატორიც არ გამოგვჩენია, რომლის ხელნაწერიც რომელიმე მსხვილი დასავლური გამომცემლის ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა და მის ავტორს და, შესაბამისად, ავტორის მშობლიურ ლიტერატურას მთელს მსოფლიოში გაუთქვამდა სახელს. პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ ვაკუუმის შესავსებად იქნა გადადგმული, ჟურნალი New Century გახლავთ, რომელიც ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი "XX საუკუნის" ბაზაზე შეიქმნა და რომლის მესამე ნომერიც უკვე წიგნის მაღაზია "პარნასში" დევს.

ეს ჟურნალი თავის არსებობას საქართველოს ნავთობკორპორაციის პრეზიდენტს, ბატონ გია ჭანტურიას უმადლის. ის, რომ მისი არჩევანი "XX საუკუნეზე" შეჩერდა, ვფიქრობ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს: ის წიგნიერი ადამიანია, ხოლო ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც პირველად ცხრა წლის წინათ გაჩნდა, ყოველთვის კარგ ლიტერატურას ბეჭდავდა. აქ დაიბეჭდა პირველად გურამ დოჩანაშვილის "ლოდი ნასაყდრალი", ჯაბა იოსელიანის "ლიმონათის ქვეყანა", ზურაბ სამადაშვილის "სველი აგური", ქეთი ნიჟარაძის "მზიანი მხარე", ამ ჟურნალის მეშვეობით მკითხველი უამრავი ავტორის შემოქმედებას გაეცნო, მათ შორის აკა მორჩილაძის, ზურაბ ქარუმიძის, ვაჟა გიგაშვილის ნაწარმოებებსაც. "ჩვენთან იბეჭდება ყველაფერი, რასაც ღირებულს ვნახავთ," ამბობს New Century-ს რედაქტორი, მწერალი რეზო თაბუკაშვილი. "ზოგჯერ ყოფილა, რომ სადღაც შემთხვევით წაგვიკითხავს სრულიად უცნობი ადამიანის ახალი მოთხრობა ან ლექსი, და ისე დაგვიბეჭდავს ჩვენს ჟურნალში".

რაც შეეხება დაფინანსებას: "XX საუკუნის" მეექვსე ნომერი სოროსის ფონდმა დააფინანსა. ეს იყო და ეს. ყველა სხვა ნომერი ლაშა თაბუკაშვილის ფულით გამოდიოდა, რაც, თავისთავად, შესანიშნავი ამბავია, მაგრამ მხოლოდ ბატონი ლაშას სასიკეთოდ მეტყველებს; მეორე მხრივ, ეს იმის ნიშანია, რომ ქართველ ბიზნესმენებს (სხვა, უფრო მაღალ ინსტანციებზე აღარაფერს ვიტყვი) ლიტერატურა მაინცდამაინც არ აინტერესებთ.

ბატონმა გია ჭანტურიამ საკმაოდ რთული საქმე იტვირთა, და არამარტო ფინანსური თვალსაზრისით: ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების ინგლისურ ენაზე თარგმნა, შემდეგ მათი მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნა. მისი დახმარებით პირველი ნომრის პრეზენტაცია სენტ ლუისის, ვირჯინიის, ვაშინგტონის უნივერსიტეტებში გაიმართა, და ჟურნალი შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკასაც მიეწოდება. მიუხედავად დიდი მონდომებისა, New Century-ს მესვეურებს – ზაალ სამადაშვილს, შალვა კაპანაძეს და რეზო თაბუკაშვილს ამის დამოუკიდებლად ორგანიზება ძალიან გაუჭირდებოდათ. ახლა კი ამერიკელმა მკითხველმა იცის, რომ "ვეფხისტყაოსნის" ავტორის გარდა, არსებობდნენ ნიკო ლორთქიფანიძე, ტერენტი გრანელი, გიორგი ლეონიძე, გურამ რჩეულიშვილი, ნიკო სამადაშვილი, დავით კლდიაშვილი, რეზო ინანიშვილი და სხვა მწერლები და პოეტები, და რომ ზოგიერთები დღესაც საქართველოში ცხოვრობენ, ჩინებულად წერენ და ძალიან კარგი ბიჭები და გოგოები არიან.

წელს, New Century-ს მესამე ნომერთან ერთად, კონგრესის ბიბლიოთეკას თერთმეტი ქართველი ლიტერატორის ნაწარმოებები შეემატება. ეს ნომერი წინამორბედებისგან იმით გამოირჩევა, რომ მაია ყიასაშვილის, რუსუდან კრავეიშვილის, ლელა ებრალიძის, ნინო ცისკარიშვილის, ნინო ძოწენიძის, კარლ ლინიხის, მედეა ზაალიშვილის, კოტე გოგოლაშვილის, ზაზა სიამაშვილის თარგმანების საბოლოო რედაქცია შეერთებულ შტატებში გაკეთდა, მიდელტენესის უნივერსიტეტში. ამას რუსუდან ფეტვიაშვილის, ომარ დურმიშიძის და დიმიტრი ერისთავის ილუსტრაციებიც ერთვის, გარეკანის დიზაინის ავტორი გურამ წიბახაშვილი გახლავთ და საერთოდ, ძალიან ლამაზი და საინტერესო ნომერია.

ქართული ლიტერატურა ინგლისურად წაიკითხეთ-მეთქი, ამას ნამდვილად არ მოგიწოდებთ. მაგრამ თუკი უცხოელი მეგობრის გახარება მოგინდებათ, "პარნასში" შეიარეთ, გარწმუნებთ, New Century საუკეთესო საჩუქარი იქნება.

**P.S.** ისე, რამდენადაც ვიცი, ბატონი გია ჭანტურია ჩვენს ქვეყანაში ერთადერთი მკითხველი ბიზნესმენი არ უნდა იყოს, და არც ამერიკაა დედამიწაზე ერთადერთი ქვეყანა. და იმასაც ვიტყოდი, რომ ნანახი ფილმი თუ სურათი, გაგონილი მუსიკა და ყველაზე შესანიშნავი თეატრალური წარმოდგენაც ადამიანებს ადრე თუ გვიან ავიწყდებათ, წიგნი ან ჟურნალი კი თაროზე რჩება. სხვა თუ არაფერი, მოცალეობის ჟამს მას ვინმე მაინც გადაფურცლავს და გულით იცინებს ბრიყვი ბეკინას ბრიყვული მაჭანკლობის ამბავზე.







# ახალი წელი მსოფლიოს გარშემო

*ახალი წლის ცნობილ ზეიმებს უკვე მეორე წელია, თბილისიც უერთდება. ულამაზესი შოუ, რომელიც მთელ საქართველოში გაიმართა მალე ისეთი ცნობილი საახალწლო ზეიმების გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს, როგორიც თაიმს სქვერი და ეიფელის კოშკია. თუმცა, მოდით, მაინც ვნახოთ, როგორ შეხვდა მსოფლიოს რამდენიმე ცნობილი ქალაქი 2004 წელს.*



**ნიუ იორკი:** ახლადგამოჩენილი პრეტენდენტების მიუხედავად მანჰეტენი წელსაც ყურადღების ცენტრში დარჩა. თაიმს სქვერზე შეკრებილ ამერიკელებსა და ტურისტებს საგანგებო საახალწლო ქუდები დაურიგეს და ბრჭყვიალა ბურთის დაშვებაც აცქერინეს. ძველი წლის ბოლო წუთს კი იყო ტრადიციული, აღტკინებული დათვლაც – 60-იდან 00-მდე – ახალი წლის პირველ წუთამდე... თაიმს სქვერზე წელს მრავალი ცნობილი სახეც ჩანდა, მათ შორის გახლდათ, "მაშველების" უცვლელი ვარსკვლავი დევიდ ჰასელჰოფიც.

თუმცა, იყო ტერორიზმის შიშიც, რის გამოც მოზეიმე ამერიკელებს ათასობით ფორმიანი და გადაცმული პოლიციელი, ძაღლებით, რადიაციისა და მეტალის დეტექტორებით აღჭურვილი ჯგუფები იცავდნენ, მიწაზე გამართულ გრანდიოზულ ზეიმს კი ციდან სამხედრო პატრული თვითმფრინავები ადევნებდნენ თვალს.



**ფლორიდა:** მართალია, მთელი მსოფლიოს ყურადღება ახალი წლის ღამეს ნიუ იორკისკენ არის მიპყრობილი, მაგრამ ადგილობრივი ზეიმები თითქმის ყველა შტატში იმართება. განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევა ფლორიდა, სადაც საახალწლო პროგრამას გამომწვევ სამოსში გამოწყობილი გოგონები ალამაზებენ. ქი ვესტის საახალწლო შოუ კი უკვე მეექვსე წელია, ნიუ იორკის გრანდიოზული ბურთის მთავარ ალტერნატივად მოიაზრება. ამ ქალაქში 31 დეკემბრის ღამეს, როგორც ხედავთ, დიდ წითელ ფეხსაცმელებშიც კი ცეკვავდნენ...



**პარიზი:** სიყვარულის ქალაქი ცხადია არც საახალწლოდ კარგავს წლების წინ დამსახურებულად მიღებულ ტიტულს. საზეიმოდ აბრჭყვიალებული ქალაქი საახალწლოდ ათასობით ტურისტს უყრის თავს. ახალი წლის შემოსვლას წელს ყველაზე მეტი ტურისტი ეიფელის კოშკზე დაელოდა. ათასფრად ანათებდა, როგორც კოშკი, ასევე მთელი ქალაქი. ცხადია, სტუმრები არც ეიფელის ე.წ. მესამე სართულზე მოწყობილ რესტორნებს აკლდა. სტუმრებს შორის კი ჭარბობდნენ შეყვარებული წყვილები.



**ლას ვეგასი:** თუ ილუმინაციებით, მორთულობითა და დროსტარებით ვიმსჯელებთ, ამ უდაბნოში გაშენებულ ქალაქს წლის ყოველ დღეს ახალი წელი უდგას. თუმცა, 31 დეკემბერს ლას ვეგასი მაინც განსაკუთრებულად გამოპრანჭეს. ჯადოსნური განწყობა, ქრონიკულად გაბრდღვიალებულ ქალაქს თოვლის ფიფქებკაც შესძინა. სტუმრები კი ლას ვეგასის მდიდრულ კაზინო-სასტუმროებში შეიკრიბნენ და 2004 წელს მდიდრულ გარემოში დაელოდნენ. ფოტოზე ამ დაწესებულებათაგან ერთ-ერთს – "ფლამინგოს" და მის წინ გაჩერებულ ლიმუზინს ხედავთ.



**სიდნეი:** უცხოელი სტუმრების ნაკლებობას არც ავსტრალიელები განიცდიდნენ. როცა ფინანსური შესაძლებლობები და საახალწლო სურვილები ერთმანეთს თანხვდება, კაცი ხომ ნებისმიერ საოცნებო ადგილას წავა. ასე რომ, ტურისტებით სავსე სიდნეიც 31 დეკემბერს საზეიმოდ გახლდათ მორთული. იქ ულამაზესი ფოიერვერკების სანახავად პორტის ცნობილ ხიდზე შეიკრიბნენ.



**რიო:** ეგზოტიკური დღესასწაულის მოწყობის იდეას ბევრი ტურისტი ბრაზილიის ამ უმშვენიერეს ქალაქში ჩაჰყავს. გარდა იმისა, რომ 31 დეკემბერს ბრაზილიაში მცხუნვარე მზე ანათებს და ოკეანის წყალიც ძველებურად კამკამაა, იქ ახალ წელს გრანდიოზული ფოიერვერკებით ხვდებიან. გოგონები წყალში ყვავილებით შედიან და ღვთაებებს ახალი წლის დამდეგს ბედნიერებას სთხოვენ. კოპაკაბანას ცნობილ სანაპიროზე კი დაღამებისთანავე ცა ათას ფერად ინთება და მაშხალების ხმა მთელ ქალაქში გაისმის. წელს ამ 15-წუთიან ულამაზეს სანახაობას 2 მილიონზე მეტმა ადამიანმა ადევნა თვალი.



**რომი:** მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რომაელები ახალ წელს ყველაზე უცნაურად ხვდებიან. 1946 წლიდან მოყოლებული ყველაზე გაბედული იტალიელები ტიბროსის გაყინულ წყალში ხიდიდან ხტებიან და ასე აღნიშნავენ ახალი წლის შემოსვლას. წელსაც მრავალმა დაკუნთულმა და ჯანსაღმა რომაელმა ისკუპა წყალში 2004 წლის ეშხით.



REUTERS

**ტიკრიტი:** დასავლური წესით ახალი წელი ერაყშიც დადგა. ამერიკელმა სამხედროებმა საყვარელი დღესასწაული საჯარისო ნაწილების ბარაკებში აღნიშნეს, ქალაქ ტიკრიტში – ბაღდადიდან 250 კმ-ის დაშორებით.

ფეხბურთი

# ზიდანი და ფიგუ ტიბეტელი ბუდისტების კერპებად იქცნენ

აკა ტონია

47 ათასი ტიბეტელი ბუდისტი ბერისათვის ფეხბურთი წლების მანძილზე აკრძალული სპორტი გახლდათ. მაგრამ, ეს მხოლოდ იქამდე გრძელდებოდა, სანამ ამ ბერებმა ზინედინ ზიდანისა და ლუიშ ფიგუს არსებობის შესახებ შეიტყვეს. მადრიდის "რეალის" ვარსკვლავები 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საოცრად პოპულარულები გახდნენ აზიაში. სწორედ მსოფლიო ჩემპიონატის დროს დაინტერესდნენ ტიბეტელი ბერები ფეხბურთით. სპორტის ამ სახეობით 1700-ვე ბუდისტურ ტაძარში არიან დაკავებულები - ახლა ფეხბურთს ყველა ტიბეტელი ბერი თამაშობს. მადრიდის "რეალის" წევრების თამაში მათთვის წარმოადგენს იდეალს, ერთგვარ სრულყოფილებას, რომლისკენაც ყველა უნდა ილტვოდეს. ტიბეტელები დაუფარავად აცხადებენ, რომ მათ "ზიდანობა" სურთ.

"ზიდანი არის სარკე, რომელშიც ჩვენ საკუთარი თავის დანახვა გვსურს", - ამბობს დანიდარი, სერას მონასტრის საფეხბურთო გუნდის კაპიტანი. ეს გუნდი გასული წლის აპრილში დაარსდა ლხასში, ტიბეტის ერთ-ერთი რეგიონის დედაქალაქში. ტიბეტის მთიან რეგიონებში ზიდანს "ბერს" უწოდებენ და მუდამ მისი თამაშით აღფრთოვანებას გამოხატავენ. ტიბეტელი ბერები მადრიდის "რეალის" არც ერთ თამაშს არ ტოვებენ. მატჩების რეპორტაჟებს ისინი თანამგზავრის საშუალებით ადევნებენ თვალყურს. "რეალის" თამაშები ახალგაზრდა ბერების საყვარელი სასაუბრო თემაა.

ის, რომ ტიბეტელ ბერებს "რეალის" თამაში მოსწონთ, მათ კარგ გემოვნებაზე მეტყველებს. თუმცა ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ სიტუაცია სულ სხვაგვარი იყო. ბერებისათვის ფეხბურთი აკრძალული გახლდათ. ყველაფერი საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა ზინედინ ზიდანმა შეცვალა, რომელმაც ტიბეტელები აიძულა, რომ ფეხბურთი სულ სხვა კუთხით დაენახათ. "მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატმა ახალგაზრდა ბერებს ამ ულამაზესი თამაშის მიმართ ინტერესი გაუღვიძა. ყველა, ვინც ზიდანს ფეხბურთის თამაშისას უყურებდა, ცდილობდა, რომ მიებაძა მისთვის. ფეხბურთის თამაში ახლა ღიად შეგვიძლია, აღარავის ვემალებით", - ამბობს დანიდარი.

საკუთარი საფეხბურთო გუნდი ახლა მხოლოდ სერას მონასტერს როდი ჰყავს. 20-კაციანი კლუბები სხვა მონასტრებშიც დააფუძნეს და ყოველი კვირის ბოლოს ამ გუნდებს შორის პატარ-პატარა ტურნირები იმართება.

ტიბეტელი ბერები პორტუგალიელი ლუიშ ფიგუს თამაშითაც აღფრთოვანებულები არიან. ფიგუ აქ სიდიდით მეორე ვარსკვლავია ზიდანის შემდეგ. ტიბეტელები პორტუგალიის ნაკრების მაისურებს ატარებენ, რომელთაც ზურგზე ფიგუს სახელი აწერიათ. სერას ბერები, თითქმის, ყოველ დღე ვარჯიშობენ მონასტრის უკან მდებარე ეზოში. სერას მონასტერში 19 წლის ოსელი სწავლობს. ის ემზადება, რათა მომავალში დასავლეთ ტიბეტის ბუდისტების სულიერი ლიდერი გახდეს. ოსელი დილის ექვსის ნახევარზე იღვიძებს და 14-16 საათის განმავლობაში მეცადინეობს ყოველ დღე. მიუხედავად ამისა, ფეხბურთის სათამაშოდ ის მაინც ნახულობს დროს. სერას ბერები მაქსიმალურად იყენებენ იმ დროს, რომელიც მედიტაციის შემდეგ რჩებათ, რათა ფეხბურთში ივარჯიშონ და პროგრესიც სახეზეა. "ჩვენი მთავარი მეტოქე ლხასას სამედიცინო სკოლის გუნდია - ჩვენზე ერთი თავით ძლიერები არიან", - ამბობს დანიდარი.


ფიგუ და ზიდანი ბერებსაც უყვართ.

ბერებს პროფესიონალი მწვრთნელები არ ჰყავთ. ამიტომაც, ფეხბურთის წესებს ისინი ტელევიზიის საშუალებით - ესპანეთის, იტალიის, გერმანიისა და ინგლისის ჩემპიონატების ყურებისას იმახსოვრებენ. ბერებს სიმაღლე და თოვლი, ცხადია, სრულფასოვან ვარჯიშში და თამაშში ხელს უშლით, მაგრამ ფეხბურთელი ბერები მაინც არ იხევენ უკან და მათზე ძლიერ გუნდებს იწვევენ სათამაშოდ. "მეტოქეები ჩვენს მიმართ პატივისცემით არიან განწყობილნი. მათ კარგად იციან, რომ ჩვენ პროფესიონალები არ ვართ", - ამბობენ ბერები.

"რეალის" პოპულარობა განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როდესაც გასულ ზაფხულს გუნდი აზიაში იმყოფებოდა ტურნეზე. "თეთრი ციებ-ცხელებით" ახლა უკვე ბუდისტი ბერებიც დაავადნენ. ტიბეტის მონასტრების კედლებს ზიდანის, ფიგუს და "რეალის" სხვა ვარსკვლავების სურათები ამშვენებს.

კალათბურთი

# აივერსონი ორშაბათს დაბრუნდება

*ახალი წელი - ვისთვის ყანწის დაცლა, ვისთვის ბურთის კალათში ჩაგდება. ჩვენ ამ დღეებში, ალბათ, ყანწების გამოცლა უფრო გვიტაცებს, მაგრამ იმათ, ვიზეც ქვევით ვწერ, ნამდვილად ბურთის კალათში მოთავსება უფრო ახარებთ.*

სანდრო ნავერიანი

ალენ აივერსონი, რომელმაც უკანასკნელი შვიდი თამაში, მუხლის ტრავმის გამო, გამოტოვა, სავარაუდოდ, ორშაბათს უნდა დაუბრუნდეს მოედანს, როდესაც "ფილადელფია სევენთისიქსერზი" "მილუოკი ბაქსს" დაუპირისპირდება. ფილადელფიელთა მთავარი მწვრთნელი რენდი ეიერსი აცხადებს, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე შედეგიანმა კალათბურთელმა უკვე ჩაატარა რამდენიმე ვარჯიში და ორშაბათს თავის გუნდს დაუბრუნდება. მიმდინარე სეზონში აივერსონის სტატისტიკა შემდეგია: 28,9 ქულა, 6,3 გადაცემა და 3,8 მოხსნა 43,7 სათამაშო დროში. ალენმა, ტრავმა ოთხ დეკემბერს მიიღო, როდესაც ფილადელფიელები ჩიკაგოში ადგილობრივ "ჩიკაგო ბულზთან" გასვლით შეხვედრას ატარებდნენ. აივერსონს ფეხი აუსხლტა და მუხლით პარკეტზე დაეცა, მაგრამ მან ის თამაში ბოლომდე ითამაშა და ამის მერე თვითმფრინავში იგრძნო ტკივილი;

"ჰიუსტონ როქეთსთან" წაგებული მატჩი ფილადელფიელებისათვის ზედიზედ მეოთხე აღმოჩნდა (ოთხივე მატჩი გასვლითი იყო). "ფილადელფია სევენთისიხესერზი," აივერსონის გარეშე, უბრალოდ, საშუალო დონის გუნდია და მეტი არაფერი. ალენის გარეშე ჩატარებულ 11 შეხვედრაში ფილადელფიელებმა მხოლოდ ოთხის მოგება შეძლეს.

მას შემდეგ, რაც "ნიუ-იორკ ნიქსის" პრეზიდენტი, წარსულში უდიდესი კალათბურთელი, აიზია ტომასი გახდა, გუნდში ცვლილებები დაიწყო. როგორც ცნობილია, "ნიუ-იორკ ნიქსი" ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბია მთელს ლიგაში, მაგრამ შედეგიანობით ვერ დაიკვეხნის. აიზია ტომასმა პირველი სიტყვები ის თქვა, - ფული ჭკუით უნდა მოვიხმაროთ, თუ გუნდის აღმავლობა გვინდაო. მართალია ეს კაცი. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. "ნიქსის" ხელმძღვანელობამ კლარენს უიზერსპუნი "ჰიუსტონ როქეთსის" ორ კალათბურთელში გაცვალა. კლარენსი, რომელიც თავის საუკეთესო წლებში თითო შეხვედრისას, საშუალოდ, ოც ქულას და ათ მოხსნას აკეთებდა, აღარ არის ისეთ ფორმაში, "ნიქსს" რომ დააკმაყოფილებს, მაგრამ "ჰიუსტონ როქეთსს," ეტყობა, სჭირდება ასეთი კალათბურთელი და ამიტომაც, კლარენსის საფასურად, ჰიუსტონელმა რაკეტებმა მუჩი ნორისი და ჯან ამაიაჩი გაიღეს. არც ეს ორი უკანასკნელი ბრწყინავს მოედანზე, მაგრამ ისინი ახალგაზრდები არიან და მომავალში ძალიან ბევრის სწავლა შეუძლიათ.

ხუთშაბათს, "იუტა ჯაზმა" კონტრაქტი გაუფორმა პოლ გრანტს, რომელიც ჯაზმენების ახალგაზრდულ გუნდში ვარჯიშობდა და ერთ საკონტროლო მატჩშიც კი მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მთავარ გუნდში მაინც ვერ მოხვდა. ახლა კი ჯაზმენებმა რომ გაიგეს, მათი ცენტრი ბენ ჰენდლოგტენი სეზონის ბოლომდე გამოეთიშა აქტიურ სპორტს, გადაწყვიტეს ახალი ცენტრის შეძენა, და არჩევანი სწორედ პოლ გრანტზე შეაჩერეს. ჯაზმენების ძირითადი ცენტრი გრეგ ოსტერტაგი, რომელმაც უკანასკნელი სამი მატჩიდან ორი გამოტოვა, ვერ გამოიყურება სათანადოდ და ამაში კიდევ უფრო უშლის ხელს მუხლის ტრავმა, რომელიც მან დეკემბრის შუა რიცხვებში მიიღო. გრანტის ოფიციალური სიმაღლე 213 სმ-ა, ხოლო წონა 110 კგ. ის, 1997 წელს დრაფტზე მეოცე ნომრად იყო არჩეული "მინესოტა თიმბერვულვზის" მიერ, მაგრამ, ტრავმების გამო, ვერც ერთი თამაშის ჩატარება ვერ შეძლო. 1998-99 წლების სეზონში გრანტი "მილუოკი ბაქსში" გადავიდა, მაგრამ აქაც არ გაუმართლა და მხოლოდ ორი თამაშის ჩატარება მოახერხა. უკანასკნელი სამი სეზონი მან ამერიკის უფრო დაბალი დონის ლიგებში გაატარა, ხოლო ერთი სეზონი ევროპაშიც კი თამაშობდა.


აივერსონმა (მარცხნივ) ტრავმა მოიშუშა.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პირველ იანვარს გაიმართა რამოდენიმე შეხვედრა და ერთ-ერთი მათგანი ქართველი ვლადიმერ სტეფანიას "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსმა" ჩაატარა "დეტროიტ პისტონზის" წინააღმდეგ. მართალია, პორტლენდელებმა ეს შეხვედრა წააგეს, მაგრამ ქართველმა ვლადიმერ სტეფანიამ იმ ხუთ წუთში, რომელიც მან მოედანზე გაატარა, გუნდს ოთხი ქულა შესძინა და ორი მოხსნა გააკეთა.

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მიუნხენის "ბაიერნის" მწვრთნელმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ, შეიძლება, ინგლისის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში. მიუნხენის ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰიტცფელდმა აღნიშნა, რომ არაფერი იცის იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გახდეს, თუ სვენ გორან ერიქსონი თანამდებობას დატოვებს. "წარმოდგენა არ მაქვს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ჩემთვის არავის არანაირი წინადადებით არ მოუმართავს. ჩემი კონტრაქტი "ბაიერნთან" 2005 წელს იწურება და მსურს, კონტრაქტის პირობები შევასრულო," – განაცხადა ჰიტცფელდმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანმა როი კინმა განაცხადა, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ თავის კლუბს სიამოვნებით გაწვრთნიდა. უფრო მეტიც, კინს სურს, მოთამაშე მწვრთნელი გახდეს. "მე სრულიად ნათლად წარმომიდგენია თავი მწვრთნელად, მაგრამ სწავლა ახლავე უნდა დავიწყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, სწავლისთვის მომიწევს ორი-სამი წლის დაკარგვა. ეს კი ნიშნავს, რომ პროცესს ჩამოვრჩები," – განაცხადა როი კინმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჟურნალ "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვის შედეგად ტიერი ანრი წლის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს. ლონდონის "არსენალის" თავდამსხმელმა 40 ქულით აჯობა მადრიდის "რეალის" ნახევარმცველ ზინედინ ზიდანს. მესამე ადგილზე "მონაკოს" წარმომადგენელი ლუდოვიკ ჟიული გავიდა. "ძალიან სასიამოვნო იყო ამ საპატიო კონკურსში ზიდანზე წინ რომ აღმოვჩნდი," – განაცხადა კმაყოფილმა ანრიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** იაპონელმა ჰიდეტოში ნაკატამ გადაწყვიტა, დატოვოს იტალიური "პარმა". უახლოეს დღეებში ფეხბურთელის "ბოლონიაში" გადასვლის შესახებ გამოცხადდება. ეს გადაწყვეტილება ნაკატამ იმით ახსნა, რომ მისთვის სეზონის დასაწყისი უაღრესად წარუმატებელი გამოდგა. იმისთვის, რომ თავისი თამაში დაიბრუნოს, ნაკატამ გადაწყვიტა, გარემო შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ "ბოლონიაში" ნაკატას მოუწევს მაცონეს ხელმძღვანელობით თამაში, რომელიც მისთვის ჯერ კიდევ "პერუჯადან" არის ცნობილი.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** სერბმა ჩოგბურთელმა ელენა დოკიჩმა უარი განაცხადა ახალი ზელანდიის ოკლენდის ტურნირში მონაწილეობაზე. შეჯიბრება ორშაბათს იწყება. მისმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ დოკიჩის გადაწყვეტილება პირადმა მიზეზებმა განაპირობა. ამასთან, ჩოგბურთელი აპირებს, ავსტრალიის ღია ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა. დოკიჩი ამ ტურნირში 2001 წლის შემდეგ აღარ გამოჩენილა. პირველივე რაუნდში წაგებულმა დოკიჩმა ორგანიზატორები კენჭისყრის "ჩაწყობაში" დაადანაშაულა.

■ ■ ■

**სამთო-სათხილამურო სპორტი.** მსოფლიო თასის ეტაპი, რომელიც იტალიაში უნდა გამართულიყო, თოვლიანობის გამო, საფრანგეთში გადაიტანეს. ბორმიოში ეტაპი კვირას უნდა გამართულიყო. შეჯიბრება ჯერ ორშაბათისთვის გადაიტანეს, შემდეგ კი, საერთოდ, გააუქმეს. ახლა გადაწყდა, რომ ეტაპი 9 იანვარს შამონიში გაიმართება.

■ ■ ■

**სათხილამურო სპორტი.** ობერჰოფში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი სათხილამურო ორჭიდში. შეჯიბრება გერმანელმა რონი აკერმანმა მოიგო – 36:02,2. მეორე ადგილზე ავსტრიელი ფელიქს გოტვალდი გავიდა – 53,6; მესამე კი ამერიკელი ტოდ ლოდვიკი იყო – 1:06,6.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** კომპანია "მოტოროლა" 2004 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე უშიშროების სამსახურს სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფს. ამას გარდა, ცნობილი საკომუნიკაციო ფირმა ყოველმხრივ დაეხმარება საბერძნეთის მთავრობას. უნდა ითქვას, რომ რთული საერთაშორისო ვითარების გამო, უშიშროების უზრუნველყოფის პრობლემა შეჯიბრების ორგანიზატორების წინაშე მწვავედ დგას.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ანაჰაიმის" მცველი სანდრის ოზოლინში მარცხენა მხარზე გადატანილი ოპერაციის გამო 10 კვირას გამოტოვებს. ამ სეზონში ოზოლინშმა 4 შაიბა შეაგდო და 10 შედეგიანი გადაცემა განახორციელა; ტრავმა კი 19 დეკემბერს, "კოლორადოსთან" შეხვედრაში მიიღო.



ფორმულა 1

# შუმი-35

*შუმახერების ოჯახში ცქრიალა ღვინით სავსე ფუჟერების ჭახა-ჭუხი და სადღეგრძელოები ისმის. ფორმულა 1-ის უბადლო ოსტატს მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს მიხაელ შუმახერს დღეს 35 წელი შეუსრულდა. "ფერარის" გერმანელი პილოტი საკუთარ დაბადების დღეს ნორვეგიაში ოჯახის გარემოცვაში აღნიშნავს. ნორვეგიაში დასასვენებლად მყოფ შუმისთან არიან მეუღლე კორინა, შვილები ჯინა-მარია, მიკი, ასევე, მიხაელის მამა როლფი, ძმა რალფი, "ფერარის" სპორტული დირექტორი ჟან ტოდტი და იუბილარის საუკეთესო მეგობარი იოს ფერსტაპენი. როგორც ხედავთ, დაბადების დღე ვიწრო წრეში აღინიშნება. ბოლო წლების ტრადიციისამებრ, მიხაელი ოჯახის წევრებთან ერთად ატარებს არდადეგებს ნორვეგიის პატარა სოფელ ტრისილში. დაბადების დღემდე შუმახერს ინტერვიუ ჩამოართვეს; იუბილარმა ბევრ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი.*



*დღეს შუმახერი დაბადების დღეს იზეიმებს.*

**- ახლახან 92 ქვეყანაში 20 ენაზე გამომავალი ჟურნალის F1 Rasing-ის მკითხველმა "წლის პერსონად" დაგასახელათ. კმაყოფილი ხართ?**

ვიცი, რომ 2002 წლის სეზონი ბევრს არ მოეწონა, რადგან იგი ძალზედ მოსაწყენად ჩათვალეს. 2003-ში კი ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა - ჩემპიონატი ბევრად საინტერესო გამოდგა და მოხარული ვარ, რომ "ფერარის" მიერ გამარჯვებისთვის გაწეულმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო.

**- გრან-პრის მიმდინარეობისას, როდესაც თქვენს მოქმედებებს ვადევნებთ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, ყველაფერი წუთობით გაქვთ გათვლილი. მართლა ასე მეთოდურად გაქვთ ყველაფერი?**

- ფორმულა 1 დისციპლინის მიმართ მომთხოვნია. ჩვენ ყველამ ზედმიწევნით უნდა დავიცვათ თითოეული წვრილმანი და არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რატომ ვართ აქ. ამასთან, აუცილებელია ჯანსაღი და ეფექტური ურთიერთობების დამყარება. ყველაზე მეტად კი იმაზე ვზრუნავ, რომ გუნდში არსებული მთელი ინფორმაცია ზუსტად იყოს გათვლილი.

**- მართალია თუ არა ის ინფორმაცია, რომ "ფერარის" ნებისმიერ თანამშრომელს, ვინც ტექნიკურ ბრიფინგზე დააგვიანებს, ფულადი ჯარიმა ეკისრება?**

- დიახ ასეა. ყოველ დაგვიანებულ წუთზე ათიანის დადება უწევთ.

**- ეს მიხაელ შუმახერსაც ეხება?**

- ამგვარი ბრიფინგების მთავარი ფიგურა არ გახლავართ, მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. მანქანის თითოეული დეტალი მაქსიმალურად ეფექტური უნდა იყოს; ამისთვის კი დროზე მისვლაა საჭირო.

**- გატყობთ, უქმეებზე განმარტოების საშუალება არ გაქვთ. თითოეულ თქვენს ნაბიჯს ათეულობით თვალი აკვირდება...**

- ამ შემთხვევაში მე ვერაფერს შევცვლი. თუ თავისუფალი წუთი გამოჩნდა, მაშინვე მოტორჰოუმში განმარტოებას ვცდილობ. საერთოდ კი, მრბოლელებს არ გვიყვარს ბოქსებში გამოჩენა, რადგან მუდმივად ავტოგრაფების მსურველთა რიგები დგება და თავს მყუდროდ ვერ ვგრძნობ.

**- თავს მარტოხელად ხომ არ გრძნობთ?**

- აშკარად გამიმართლა, რომ საყვარელი საქმიანობით ვირჩენ თავს. ასე რომ, სასაყვედურო არაფერი მაქვს. ფორმულა 1 კონვეიერი არაა და ჩემი მექანიკოსები არანაკლებ პატივისცემას იმსახურებენ. მათ ხშირად უჩვეულოდ დიდი სამუშაოს გაწევა უხდებათ.

**- რატომაა, რომ თქვენი შვილები არასდროს ესწრებიან გრან-პრის?**

- შვილები მშვიდ ცხოვრებას იმსახურებენ. იქ, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მათ ისე ეპყრობიან, როგორც ჩვეულებრივ ბავშვებს. გახსოვთ, რა მოხდა, როდესაც მიკა ჰაკინენი მონაკოში ბიჭუნასთან ერთად მოვიდა. როგორი უნდა იყოს ბავშვისთვის, თავი გაართვას ყველაფერს, რაც მის ირგვლივ ხდება – მთელი ეს ალიაქოთი, ფოტოაპარატების ბლიცი? პირადად მე, მიმაჩნია, რომ ბავშვების რბოლებზე გამოჩენას ბევრად მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებელი.

**- თუმცა, ხვდებიან იმასაც, თუ სად უჩინარდებიან მათი მამები?**

- ისინი ტელევიზორს უყურებენ და ხვდებიან, თუ რა ხდება. უკვე ორი წლის ასაკში წითელ მანქანას ანსხვავებდნენ და იცოდნენ, რომ იმ მანქანის საჭეს მათი მამა მართავდა. მათთან ურთიერთობაში ყოველთვის გულწრფელი ვარ, ყოველთვის ვპასუხობ მათ შეკითხვებს. მსგავსი რამ შეიძლება თქვას ნებიმიერმა მშობელმა, მაგრამ მე მეჩვენება, რომ ისინი ბედნიერები არიან.

**- ორი წლის წინათ თქვენმა ქალიშვილმა დიდი სიხარული მოგანიჭათ და თქვენც მოიგეთ ტიტული...**

- ეს "ჯოკერი" კიდევ გამომადგება.

**- მიუხედავად ფორმულა 1-ში დაკავებულობისა, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ თქვენთვის მთავარი ბავშვებია?**

- საბედნიეროდ, ჩემს ცხოვრებაში ოჯახი რბოლებს ერწყმის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ სეზონზე ორმოცი რბოლა მომიწევს, ან ყოველდღიურად ტესტებზე მუშაობა, მაშინ პრობლემებიც წარმოიშვება. მთავარი ოჯახია და მის საწინააღმდეგოდ კომპრომისზე არასდროს წავალ.

**- ბოქსებში თვითმყოფადობის შენარჩუნება ყოველთვის შეგიძლიათ?**

- ძალაუნებურად, თავდაცვა მიწევს. ეს ძალზე აგრესიული არეა, რომლისგანაც ყველა ისე იცავს საკუთარ თავს, როგორც შეუძლია. დანარჩენ ცხოვრებაში კი საკმაოდ გახსნილი, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. თუ ვინმე მესალმება, მე მას ხელის ჩამორთმევით ვპასუხობ. მაგრამ, როდესაც მასაში დგახარ, რთულია ყველას ერთდროულად დაკმაყოფილება.

**- დღევანდელ ფორმულა 1-ზე რას ფიქრობთ?**

- მოდით, ვიყოთ გულახდილები. რბოლებს არაფერი აქვთ საერთო რეალურ ცხოვრებასთან. შესაძლოა, ბევრს მიაჩნია, რომ ფორმულა 1 ესაა სპორტი, სადაც უამრავი ფული იხარჯება იმისთვის, რომ 20-მა მანქანამ რბოლა შეძლოს. ყველას საკუთარი ინტერესები აქვს და სპონსორებიც თავისას ითხოვენ. სხვაგვარად ფორმულა 1 ბევრად იაფი იქნებოდა.

**- იგივე ეხება იმ ფულსაც, რომელსაც თქვენ ღებულობთ?**

- ჩემი ანაზღაურება არც ისე ბევრია, როგორც ამას გაზეთებში წერენ. უმჯობესი იქნება, თუ ჟურნალისტები ბევრად სარწმუნო წყაროებს დაეყრდნობიან. ისე კი, რა თქმა უნდა, ჩემს მიერ გაწეული სამუშაო ფული ღირს.

**- ჯერაც მოგწონთ ფორმულა 1-ის ნაწილად აღიქვათ საკუთარი თავი?**

- ახლა ბევრად ძლიერია კონკურენცია, რაც ჩვენს ბრძოლას უფრო საინტერესოს ხდის. დიახ, მე მივაღწიე საკუთარ მიზანს – "ფერარისთვის" მოვიგე ტიტული 2000 წელს, სხვა დანარჩენი კი მხოლოდ პრემიაა ჩვენს მიერ გაწეული სამუშაოსთვის.

**- ფორმულა 1-ში თაობათა ცვლა არ გაღელვებთ?**

- ხანდახან მიჭირს იმის დამახსოვრება, თუ ვის რა ჰქვია. თუმცა, ჩემი ასაკის ადამიანებისთვის ასეთი რამ ჩვეული ამბავია. სხვა დანარჩენში კვლავაც 25 წლის ვარ. ფეხბურთს ვთამაშობ ალონსოსთან ("რენოს" ესპანელი პილოტი) და ფიზიკელასთან ("ჯორდანის" იტალიელი პილოტი). ერთი სიტყვით, ბრწყინვალე ფორმაში ვარ. ასაკს ვერ ვგრძნობ.

**- ესე იგი, რბოლების შესაძლო მიტოვებაზე ლაპარაკი...**

- რეალურ საფუძველს მოკლებულია და წერტილი.

## სპორტული კალენდარი
## იანვარი





| | |
|---|---|
| 01 | თხილამურები - მსოფლიო ჩემპიონატი ტრამპლინში. გარმიში, გერმანია |
| 01 | ცხენოსნობა - ოკლენდის თასი. ელერალი. ახალი ზელანდია |
| 01 | ამერიკული ფეხბურთი - როუზ ბოული. პასადენა, კალიფორნია |
| 01-18 | ავტოსპორტი - რალი პარიზი-დაკარი. საფრანგეთი-სენეგალი |
| 02-06 | კრიკეტი - ავსტრალია-ინგლისი. სიდნეი, ავსტრალია |
| 02-06 | კრიკეტი - სამხრეთ აფრიკა-ვესტინდოეთი. კეიპ ტაუნი. სამხრეთ აფრიკა |
| 03 | ფეხბურთი - ინგლისის თასის მესამე წრე. ინგლისი |
| 03 | მძლეოსნობა - ჩრდილოეთის კროსი. ნიუკასლი, ინგლისი |
| 03-04 | ამერიკული ფეხბურთი - Wild Card Weekend. აშშ |
| 03-04 | თხილამურები - მსოფლიოს ჩამპიონატი სამთო-სათხილამურო სპორტში. ავსტ-საფ |
| 03-05 | ზღვაოსნობა - European Ch ships. ობერპოფი, გერმანია |
| 03-10 | ჩოგბურთი - ჰოპმენის თასი. პერტი, ავსტრალია |
| 03-11 | დარტი - მსოფლიოს ჩემპიონატი. სიურეი, ინგლისი |
| 05-11 | ჩოგბურთი - ATP-ს ტური, ExxonMobil Open. დოჰა, ყატარი |
| 08-11 | გოლფი - მერსედესის თასი. კაპალუა, ჰავაი |
| 09-11 | სკეიტბორდი - ევროპის ჩემპიონატი. ჰერენვენი, ჰოლანდია |
| 09-10 | კრიკეტი - ავსტრალია-ინდოეთი-ზიმბაბვე. ავსტრალია |
| 10-11 | ამერიკული ფეხბურთი - პლეი-ოფები. აშშ |
| 12-16 | ბობსლეი - მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი. ლა პლანიე, საფრანგეთი |
| 12-17 | ჩოგბურთი - ადიდასის თასი. სიდნეი, ავსტრალია |
| 13-22 | ზღვაოსნობა - მსოფლიოს ჩემპიონატი. მელბურნი, ავსტრალია |
| 15-18 | გოლფი - სონის თასი. ჰონოლულუ, ჰავაი |
| 15-18 | გოლფი - ევროპის ტური. კეიპ ტაუნი. სამხრეთ აფრიკა |
| 16-18 | სკეიტბორდი - ჩემპიონატი მოკლე დისტანციაში. ჰოლანდია |
| 17-18 | სკეიტბორდი - მსოფლიოს ჩემპიონატი სპრინტში. ნაგანო, იაპონია |
| 18 | ამერიკული ფეხბურთი - კონფერენციის ჩემპიონატი. აშშ |
| 18 | მოტოსპორტი - საიკლო კროსი. მე-5 ეტაპი. ნომეი, საფრანგეთი |
| 19-25 | ფიგურული სრიალი - ხუთი კონტინენტის ჩემპიონატი. ჰამილტონი, კანადა |
| 19-01 | ჩოგბურთი - ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი, ავსტრალია |
| 21-31 | ზღვაოსნობა - მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტო ალეგრე, ბრაზილია |
| 22-25 | გოლფი - კრაისლერ კლასიკი. ინდიან უელსი, კალიფორნია |
| 22-25 | გოლფი - დანჰილის თასი. იოჰანესბურგი, სამხრეთ აფრიკა |
| 23-25 | მოტოსპორტი - მონაკოს რალი. მონტე კარლო, მონაკო |
| 24 | ცხენოსნობა - ველინგტონის თასი. ახალი ზელანდია |
| 25 | ცხენოსნობა - არქელ ჩეისი. ლეოპარდსთაუნი, ირლანდია |
| 29-01 | გოლფი - ფბრ ოუფენი. არიზონა, აშშ |
| 29-01 | გოლფი - ჯონი უოკერის თასი. ბანგკოკი, ტაილანდი |
| 30-08 | სოფტბოლი - მსოფლიოს ჩემპიონატი მამაკაცებს შორის. კრისტჩერჩი, ახ. ზელანდია |
| 31 | მძლეოსნობა - შპარკასეს თასი. შტუტგარტი, გერმანია |
| 31 | ზღვაოსნობა - მსოფლიოს ჩემპიონატი. ფლორიდა, აშშ |

Sources: Sports federations, Associated Press — All dates subject to change — © GRAPHIC NEWS

## ნაფიქვალი



ნინო I

# ახალი წელი, ახალი იდეები, ახალი პრობლემები

ახალი წელი ყველგან ხმაურით და ბათქა-ბუთქით დადგა. ფეირვერკები, შუშხუნები, მაშხალები, ათასფრად განათებული ზეცა და ჯადოსნური სხივებით შეფერილი მსოფლიოს დიდი ქალაქების სიმბოლოები: გამაოგნებლად აელვარებული ეიფელის კოშკი, ბრანდენბურგის ჭიშკარი, ბიგ ბენი თუ კოლიზეუმი; ყველაფერი თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. მეორე დღეს ყველა ქალაქის სანიტარული სამსახური ნაგვის ბუდედ ქცეული ქუჩების დასუფთავებით იყო დაკავებული, მაგრამ უკმაყოფილებას არავინ გამოთქვამდა - ესეც ხომ ახალი წლის ნაწილია. ტრადიციულად, ზეიმს მუდამ თან მოსდევს არეულობა. როცა ცოტათი დალაგდნენ, ჟურნალ-გაზეთები მაშინვე იმით დაინტერესდნენ, თუ როგორ შეხვდნენ ახალ წელს ცნობილი ადამიანები და რით გააოცებენ ისინი 2004 წელს საზოგადოებას...



*რაინერ კალმუნდი.*

### ახალი ტრადიცია დიდ ოჯახში

31 დეკემბრის ღამეს რაინერ კალმუნდის მრავალრიცხოვანი შთამომავლობისთვის ყველაფერი ახალი იყო: ტანსაცმელიც, საჩუქრებიც, ქალაქიც (რომლის არსებობაზეც აქამდე არც ერთ მთგანს არ ჰქონდა წარმოდგენა) და ზეიმის აღნიშვნის მანერაც - 2003 წლის დეკემბრამდე ხომ, თითქმის, არასოდეს შეკრებილან ყველანი ერთად. შობასაც და ახალ წელსაც მუდამ ცალ-ცალკე ხვდებოდნენ. ახლა კი ლევერკუზენის "ბაიერის" უზარმაზარი მენეჯერის უზარმაზარი ოჯახი გაერთიანდა და ყველანი ერთად შეეგებნენ 2004 წელს. ეს ყველაფერი კი რაინერ კალმუნდის მესამე მეუღლის, მომხიბვლელი სილვიას დამსახურება გახლავთ. 32 წლის სილვიამ გადაწყვიტა, საახალწლო სიურპრიზი მოეწყო თავისი 55 წლის მეორე ნახევრისთვის და, კალმუნდის უჩუმრად, შეუთანხმდა მის ორ ქალიშვილს, სამ ვაჟიშვილს, სიძეებსა და შვილიშვილებს. ყველანი სიამოვნებით დასთანხმდნენ სილვიას წინადადებას და ახალ წლის შესახვედრად ფლორიდაზე გაემგზავრნენ. ყველანი იქ იყვნენ: კალმუნდის ორი ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან: 35 წლის ანდრეა და 29 წლის სანდრა; სამი ვაჟი მეორე მეუღლისგან - 21 წლის მარსელი, 16 წლის რენე და 11 წლის მორისი, ასევე, ანდრეას და სანდრას ქმრები და ანდრეას სამი ბავშვი: 8 წლის ჟუსტინი, 6 წლის რობინი და 3 წლის კენეტი. მორისმა ერთი მეგობარიც წაიყვანა თან. მოკლედ, ყველანი ადგილზე იყვნენ, კალმუნდის ორი ექს-მეუღლის გარდა. მათ ნაცვლად, ამ დიდი ოჯახის დიასახლისის როლის შესრულება "კალის" მესამე რჩეულმა სილვიამ ითავა. სილვიამ კალმუნდის მემკვიდრეებს ნეპლეში მოუყარა თავი. ქალბატონმა კალმუნდმა ორი სახლი იქირავა და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მის გერებს თავი შესანიშნავად ეგრძნოთ. კალმუნდმა შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად გასართობი პარკის ყველა ატრაქციონი მოიარა და ამდენი ტრიალის და ბზრიალის შემდეგ ისე დაოსდა, რომ დღის ბოლოს განძრევის თავი აღარ ჰქონდა. ბავშვებით გარშემორტყმული კალმუნდი ამაყად ატარებდა ქუდს წარწერით: "პაპა საუკეთესოა"; ეს ქუდი მას უმცროსმა შვილიშვილმა კენეტმა აჩუქა. კალმუნდი სულით და გულით ცდილობდა, მართლაც, საუკეთესო პაპა ყოფილიყო და გამოუვიდა კიდეც.

ახალი წლის დადგომის შემდეგ კალმუნდი და მისი სილვია იქვე დარჩნენ, დანარჩენები კი ორლანდოში გაემგზავრნენ. "ბაიერის" მენეჯერს 13 იანვარმდე აქვს დასვენების და განცხრომის უფლება, მერე კი უკვე ვარჯიშის დაწყების დროც დადგება. "ბაიერს" კუნძულ მაიორკაზე აქვს ზამთრის საწვრთნელი ბაზა. კალმუნდი სწორედ ესპანეთში გაემგზავრება საახალწლო არდადეგების შემდეგ და ისევ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას დაიწყებს.

### ახალი იდეები ახალ წელს

ამ კაცისგან, მართლაც რომ, ყველაფერია მოსალოდენლი, მათ შორის ისიც, რითაც მან საახალწლოდ მთელი გერმანული მედია გააოგნა: შტეფან ეფენბერგი სამწვრთნელო მოღვაწეობის დაწყებას აპირებს. თითქოს, ეს სავსებით მოსალოდენლი უნდა იყოს - "ეფე" ხომ უკვე 35 წლისაა და მალე მას, ალბათ, კატარშიც აღარავინ ინდომებს. უკვე დროა, თავი დაანებოს ფეხბურთს და სხვა საქმეს მოჰკიდოს ხელი. მწვრთნელის ამპლუა, ალბათ, ყველაზე შესაფერისი იქნებოდა მისთვის, რომ არა ერთი მეტად უცნაური გარემოება: ეფენბერგს არ სურს რომელიმე დაბალი ან თუნდაც საშუალო შესაძლებლობების კლუბში ძალების მოსინჯვა - როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, როცა ასაკოვანი ფეხბურთელები მწვრთნელობას იწყებენ; არაფერი ამის მსგავსი. "ბაიერნის" სკანდალურ ექს-ვარსკვლავს მომავალი თაობის აღზრდა სურს. არც ეს განზრახვაა, თავისთავად, დიდად გასაოცარი: გერმანიაში ხომ ამდენი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაა. მაგრამ, "ეფეს" გახედვაც არ უნდა სამშობლოსკენ. უფრო მეტიც, კატარული კონტრაქტის დასრულების შემდეგ ის გერმანიიდან გადასახლებას აპირებს. ბავშვთა საფეხბურთო სკოლასაც თავად დააარსებს. არ გაინტერესებთ, რომელი ქვეყნის ფეხბურთის მომავალზე ზრუნავს ასე გულისამაჩუყებლად? - ვერასოდეს გამოიცნობთ.... 2005 წლის გაზაფხულზე ეფენბერგი ტაილანდში აპირებს საფეხბურთო სკოლის გახსნას! უცნაურია, არა? რა უნდა მაინცდამაინც ტაილანდში? - საქმე ისაა, რომ 1999 წელს ეფენბერგმა სოციალური პროექტი განახორციელა და კარგად გაიცნო ეს ქვეყანა: "ტაილანდს კარგად ვიცნობ, იქ ბევრი ტალანტია, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. მათ არ აქვთ სავარჯიშო პირობები და უკვალოდ იკარგებიან. ამიერიდან ყველაფერი შეიცვლება. ჩემი სურვილია, აქაური ბავშვები ბუნდესლიგის ვარსკვლავებად ვაქციო".

### პრობლემები, პრობლემები...

როგორი ახალი წელი დაუდგება იტალიურ "პარმას"? – ალბათ, ყველაზე მძიმე და სევდიანი. იძირება "პარმალატი" და თან მიათრევს საბრალო "პარმასაც". "პარმალატის" მფლობელი კალისტრო ტანცი კლუბის აქციების 98 პროცენტის მფლობელია და აბა, რა გასაკვირია, რომ, "პარმალატის" დაცემის პარალელურად, "ჰერცოგთა გუნდი" ფინანსურ კრიზისში ჩავარდა. "პარმას" ვალები დაუგროვდა, რომლის გასტუმრებასაც კლუბი საკუთარი სახსრებით ვეღარ ახერხებს. თუმცა, "პარმა," ალბათ, არ გაიზიარებს საბრალო "ფიორენტინას" ბედს, რომელიც უკვე, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. პარმელები ვარსკვლავების და ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელების გაყიდვით აპირებენ სიტუაციის გამოსწორებას. იაპონელი ნაკატა "ბოლონიაში" წავა, ბრაზილიელი ადრიანო ისევ "ინტერს" დაუბრუნდება: ალბერტო ძაკერონი მას სიამოვნებით მიიღებს. ჯილარდინო, მარკიონი, ფრეი, ბონერა, ბრეშანო... თოთოეული მათგანი ძვირადღირებული ფეხბურთელია და მათი სარფიანად გაყიდვა "პარმას" გაჭირვებას ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს. ტიფოზები? ფეხბურთელები და კლუბის ხელმღძვანელობა მათ ბოდიშს უხდიან და იმედს გამოთქვამენ, რომ ეს კრიზისი მალე დასრულდება და "პარმას" ისევ ეყოლება ვარსკვლავები. მოხდება კი, მართლაც, ასე; თუ მომავალი სეზონიდან, ფლორენციელების მსგავსად, აღარც პარმელებს ეყოლებათ გუნდი სერია ა-ში?!

ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

გულახდილად

# ჩემი ახალი წლის ღამე












გილოცავთ ახალ 2004 წელს, გისურვებთ ყველაფერ კარგს და სასიკეთოს.

საკმაოდ ბევრი დარჩა უკვე წარსულ 2003-ში. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ცუდი წელი იყო, როგორც ქვეყნისთვის, ისე ჩემთვის. ამდენი ემოცია, სამშობლოს სიყვარულის გამოხატვა, საკუთარი ღირსების პრინციპული დაცვა, ერთგულება, ერთობლიობა, უშიშრობა და ა.შ. ძალიან შორს წაგვიყვანს იმ თვისებების ჩამოთვლა, რომლებიც სწორედ 2003-ში გამოვავლინეთ და რითიც, პირადად ჩემთვის, კიდევ უფრო საამაყო ერი გავხდით.

ახალ წელს, როგორც წესი, უმეტესად სახლში ვხვდებით, ოჯახთან ერთად. წელს, თბილისელების დიდი ნაწილი, რუსთაველზე გავიდა წარმოდგენების მთელი ჯაჭვის სანახავად, ნაწილი სახლში, ტელევიზორთან, ამავე წარმოდგენების სანახავად დარჩა, ნაწილიც თბილისის სხვადასხვა რესტორანში და ღამის კლუბებში დაიქსაქსა დილამდე საცეკვაოდ. ბევრი კი არც სადმე წასულა და არც ტელევიზორისთვის უყურებია - ისინი თავად მასპინძლობდნენ სტუმრებს.

მე, ჩემი მეუღლე და რამდენიმე ახლო მეგობარი წავედით რესტორან "საქართველოში", სადაც 150 კაცამდე შეიკრიბა. ყველა კარგ ხასიათზე, მხიარული, შეძლებისდაგვარად გამოპრანჭული, მაგრამ არა საღამოს კაბებში, კარგი დროის გასატარებლად მომართული და ახალი წლის დიდი იმედებით.

"საქართველოში" ყველას ნამდვილად არ ვიცნობდი, მაგრამ მარტივად რომ ვთქვა, უმეტესად ვერა-ვაკის და მთაწმინდა-სოლოლაკის მაცხოვრებლები ჭარბობდნენ, საშუალო ფინანსური შესაძლებლობის, ჩაცმის საშუალო კულტურით და დროსტარების ენთუზიაზმით. მსახიობები, ერთიორი პოლიტიკოსი, ქარხნის დირექტორი, რამდენიმე ესტრადისა თუ ტელევარსკვლავი, დეპუტატობის უშედეგო კანდიდატი, მოდელები, ბიზნესმენები, ჟურნალისტები და, უბრალოდ, ლამაზი ქალები. ყველას ფოტოს ნამდვილად ვერ ჩავტევდი ერთ გვერდში, მაგრამ ნაწილს მაინც შემოგთავაზებთ.

ვინაიდან "საქართველოში" ძალიან ბევრი ხალხი, ხმამაღალი ცუდი მუსიკა იყო და ცოტა დავიღალე, სადღაც ოთხი საათისთვის, გადავწყვიტე, საკმაოდ უცნაური ფორმით დამესვენა და ნიკუშა შენგელაიასთან წავედი სახლში, სადაც ჩვენი ახლო მეგობრები იკრიბებოდნენ. ნამდვილად კარგი მუსიკა, კარგი ღვინო ("საქართველოსგან" განსხვავებით), არავითარი გამოპრანჭულობა, ვითომ ახალი წელი კი არა, უბრალოდ, რიგითი ღამისთევა იყო და, რაც მთავარია, ყველა ძალიან ახლობელი.

არ ვიცი, რამდენად გაინტერესებთ ჩემი საახალწლო მარშრუტი, მით უმეტეს ასეთი სიზუსტით, მაგრამ, მაინც გადავწყვიტე, მესარგებლა გაზეთის საშუალებით და თბილისელების ერთი ნაწილის საახალწლო ღამე მინიმალურად მაინც გადმომეცა.










# ინტერვიუ კრწანისიდან



წლევანდელმა ახალმა წელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ქუჩის კონცერტებს და ფეიერვერკებს რომ ვუყურებდი, მართალია ტელევიზორში, თავი, ცოტა არ იყოს, ბრაზილიელი მეგონა. ყველაზე მეტად გული რეგიონებში მოწყობილმა საახალწლო სანახაობებმა ამიჩუყა. თურმე შესაძლებელი ყოფილა ხალხისთვის ასეთი მასშტაბური ზეიმების მოწყობა. ჩემთვის სრულიად მეორე ხარისხოვანია, რომელი გამომსვლელი ჯობდა და რომელი შოუ იყო უკეთ ორგანიზებული. მთავარია ფაქტი, რომ საქართველო შეხვდა ახალ წელს იმედით, მუსიკით, ლამაზი სანახაობით და, რაც მთავარია, ერთად. გამიჩნდა ბუნებრივი შეკითხვა, ადრე რატომ არ კეთდებოდა მსგავსი ზეიმები და პასუხიც მივიღე.

საახალწლო დღეებში ტელევიზორს ვიყავი მიჯაჭვული და მეშინოდა, რამე არ გამომრჩენოდა, რამე სიამოვნება არ მომეკლო. ერთადერთი, რამაც დამთრგუნა ამ ახალ წლებზე, ეს იყო ინგა გრიგოლიას ინტერვიუ საქართველოს ექსპრეზიდენტთან. აი, აქ ყოფილა ჩემს კითხვაზე პასუხიც.

ბატონ ედუარდს არ ახსოვს და არც აინტერესებს, ვინ იყო მისი მეკვლე 2003-ში და არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებს ამ ტრადიციას. არ სჯერა თოვლის ბაბუის (ვითომ ჩვენ გვჩერა!), არასდროს მოურთავს ნაძვის ხე, არ უყვარს საჩუქრების კეთება, მით უმეტეს ძვირფასის, არ უყვარს სადღეგრძელოები და სასიამოვნოს თქმა. ეს მიაჩნია სიყალბედ. არა აქვს საყვარელი კერძი, არა აქვს ოცნება (მეუღლის გამოჯანმრთელების გარდა) და ყველაზე მეტად არ უყვარდა პრეზიდენტის ტრადიციული საახალწლო მილოცვა!

გამაგებინეთ, რა ხდება, ოღონდ არა ყანდიაშვილისეულად?! მართლა მაინტერესებს, რატომ და როგორ შეიძლება ადამიანი ასეთ რეალობაში ცხოვრობდეს? ეს გულახდილობაა, თუ ბატონი ექსპრეზიდენტი არც თვლის საჭიროდ, რომ ოდნავ რომანტიკულ-ჰუმანური ელფერი შემატოს თავის პორტრეტს და კეთილ ბაბუად მოგვაჩვენოს თავი. რატომ უნდა მითხრა, რომ ათი წელი კი ვიყავი შენი პრეზიდენტი, კი გილოცავდი ახალ წელს, მაგრამ არც ახალი წლის მოსვლისა მჯერა, არც შენ მიყვარხარ და არც შენი მილოცვა მიხარიაო. ან რად უნდა ხალხის მილოცვას რეფერენტის დაწერილი ტექსტი? მილოცვა ხომ, წესით, გულიდან უნდა მოდიოდეს?

თვით ინგა გრიგოლიასნაირი პროფესიონალიც კი დაბნეული მომეჩვენა ასეთი რეალისტური ცინიზმის წინაშე.

ინგა! ნუ დაიბნევი, ნუ შეგეშინდება. ჩვენ გვიხარია ახალი წლის მოსვლა, გვიყვარს საჩუქრების გაკეთება, ნაძვის ხის მორთვა, სასიამოვნოს თქმა და მილოცვა. ედუარდ შევარდნაძე კი ჩვენი ყოფილი პრეზიდენტია! ცოტა, ალბათ, ამ თვისებების გამოც.

# ვინ ინატრეთ საახალწლოდ?



*ამერიკელთა რჩეული ანჯელინა ჟოლი*

საახალწლოდ ამერიკელ მამაკაცთა უმრავლესობას თურმე ანჯელინა ჟოლისთან ერთად უნდოდა ყოფნა. ეს გამოკითხვის შედეგად გაირკვა, და ამ დღეებში ვიდეოკასეტების გამქირავებელთა მონაცემებიც ამაზე მეტყველებს.

გამოკითხულთა 35 პროცენტს ძალიან ამაღლებული ოცნება ჰქონდა: რომანტიკული საღამო, სანთლების პარპალი, დახვეწილი ვახშამი და ანჯელინა ჟოლი.

ანჯელინას შემდეგ, მეორე ადგილზე კეტრინ ზეტა-ჯონსი გავიდა, მესამეზე კი – ჯესიკა ბილი.

ამერიკელი ქალების 31-მა პროცენტმა კი დემი მურის არჩევანი მოიწონა და ბრძანა, რომ საახალწლოდ საუკეთესო საზოგადოება მათთვის ახალგაზრდა ეშტონ კაჩერი იქნებოდა. მეორე ადგილზე ჯონი დეპი გავიდა. აი, მესამე ადგილზე კი დიდი ამბავია ატეხილი: ქალებმა ვერაფრით გადაწყვიტეს, ვინ იქნებოდა უკეთესი, კიენუ რივზი, ჰიუ გრანტი თუ არნოლდ შვარცნეგერი.

# კეიტს ეძინება!



*კეიტ მოსი*

ბრიტანული მედია წერს, რომ კეიტ მოსს მძიმე წელი ჰქონდა. შვილის გაჩენის შემდეგ მას უამრავი სადარდელი გასჩენია: სხეულზე უნდა ეზრუნა, რომ პროფესია არ დაეკარგა, წვეულებებზე უნდა ერბინა, თან საყვარელმა კაცმა, ჯეფერსონ ჰეკმაც უამრავი პრობლემა გაუჩინა...

ამჟამად მოსი ექსკლუზიურ მკურნალობას გადის. ის ლონდონში, კლინიკაში, დაძინებას ცდილობს. "მირორი" წერს, რომ კლინიკა მას მეგობარმა, მსახიობმა სედი ფროსტმა ურჩია: მეუღლესთან, ჰოლივუდის ვარსკვლავ ჯუდ ლოუსთან განქორწინების შემდეგ მასაც არ ეძინებოდა, იქ კი დააძინეს!

ამ კლინიკაში ექსპერტები ძალღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ მათმა კლიენტმა გამოიძინოს. ამბობენ, რომ დიაგნოზის დასმის შემდეგ ცალკეულ ავადმყოფებს ოპერაციასაც კი უკეთებენ. საბედნიეროდ, კეიტის საქმე აქამდე არ მისულა. მას, უბრალოდ, ეძინება და ვერ იძინებს, ესაა და ეს.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*3 იანვარი*

### რუსთავი - 2

**08.00** მულტფილმი "ქათმების გაქცევა" **09.45** მხ. ფილმი "ტომ სოიერის თავგადასავალი" **12.00, 15.00** კურიერი **12.20** მულტფილმი "ამერიკული ლეგენდები" **13.30** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" **15.20** მხ. ფილმი "ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა" **17.40** მხ. ფილმი "ჭრიჭინა" **18.00, 21.00** კურიერი **18.20** მხ. ფილმი "ჭრიჭინა" **19.40** მხ. ფილმი "ოქროს ციებ-ცხელება" **22.00** მხ. ფილმი "ერთხელ ამერიკაში" **02.00** კონცერტი - ერიკ კლაპტონი

### პირველი არხი

**08.00, 15.00, 20.00** მოამბე **08.10** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი ყალთაბანდები" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.40** გლობუსი **12.10** ტელეფილმი "სერენადა" **12.35** საცირკო სანახაობა **13.15** დოკ. ფილმი "ლაკრუა" **14.05** საქართველო, დრო, მოვლენები **14.25** "ჩვენ მშვიდობა" **15.15** არჩევნები **17.15** კონცერტი **18.15** "თბილისის დროით" **18.40** ისტორიანი **19.05** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **19.25** "ამბობენ" **20.35** ცაიტნოტი **21.50** ფორტუნა **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "იმერული ესკიზები" **01.15** ღამის ჯაზი

### პირველი სტერეო

**09.00** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ფილმი **15.00** მუსიკა **16.00** ფილმი "მარტო სახლში". მთ. რ-ში ალექს დ. ლინცი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** "ბრავო" "ეძებეთ ქალი" მთ. რ-ში ჰოლი ჰანტერი, კიფერ საზერლენდი. **01.50** "ღამურა" "სივრცე მანევრისათვის" მთ. რ-ში რებეკა დე მორნეი, გენრი ჩერნი. **03.45** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** მულტფილმი "პინოქიო" **10.15** საბ. სერიალი **11.30** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **12.00** მზის საახალწლო სერენადები **12.30** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 21.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **18.05** სერიალი "შოკის შემდეგ" **19.00** დეტექტ. სერიალი "პოლიციელთა ამბები" **20.45** მხ. ფილმი "ჯანდაბას სიყვარული" (რენე ზელვეგერი) **22.30** მხ. ფილმი "შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო" (სპენსერ ტრეისი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "წითელქუდა" **19.25** ბენი ჰილი **19.45** მოკლ. მხ. ფილმი "ქვევრი" **20.25** წარსულის ტერიტორია **21.00** საახალწლო **22.00** მხ. ფილმი "პირველი მერცხალი" **23.40** კონცერტი - "თეიქსისი" თბილისში

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "პიკის საათი 2" **13.30** მხ.ფილმი "შერბურული ქოლგები" **15.00** მხ.ფილმი "ნიშნები" **17.00** მხ.ფილმი "შანხაის რაინდები" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მისტერ ბინის შოუ **21.00** მხ. ფილმი "რა სურთ ქალებს" **00.20** მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი"

### იბერია

**08.00** ანონსი, დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "მარტოსული ვარსკვლავის შტატი" **12.30** დოკ. ფილმი **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **14.50** კონცერტი **15.15** მხ. ფილმი **17.20** საახალწლო კონცერტი **18.30** მხ. ფილმი **19.30** მულტფილმი **20.30** ლიტერატ. გადაცემა - სილუეტი **21.00** კონცერტი **23.30** მხ. ფილმი "მუსიკის ჰანგები" **02.30** გილოცავთ ახალ წელს

### მეცხრე არხი

**08.00** მულტფილმი "აბა დამაცადე" **08.35** რუს. ზღაპარი "ფიფქია" **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მულტფილმი "ბარბი რაფუნზელი" **12.55** ელო **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ყვითელი კვადრატი" **15.10** მუს. დოკ. ფილმი "ბუენა ვისტა სოშელ კლუბი" **17.00** სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტფილმი "ბონიფაცუსის არდადეგები" **18.30** მუს. სერიალი "ეს სანახაობაა" **19.00** "საუბრები სტუდიაში" **20.00** მუს. სერიალი "ეს სანახაობაა" **21.15** რუს. მხ. ფილმი "სამსახურებრივი რომანი" **22.50** "ოლიმპი"-ადრიანო ჩელენტანო **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "კიუს ტიპის თვითმფრინავი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.05, 17.05, 01.20** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაციური სერიალი "ტარზანი" 1-ლი ნ. **10.50** მხ. ფილმი "მე, ისევ მე და კვლავ მე" **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** ჩ -კლუზივი **14.30** არტ-ბულვარი **15.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - პორტლენდი-დენვერი **17.30** მხ. ფილმი "გაქცეული მონაზვნები" **19.00, 22.00, 01.05** ქრონიკა **19.30** ერთხელ ჰოლივუდში **20.00** კონცერტი (ლ. შიფრინი თბილისში) **20.30** ქართ. სერიალი "ყავა და ლუდი" მე-11 ს. **21.30** ლარის მახე **22.40** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "სიყვარულის ამბავი"

### არხი

**08.00** კომედია "ოპერაცია "ი" და შურიკას სხვა თავგადასავლები" **09.30** მუსიკა **09.45** ფილმი-ზღაპარი "ბურატინოს თავგადასავალი" 1-2 ს. **12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "თოვლის ქოფაკები" **13.55** მუსიკა **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მუსიკა **14.25** ფანტასტიკა "დროის გამჩერებელნი" **16.20** მულტფილმი "ატლანტიდა" **17.40** კომედია "ქალებს გაუფრთხილდით" 1 ს. **18.50, 19.40** მუსიკა **19.00, 22.00, 00.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** ჭიტა-ჭიტა **19.50** მხატვრული ფილმი "მზის ცრემლები" **21.50, 03.40** მუსიკა **23.00** "Слово" **00.40** დრამა "მზით გატანჯულნი" **03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **04.00** თრილერი "უძილობა"

### ОРТ

**07.00, 11.00, 13.00, 19.00** Новости **07.10 Александр Збруев в детективе "Кольцо из Амстердама" 08.50** "Ералаш" **09.00** Детский сериал "Твинисы" **09.20** Играй, гармонь любимая! **10.00** Слово пастыря **10.10** Здоровье **11.10** "Смак" **11.30** Юрий Гальцев в программе "Любовные истории" **12.00** Дог-шоу. Финал **13.10 Худ. фильм "Микрокосмос" 14.40 Комедия "Самогонщики" 15.00** Дисней-клуб: "Тимон и Пумба" **15.20** "КВН-2003". Премьер-лига. Второй полуфинал **17.10 Сергей Жигунов в мелодраме "Убить вечер" 19.10** София Ротару, Филипп Киркоров в Новогоднем концерте **21.00** "Кто хочет стать миллионером?". Празд. выпуск **22.00** Время **22.30** "Кривое зеркало". Евгений Петросян представляет... Часть 2-я **00.30 Курт Расселл в боевике "Побег из Лос-Анджелеса" 02.20 Моника Беллуччи в фильме "Малена" 04.00 Микки Рурк в боевике "Год дракона"**

### РТР

**06.50 Вэл Килмер в фильме-сказке "УИЛЛОУ" 08.45** Золотой ключ **09.05** Русское лото **09.35** Мультсериал "Том и Джерри" **10.10** Большая перемена **10.35** "Городок". Дайджест **11.00** Утренняя почта **11.30** "Не скуЧАЙ!" **12.20** Сам себе режиссер. **13.15** Крутой маршрут - Юг. **14.05** В поисках приключений. **15.00, 21.00** Вести. **15.20 Михаил Пуговкин в комедии "НЕ МОЖЕТ БЫТЬ!" 17.00 Жерар Депардье в комедии "МЕЖДУ АНГЕЛОМ И БЕСОМ" 19.00** Премьера. "Михаил Евдокимов в кругу друзей". **21.10** Аншлаг. **22.05 Ричард Гир в фильме "ПЕРВЫЙ РЫЦАРЬ" 00.25 Евгений Сидихин в фильме "КОВЧЕГ" 02.05 Лэсли Нильсен в комедии "АЭРОПЛАН-2" 03.35 Остросюжетный фильм "ПРОТИВОСТОЯНИЕ"** (Гонконг)

### НТВ

**07.20 Комедия "ВОВОЧКА" 09.00, 13.00, 17.00, 20.00** "Сегодня" **09.20** "Улица Сезам" **09.45** "Та-ра-рам!" **09.55 Прик. фильм "ПРИКЛЮЧЕНИЯ ЭЛЕКТРОНИКА: МАЛЬЧИК С СОБАКОЙ".3с. 11.05** "Кулинарный поединок". Новый год: все, все, все! **12.00** Квартирный вопрос: новогодний трансформер. **12.55** Спорт "Лотто 6 из 49". **13.20** "Дикий мир: рождественский ковчег". Экспедиция Тимофея Баженова. **14.05 Жерар Депардье в комедии "АСТЕРИКС И ОБЕЛИКС ПРОТИВ ЦЕЗАРЯ" 16.05** "Своя игра". Новогодний выпуск. **17.20** Мультфильм "Малыш и Карлсон". **17.40 Сериал "КОЛЛЕКЦИЯ ДАНИЭЛЫ СТИЛ: СЕМЕЙНЫЙ АЛЬБОМ". 1с. 19.25** "Петербург от А до Я" 3 с. **20.35 Мэл Гибсон в комедии "МАВЕРИК" 22.55 Джон Траволта в фильме "ЛИХОРАДКА СУББОТНЕГО ВЕЧЕРА" 01.05** Ночные музы. **01.20** "Стиль от..." Ренаты Литвиновой. **01.40** Просто цирк. **02.10** Про дизайн. **02.35 Сериал "ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО"**

# მაღალი მთა და მაღალი საზოგადოება

მადონა და რობი ვილიამსი – სენტ მორიცში, პრინცი ჩარლზი – კლოსტერსში: შვეიცარიის ელიტარული კურორტები სადღესასწაულოდ ტრადიციას არ ღალატობენ, და გამოჩენილი ადამიანები კვლავ კომფორტულ მთიანეთს ეტანებიან. შვეიცარიელები წელსაც მთელი მსოფლიოდან ჩამოსულ დიდ და პატარა ვარსკვლავებს და დიდ მრეწველებს მასპინძლობენ.

სენტ-მორიცელები განსაკუთრებით ამაყნი არიან: „ჩვენს სტუმართა სიაში რამდენიმე ძალიან საინტერესო სახელს შეხვდებით. უწინ აქ ჩარლი ჩაპლინი, ჰიჩკოკი და კენედები ჩამოდიოდნენ, გასულ წლებში მადონა და რობი ვილიამსიც გვეწვივნენ“.

წლევანდელ სტუმრების ვინაობას ჯერ არ ამხელენ – სტუმრებს სულ არ აწყობთ, რომ ჟურნალისტებმა მათი პირადი ცხოვრების ყოველ წვრილმანში ჩაჰყონ ცხვირი, და სენტ-მორიცელები მათ ამ უფლების უზრუნველყოფაში შეძლებისდაგვარად ხელს უწყობენ.

სამხრეთ ალპებში საახალწლოდ ყოველდღიურად 800-მდე სტუმარი ეწვევა ხოლმე „VIP-კარვებს“. მათ ვინაობასაც არ ამხელენ, მხოლოდ იმას ამბობენ – გულდაწყვეტილნი - რომ წელს ბრიტანეთის სამეფო კარმა კლოსტერსში ჩასვლა გადაიფიქრა.

სამაგიეროდ, ცნობილია, რომ კრანს-მონტანაში ახალ წელს ყოფილი ჯეიმს ბონდი, 76 წლის როჯერ მური შეხვდა. სავარაუდოა, რომ აქვე ჯინა ლოლობრიჯიდა და როვენ ეტკინსონი, ანუ „მისტერ ბინიც“ გადაეყარნენ ერთმანეთს.




ამ კურორტს სარა ფერგიუსონიც ეწვევა, ოღონდ თებერვალში.

„ჩვენთან მრავალი ვარსკვლავი იმიტომ ჩამოდის, რომ აქ ნორმალურ ადამიანებს შეხვდებიან და გულს არავინ გაუწყალებთ,“ ამტკიცებენ გშტაადის ტურიზმის სააგენტოები. მიუხედავად ამისა, ამბავმა გაჟონა, იანვრის დასაწყისში იქ ფილ კოლინზსა და ერიკ კლაპტონს შეხვდებითო. მართალია, ამ კურორტზე „მიზნობრივი ჯგუფი“ უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიცვალა: თუკი ადრე, მაგალითად, ელიზაბეტ ტეილორი ეტანებოდა, წელს მას „მრეწველობის ვარსკვლავები“ მიეძალნენ.

# მელანის აღარ ენდობიან



ყოფილ Spice Girl-ს, მელ სის, ანუ სპორტულ სპაისს, ანუ მელანი კრისჰოლმს, ხანგრძლივი წარუმატებლობის გამო კიდევ ერთი უსიამოვნება დაატყდა თავს: ხმისჩამწერ ფირმას მომღერალთან თანამშრომლობა აღარ სურს და მასთან კონტრაქტის დარღვევას აპირებს.

ავსტრიული გაზეთი “სტანდარტი” იუწყება, რომ მელანის ბოლო სიმღერამ, Yeh Yeh Yeh-მ, ბრიტანეთში დიდი ვაი-ვაგლახით მხოლოდ ოცდამეშვიდე ადგილი აიღო, რაც მის უწინდელ წარმატებებთან შედარებით სახსენებელც არაა. როგორც ჩანს, Spice Girl-ის ყველაზე ნიჭიერ მომღერალს 29 წლის ასაკისთვის ძალა აღარ შერჩაო, წერს ბოროტად გაზეთი.

უნდა ითქვას, რომ მუსიკალურ ბაზარზე ვერც ემა ბანტონმა და ვიქტორია ბექჰემმა მიაღწიეს წარმატებას, მაგრამ თავი არ მოუკლავთ, და ალბათ მელანიც გადარჩება.





# განცხადება

სააქციო საზოგადოება “განათლება”-ს 2003 წლის 15 დეკემბერს ჩატარებული აქციონერთა საერთო კრების ოქმის საფუძველზე მიმდინარეობს სააქციო საზოგადოება “განათლება”-ს ლიკვიდაცია.







# წამალი "სალხინო"

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.